დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ-დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ლიანა კობესაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
წევრები:
მაკა კაჭკაჭიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
ეკატერინე ცნობილაძე(საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
შორენა ტყემალაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
თაია მამარდაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
ელენე ხუციშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
თინათინ მარქარაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
მარინე ხუციშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
სალომე ცხვედიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ-დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	228540460

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი. სოფელი სამრეკლო
ფაქტობრივი მისამართი	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი. სოფელი სამრეკლო
საფოსტო ინდექსი	1600
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**https://tinyurl.cx/NgnlU**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	samreklo@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577387589

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	10/03/2026 წლის ბრძანება MES 7 26 0000292560
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	07,08 აპრილი 2026 წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი სამრეკლო. 1 შენობა
	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი სამრეკლო. 1 შენობა
	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი სამრეკლო. 1 შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლაში ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 7 და 8 აპრილს. ვიზიტამდე სკოლამ წარმოადგინა თვითშეფასების ფორმა და ავტორიზაციისთვის საჭირო დოკუმენტაცია, რომლებიც ექსპერტებმა წინასწარ შეისწავლეს. შეფასების პროცესი განხორციელდა როგორც ადგილზე ვიზიტით, ასევე დისტანციურად. ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი იქნა სკოლის ინფრასტრუქტურა, ინკლუზიური გარემო, დოკუმენტაცია, პირადი საქმეები, მოსწავლის მხარდამჭერი მექანიზმები. ასევე ჩატარდა ინტერვიუები დირექციის, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებთან. საგნობრივი ექსპერტები ონლაინ რეჟიმში შეხვდნენ კათედრების წარმომადგენლებს და განიხილეს კურიკულუმის დანერგვის საკითხები. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით და საქმიანი გარემოში.

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 300	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N1.2.1.1	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების	სტრატეგიული განვითარების გეგმაში არსებული ჩანაწერი სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირის შესახებ არ არის მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის პრაქტიკის შესაბამისი.

	პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს	
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	***ხარვეზი***
ინდიკატორი N3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად	• შინაგანაწესში გამოყენებული ჩანაწერები სკოლის რეალობაზეა მოსარგები (დეტალურად იხ. ინდიკატორის აღწერა)
ინდიკატორი N3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	• სკოლის მიერ შემუშავებული სკოლაში ექიმის შტატზე ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი არაა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი (დეტალურად იხ. ინდიკატორის აღწერა)
ინდიკატორი N3.4.1.6.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	• სკოლას დასაქმებულებისგან პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე უფლება მოპოვებული აქვს კანონმდებლობის დარღვევით (დეტალურად იხ. ინდიკატორის აღწერა).

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს	სტანდარტთან უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად (2026 წლის 29 აპრილი - სექტემბერი) უზრუნველყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი N41/ნ/01 23/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესით“ განსაზღვრული კვალიფიკაციის მქონე ექიმის დასაქმება.
ინდიკატორი N3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	სტანდარტთან უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად (2026 წლის 29 აპრილი - სექტემბერი) უზრუნველყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი N41/ნ/01 23/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესით“ განსაზღვრული კვალიფიკაციის მქონე ექიმის დასაქმება.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N1.2.1.1	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს	სასურველია დოკუმენტების შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილი იყოს ლოგიკური თანმიმდევრობა, რომლის ფარგლებში პირველ ეტაპზე განისაზღვრება შესაბამისი სამუშაო ჯგუფი, შემდგომ ეტაპზე ამ ჯგუფის მონაწილეობით მეთოდოლოგიის შემუშავება და შემდგომ ამისა დოკუმენტის დამტკიცება;
ინდიკატორი N1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს	სასურველია სკოლამ პრაქტიკა და მეთოდოლოგიური დოკუმენტი მოიყვანოს შესაბამისობაში.(დეტალურად იხ. ინდიკატორის აღწერა)

	(ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	
ინდიკატორი N1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	სასურველია ამოცანის, „მოსწავლეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების განხორციელება“, აქტუალურობიდან გამომდინარე უზრუნველყოს მისი ასახვა ყოველწლიურ სამოქმედო გეგმაში.
ინდიკატორი N1.2.2.2.	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით	სასურველია სამოქმედო გეგმის წლიური შეფასების პროცესში დამატებით გამოიყენოს სასკოლო საზოგადოების და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი, რისთვისაც შესაძლებელია გამოკითხვის ან სხვა შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენება.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი N.3.2.1.5.	წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები	სასურველია სკოლამ შეიმუშაოს შიდა რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავს პერსონალის განვითარების ინიციატივების დაფიქსირების, განხილვისა და განხორციელების წესს, ასევე პროცესში ჩართული პასუხისმგებელი პირების ფუნქციებს.
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა	სასურველის სკოლამ დანიშნოს ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი სერტიფიკატის ან დიპლომის მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

	უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
ინდიკატორი N3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	საურველია სკოლამ სამედიცინო დახმარების წესში განსაზღვროს ექიმის მიერ სხვა სამსახურის შეთავსების საკითხიც კანონმდებლობის შესაბამისად.
ინდიკატორი N3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სასურველია განაახლოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N4.2.1.1.	სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი	სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს დოკუმენტებს შორის ტერმინოლოგიური თანხვედრა და ერთიანი ფორმულირების გამოყენება, რათა უზრუნველყოფილი იყოს დოკუმენტაციის სიცხადე და თანმიმდევრულობა.
ინდიკატორი N4.2.1.6.	მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას	სასურველია: • შემუშავდეს მოსწავლეთა უკუკავშირის შესაბამისი ინსტრუმენტები;

		• სისტემურად განხორციელდეს გამოკითხვის შედეგების ანალიზი და ანალიზის შედეგების გათვალისწინება; • მიღებული უკუკავშირი უფრო აქტიურად აისახოს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებაში;
ინდიკატორი N4.2.2.1.	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის	სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს დოკუმენტი, რომელშიც სისტემურად იქნება აღწერილი კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულება. მათ შორის: შესაბამისი აქტივობები, მექანიზმები და პასუხისმგებელი პირები, რომელსაც განახორციელებს ეტაპობრივად.
ინდიკატორი N4.2.2.2.	სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით	სასურველია, კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება გახდეს სისტემური და რეგულარული პროცესი.
ინდიკატორი N4.2.2.3	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს	სასურველია, მოხდეს მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირის შეგროვება, ანალიზი, შედეგების დოკუმენტირება

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო)*	***რჩევა***
ინდიკატორი N2.1.1.3	კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	• სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს აღნიშნული კითხვარის საფუძველზე ჩატარებული გამოკითხვის შედეგების სისტემური აღრიცხვა და ანალიზი, რათა მიღებული მონაცემები გამოყენებულ იქნეს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის. • სასურველია, სკოლამ, მშობელთა კითხვარის მსგავსად, შეიმუშაოს მოსწავლეთა ჩართულობის კითხვარის ფორმაც და უზრუნველყოს მისი

		მეშვეობით ჩატარებული გამოკითხვის შედეგების სისტემური აღრიცხვა და ანალიზი.
ინდიკატორი N2.1.1.4	კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	• სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილი კომუნიკაციისა და ჩართულობის პროცესების განხორციელების დამადასტურებელი მტკიცებულებების სისტემატური აღრიცხვა და წარმოდგენა (მაგ., მშობელთა კრებების ოქმები, უკუკავშირის შედეგები, კომუნიკაციის ამსახველი მასალები). აღნიშნული ხელს შეუწყობს დოკუმენტში გაწერილი პრაქტიკის რეალურად განხორციელების დასაბუთებას და პროცესების გამჭვირვალობისა და სანდოობის გაზრდას.
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** • **დაწყებით საფეხურზე,** სასურველია, გაძლიერდეს კავშირი სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებსა და კომპლექსურ დავალებებს შორის, რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პროცესი. **სახელმწიფო ენა** **სამივე საფეხური** • სასურველია, დავალებების პირობები იყოს მკაფიოდ და დეტალურად ჩამოყალიბებული; • სასურველია, დავალების იდეის გრაფაში აისახოს დავალების სრულყოფილი აღწერა და არა მხოლოდ საკითხი; • სასურველია, გამოიკვეთოს განსხვავება „საკითხსა“ და „დავალების იდეას“ შორის, ან განისაზღვროს მათი ერთიანი ფორმატი კათედრაზე შეთანხმებით; • სასურველია, დავალებები რეალურად იყოს შემოქმედებითი და კომპლექსური ხასიათის, და არ შემოიფარგლებოდეს მიმდინარე აქტივობებით (მაგ., ზეპირი მსჯელობა ან შინაარსის გადმოცემა). **საბაზო საფეხური**

		• სასურველია, კურიკულუმში გამოყენებული ცნებების ჩამონათვალი შესაბამისობაში მოვიდეს მოქმედ სტანდარტთან და განახლდეს ტერმინოლოგია. კერძოდ, მოძველებული ჩანაწერი - „ტექსტის სიტუაციური მახასიათებლები (საკომუნიკაციო სიტუაცია)“ - ჩანაცვლდეს მოქმედი სტანდარტით განსაზღვრული ტერმინით „საკომუნიკაციო სიტუაცია“. • სასურველია, კურიკულუმში გამოყენებული ტერმინოლოგია შეესაბამებოდეს აკადემიურ სტანდარტებს და თავიდან იქნას აცილებული არაზუსტი ტერმინების გამოყენება. კერძოდ, ტერმინი „გაშინაარსება“ ჩანაცვლდეს შესაბამისი და სწორი ფორმულირებით (მაგ., „შინაარსის გადმოცემა“, „პერიფრაზირება“), რაც უზრუნველყოფს ტერმინოლოგიური სიზუსტის დაცვას. **სპორტი** •სასურველია, **დაწყებითი საფეხურის** სასწავლო პროცესში ყველა კლასში გათვალისწინებული იყოს ტანვარჯიშის სწავლება. •მნიშვნელოვანია, **საბაზო და საშუალო საფეხურზე** კურიკულუმებს დაემატოს თემა მძლეოსნობა.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** • სასურველია, **სამივე საფეხურზე,** გაძლიერდეს კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და კონკრეტულ სასწავლო აქტივობებს შორის, რათა გამოიკვეთოს, რა კონკრეტული ცოდნისა და უნარის განვითარებას ემსახურება იგი.
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** **საბაზო და საშუალო საფეხური** • სასურველია, ეტაპობრივად გაძლიერდეს ქიმიის მიმართულებით ლაბორატორიული რესურსები (რეაქტივები, უსაფრთხოების შესაბამისი

	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	აღჭურვილობა და სპეციალიზებული სამუშაო ზედაპირი), რათა შესაძლებელი იყოს ექსპერიმენტული აქტივობების სრულყოფილად და სისტემურად განხორციელება. **მათემატიკა** • სასურველია, ინტერნეტ წყაროებთან ერთად, პედაგოგმა გამოიყენოს აკადემიური და სამეცნიერო ლიტერატურაც, რაც სწავლების, მოსწავლეთა პროფესიული ინტერესების მიხედვით, უკეთ დიფერენცირების შესაძლებლობას მისცემს. **სპორტი** • სასურველია, სკოლის სპორტულ ინვენტარს დაემატოს ტანვარჯიშის ლეიბი, ამ თემის **დაწყებით საფეხურზე** კურიკულუმში ასახვისა და სათანადოდ განხორციელების მიზნით.
ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია, **სამივე საფეხურზე,** კურიკულუმის ძირითად დოკუმენტებში დაკონკრეტდეს დიფერენციურებული სწავლების მექანიზმები. **მათემატიკა** სასურველია, რომ მომდევნო წლის კურიკულუმების დაგეგმვისას, კათედრაზე განხილულ იქნას მოსწავლეთა მიღწევები და ამის გათვალისწინებაც მოხდეს სასაწვლო რესურსების შერჩევა.
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** • სასურველია, **სამივე საფეხურზე,** შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები დაკონკრეტდეს და ჩამოყალიბდეს უფრო დეტალურად, მკაფიო და გაზომვადი ინდიკატორების გამოყენებით, რაც

		უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, ობიექტურობასა და ერთგვაროვან ინტერპრეტაციას. **სახელმწიფო ენა** • სასურველია, **სამივე საფეხურზე,** ზოგადი რუბრიკები დაეფუძნოს სტანდარტის ინდიკატორებსა და კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს (იქნება ეს დისკუსია, პრეზენტაცია, ესე თუ სხვ.). **მათემატიკა** **სამივე საფეხურზე** • სასურველია, შეფასების ინსტრუმენტების დახვეწა, რათა ისინი მაქსიმალურად ფოკუსირდეს მოსწავლის პერსონალურ პროგრესსა და ანალიტიკურ განვითარებაზე. • სასურველია, რომ შეფასების რუბრიკებში ყურადღება გამახვილდეს გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე.
ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სამივე საფეხურზე** • სასურველია, სასწავლო პროცესის დაგეგმვა უფრო მკაფიოდ დაუკავშირდეს კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებსა და შედეგებს და ეს კავშირი აისახოს შესაბამის დოკუმენტაციაში. • სასურველია, დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპებს შორის კოორდინაცია გაძლიერდეს, რათა კურიკულუმის მიზნები უფრო ნათლად და თანმიმდევრულად შესრულდეს.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**მათემატიკა სამივე საფეხურზე,** • სასურველია, შეფასების რუბრიკები უფრო მკაფიოდ და დეტალურად ჩამოყალიბდეს, ინდიკატორების დაზუსტებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი ერთგვაროვანი გაგება და გამოყენება.

		• სასურველია, რუბრიკები სრულად შეესაბამებოდეს გრძელვადიან სამიზნე ცნებებს და უშუალოდ მათზე იყოს ორიენტირებული. • სასურველია, შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები წინასწარ გაეცნოს მოსწავლეებს, რაც ხელს შეუწყობს მათი ჩართულობის გაზრდასა და შეფასების პროცესის გამჭვირვალობას.
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია, რესურსების ეტაპობრივი განახლება და მათი მრავალფეროვნების გაზრდა. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** სასურველია, სკოლამ დაგეგმოს და გამოყოს შესაბამისი ბიუჯეტი სასწავლო რესურსების გასამდიდრებლად, რათა მასწავლებლებს ჰქონდეთ შესაძლებლობა გამოიყენონ უფრო მრავალფეროვანი და ეფექტიანი მატერიალური რესურსები, რაც ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების გაუმჯობესებას.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დასკვნის პროექტში ასახულ ექსპერტთა მიგნებებთან დაკავშირებით სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლამ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია (ცენტრში რეგისტრაციის N546962), რომელშიც ასახულია სკოლის პოზიცია დასკვნის პროექტში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. აღნიშნული დოკუმენტაცია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 08.05.2026 წლის MES 0 26 0000552258 წერილით ექსპერტთა ჯგუფს გადმოგვეცა განსახილველად. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და 1.1.1.3, 3.3.1.1, 3.3.1.2, 3.3.1.3, 3.4.1.2,3.6.2.1, 3.6.3.5 და 2.2.1.5 ინდიკატორებთან მიმართებით გაიზიარა სკოლის პოზიცია რაც შეეხება ინდიკატორებს 1.2.1.1, 3.1.2.1, 3.1.2.3 და 3.4.1.6 სკოლის პოზიცია არ იქნა გაზიარებული. ამასთან 3.3.1.2 ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა 2026 წლის 5 მაისის 2ს-51 ბრძანება „მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების მართვის შესახებ“, რომლითაც სტრუქტურირებულად არის განსაზღვრული სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები, აღწერილია მათი შინაარსი და განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები. წარმოდგენილი დოკუმენტის მეორე თავში N1 ცხრილში სწორად არის

იდენტიფიცირებული და განსაზღვრული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები, ხოლო მესამე თავის N2 ცხრილში პროცესის სახედ ყველა შემთხვევაში მითითებულია მხოლოდ „მმართველობითი პროცესი“. აღნიშნული ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია ტექნიკურ ხარვეზად და ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩათვალა.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მიერ განსაზღვრული მისია და ხედვა შინაარსობრივად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. კერძოდ, მისია ორიენტირებულია ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაზე, უსაფრთხო და ჯანსაღ სასწავლო გარემოზე, მოსწავლის თვითრეალიზაციის ხელშეწყობასა და პროფესიული ორიენტაციის განვითარებაზე, რაც ხელს უწყობს ეროვნული ღირებულებების მქონე კონკურენტუნარიანი ახალგაზრდების აღზრდას. ხოლო, სკოლის ხედვა ყურადღებას ამახვილებს თითოეული მოსწავლისთვის ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობაზე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებასა და პიროვნული შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტ რეალიზებაზე, რაც სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ძირითად პრინციპებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისია და ხედვა ორიენტირებულია ჯანსაღ და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნაზე, ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაზე და მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე. აღნიშნული პრინციპები სკოლას აყალიბებს სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და განვითარებაზე ორიენტირებულ სოციოკულტურულ სივრცედ, რომელშიც მხარდაჭერილია მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების გამოვლენა, მათი უნარ-ჩვევების განვითარება და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მზადყოფნა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლამ 2025 წლის 11 სექტემბერს, დირექტორის ბრძანებითN2ს-57, განსაზღვრა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა. სამუშაო ჯგუფში შედიოდნენ სკოლის დირექტორი, მისი მოადგილე, დამრიგებლები, აგრეთვე სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც ამავდროულად მშობელია (სამუშაო ჯგუფში მშობლის ჩართულობა მიუთითებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფის მცდელობაზე) ამასთან, სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის 12 სექტემბრის სკოლის **ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით** შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1. აღნიშნულ სხდომაზე განხილული იყო მხოლოდ ერთი საკითხი - სკოლის ფილოსოფიის პროექტის შემუშავება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სხდომის ოქმით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა განსხვავდება იმ ჯგუფის შემადგენლობისგან, რომელიც სკოლის დირექტორის N2ს-57 ბრძანებით იყო განსაზღვრული და ამასთან ოქმში წარმოდგენილი სამუშაო ჯგუფის განსაზღვრის ბრძანება წარმოდგენილი არ ყოფილა. 2025 წლის 12 სექტემბრის ოქმის მიხედვით, სკოლის ფილოსოფიის პროექტზე მუშაობა განხორციელდა სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ სკოლის დირექტორი, მასწავლებლები და საინფორმაციო მენეჯერი. წარმოდგენილი ოქმის (N1, 12.09.2025) მიხედვით, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სკოლის პრიორიტეტები და სასკოლო საზოგადოების, მათ შორის მასწავლებლების, გამოკითხვის შედეგები. თუმცა, სკოლამ ვერ წარმოადგინა სასკოლო საზოგადოების, მათ შორის მასწავლებლების, გამოკითხვის დამადასტურებელი მასალები და ასევე პრიორიტეტები რომელსაც დაეყრდნო აღნიშნული ჯგუფი პროექტზე მუშაობისას. იმავე სხდომაზე განხორციელდა სკოლის ფილოსოფიის პროექტის სამუშაო ვერსიის შემუშავება. სკოლის დირექტორთან ინტერვიუთი დადასტურდა, რომ სკოლის ფილოსოფიაზე იმუშავა მხოლოდ დირექციამ და მასწავლებლებმა.

მრიგად, სკოლის ფილოსოფიის შესამუშავებლად ბრძანებით განსაზღვრული იყო სამუშაო ჯგუფი, თუმცა ფილოსოფია შემუშავდა სხვა ჯგუფის მიერ, რომელიც მხოლოდ სკოლის წარმომადგენლებისგან შედგებოდა. არსებული ოქმების მიხედვით, აღნიშნულ ჯგუფს არ ჰქონია კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ფილოსოფიის შემუშავების პროცესში იგი არ ყოფილა ჩართული, რაც ინტერვიუს დროს თავად სკოლის დირექტორმაც დაადასტურა.
აღნიშნული გარემოებების ერთობლიობა მიუთითებს, რომ სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოება არ ყოფილა ჩართული.

ხარვეზი. სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში არ ყოფილა ჩართული სასკოლო საზოგადოება.

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის 11 სექტემბერის, N2ს-57 ბრძანებით, განსაზღვრული მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებული საქმიანობის ამსახველი ჩასწორებული ოქმი (სამუშაო ჯგუფში შედიოდნენ სკოლის დირექტორი, მისი მოადგილე, დამრიგებლები, აგრეთვე სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც ამავდროულად მშობელია) და სტანდარტთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ აქტივობებში განმარტა, რომ ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი ოქმი იყო ძველ შაბლონში გაკეთებული და კომისიის შენადგენლობა იყო არასწორად მითითებული. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. გამომდინარე იქიდან, რომ კომისიის შემადგენლობაში მუშაობდა სამეურვეო საბჭოს წარმომადგენელი მშობელი, რომელიც კონკრეტული საფეხურის მშობელთა წარმომადგენელია სამეურვეო საბჭოში ჩათვალა, რომ სკოლის

ფილოსოფიის შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა მიიჩნია დაკმაყოფილებულად.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლამ წარმოადგინა 12 სექტემბერს სასკოლო საზოგადოებასთან ჩატარებული შეხვედრის ოქმი, რომელიც გაიმართა სკოლის დირექტორის ინიციატივით. შეხვედრას ესწრებოდნენ სამივე საფეხურის წარმომადგენლები: მშობლები, მასწავლებლები და მოსწავლეები (28 მასწავლებელი, 74 მშობელი და 107 მოსწავლე), დღის წესრიგით განხილულ იქნა ერთი საკითხი - სკოლის ფილოსოფია. ოქმის მიხედვით, შეხვედრის მონაწილეებმა მოიწონეს წარმოდგენილი ფილოსოფია. აღნიშნული გარემოება ადასტურებს სკოლის ფილოსოფიის სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარებისა და გაცნობის ფაქტს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია და ხედვა საჯაროდაა ხელმისაწვდომი. ის განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე **https://tinyurl.cx/NgnlU**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლა შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს სკოლა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა.
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლამ, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგიის შემუშავებისათვის 2025 წლის 12 სექტემბერს განსაზღვრა სამუშაო ჯგუფი (ბრძანება N2ს-58) , ხოლო 2025 წლის 11 სექტემბრის N2ს-56 ბრძანებით დაამტკიცა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია. ამრიგად, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ირკვევა, რომ სკოლამ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია დაამტკიცა მანამდე, ვიდრე აღნიშნული მეთოდოლოგიის შემუშავებისთვის განსაზღვრული იქნებოდა შესაბამისი სამუშაო ჯგუფი, რაც არ შეესაბამება პროცესის ლოგიკურ თანმიმდევრობას. მიუხედავად ამისა, აღნიშნული გარემოება არ უარყოფს მეთოდოლოგიის არსებობას და შესაბამისად განხილული იქნა სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის დოკუმენტი სტანდარტით განსაზღვრულ ინდიკატორთან მიმართებით სკოლას კი **მიეცა რჩევა სასურველია დოკუმენტების შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილი იყოს ლოგიკური თანმიმდევრობა, რომლის ფარგლებში პირველ ეტაპზე განისაზღვრება შესაბამისი სამუშაო ჯგუფი, შემდგომ ეტაპზე ამ ჯგუფის მონაწილეობით მეთოდოლოგიის შემუშავება და შემდგომ ამისა დოკუმენტის დამტკიცება.**

ამრიგად, სკოლამ 2025 წლის 11 სექტემბრის N2ს-56 ბრძანებით დაამტკიცა სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, სკოლის სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართულნი უნდა იყვნენ სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მოსწავლეები/მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობლები და თემი. მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ძირითადი მიდგომა არის თანამონაწილეობა, რაც გულისხმობს დაგეგმვის პროცესის განხორციელებას სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლების აქტიური ჩართულობით. აღნიშნული პროცესი მოიცავს სამუშაო ჯგუფის ფორმატში საქმიანობის წარმართვას, ასევე სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში შემუშავებული დოკუმენტების პროექტების გაზიარებას დაინტერესებულ მხარეებთან. ამასთან, დოკუმენტის მიხედვით, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება უზრუნველყოფილია სტრატეგიული დაგეგმვის თითოეული ახალი ციკლის დასაწყისში სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლობითი ჯგუფის განსაზღვრის გზით. აღნიშნული ჯგუფის წევრები მონაწილეობენ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ან/და ეცნობიან პროცესის ფარგლებში შემუშავებული დოკუმენტების პროექტებს. შესაბამისად, წარმოდგენილი მეთოდოლოგია განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში.

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით (თავი 8, პუნქტი 16), სტრატეგიულ განვითარებისა და ერთწლიან სამოქმედო გეგმებს ამტკიცებს სკოლის დირექტორი. აღნიშნული ჩანაწერი არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს N785 ბრძანებას („საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ“), რომლის მიხედვითაც დირექტორი ვალდებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს რიგი დოკუმენტები, მათ შორის სკოლის განვითარების სტრატეგია და სკოლის ყოველწლიური სამოქმედო გეგმა. შესაბამისად, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს მოქმედ ნორმატიულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას. აღსანიშნავია, რომ სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებულია კანონმდებლობის შესაბამისად სამეურვეო საბჭოს მიერ.

ხარვეზი **სტრატეგიული განვითარების გეგმაში არსებული ჩანაწერი სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირის შესახებ არ არის მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის პრაქტიკის შესაბამისი.**

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა 2026 წლის 27 აპრილის 2ს-46 ბრძანება, რომლითაც ცვლილება შეიტანა 2025 წლის 11 სექტემბრის 2ს-56 ბრძანებით დამტკიცებულ „სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის“ დანართში. ბრძანებას თან ერთვოდა ასევე სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, თუმცა აღნიშნული დოკუმენტის მე-10 თავის - „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/გაზიარება/დამტკიცების პროცესის აღწერა“ მე -2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში კვლავ მითითებულია ჩანაწერი: „სკოლის დირექტორის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცება და მათი გაზიარება სასკოლო საზოგადოებისათვის“. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა სკოლის პოზიცია ვერ გაიზიარა და ინდიკატორის მოთხოვნა კვლავ დაუკმაყოფილებელი დარჩა.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა არის შვიდწლიანი და მოიცავს 2025-2032 წლებს. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგიის მიხედვით სტრატეგიული დაგეგმვა ხორციელდება 7 წელიწადში ერთხელ. ახალ სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა იწყება მოქმედი სტრატეგიული გეგმის ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 6 თვით ადრე ან შესაბამისი სამართლებრივი/ფაქტობრივი გარემოებების დადგომიდან გონივრულ ვადაში. აღნიშნული ჩანაწერი მეთოდოლოგიის დოკუმენტში უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის ციკლურობას.

სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით (თავი 8 პუნქტი 11) სტრატეგიული გეგმა შედგება 3 მსხვილი მიზნისგან და და ითვალისწინებს ამ მიზნებისთვის მიღწევის ამოცანებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმაში კი წარმოდგენილია 7 მიმართულება/მიზანი.

სკოლას მიეცა რჩევა სკოლის პრაქტიკა და მეთოდოლოგიური დოკუმენტი მოიყვანოს შესაბამისობაში.

სკოლის მისია მიმართულია ჯანსაღ და უსაფრთხო სასწავლო გარემოში ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფისკენ, მოსწავლეებისთვის თვითრეალიზაციისთვის საჭირო ცოდნისა და ცნობიერების ჩამოყალიბებისკენ, პროფესიული ორიენტაციის განვითარების ხელშეწყობისა და ეროვნული ღირებულებების მქონე, კონკურენტუნარიანი ახალგაზრდების აღზრდისკენ. მისიის მისაღწევად განსაზღვრული

სტრატეგიული მიზნები: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება და ორგანიზაციული განვითარება შეესაბამება სკოლის მისიის ძირითად მიმართულებებს. აღნიშნული მიზნები ქმნის პირობებს როგორც ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის, ისე მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარების, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფისა და სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობისთვის.

ამრიგად, სკოლის სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი (2025-2026 წწ) სამოქმედო გეგმა სტრუქტურულად გამართულია და შინაარსობრივად შესაბამისობაშია სკოლის სტრატეგიულ განვითარების გეგმასთან. გეგმა მიზანმიმართულად ასახავს სტრატეგიულ ამოცანებზე დაფუძნებულ აქტივობებს და ქმნის წინაპირობას დაგეგმილი შედეგების მიღწევისთვის. ერთწლიან გეგმაში უმეტეს შემთხვევაში უზრუნველყოფილია სტრატეგიულ ამოცანებთან ლოგიკური კავშირი და აქტივობების თანმიმდევრულობა.თუმცა, გამოვლინდა გამონაკლისი - სტრატეგიულ გეგმაში ყოველწლიურად განსახორციელებლად განსაზღვრული ამოცანა „მოსწავლეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების განხორციელება“ არ არის ასახული მიმდინარე ერთწლიან გეგმაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლას მიეცა **რჩევა სასურველია ამოცანის, „მოსწავლეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების განხორციელება“ აქტუალურობიდან გამომდინარე, უზრუნველყოს მისი სისტემური ასახვა ყოველწლიურ სამოქმედო გეგმაში.**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, მათ შესრულების გაზომვადი ინდიკატორები/მტკიცებულებები, საქმიანობის განხორციელების ვადები, პასუხისმგებელი პირები ან სტრუქტურული ერთეულები, ასევე საჭირო რესურსები. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია აღნიშნული აქტივობების განხორციელებისთვის ფინანსები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- 2025 წლის 11 სექტემბრის N2ს-56 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია.;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმების დამტკიცებაზე (ოქმი N3).

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი ხორციელდება მისი მოქმედების პერიოდში ორჯერ, განხორციელების შუა ეტაპზე და გეგმის დასრულებისას, და გულისხმობს გეგმით განსაზღვრული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებასა და შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას, ხოლო შეფასება წარმოადგენს შეგროვებული მონაცემების ანალიზის პროცესს, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება შემდგომი რეაგირების საჭიროება.

ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება ასევე ხორციელდება წლის განმავლობაში ორჯერ, იანვარსა და ივნისში, და ეფუძნება ანგარიშგების პრინციპს. სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები სამუშაო ჯგუფს წერილობით წარუდგენენ ანგარიშებს განხორციელებული აქტივობებისა და მიღწეული შედეგების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება განსაზღვრულია წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში. სკოლამ, მეთოდოლოგიით განსაზღვრული პრინციპების დაცვითა და ვადების გათვალისწინებით, განახორციელა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შუალედური შეფასება იანვარში. შეფასების პროცესში სკოლა დაეყრდნო სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს.

სკოლას მიეცა **რჩევა, სასურველია სამოქმედო გეგმის წლიური შეფასების პროცესში დამატებით გამოიყენოს სასკოლო საზოგადოების და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი, რისთვისაც შესაძლებელია გამოკითხვის ან სხვა შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენება.**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სკოლას სამოქმედო გეგმის ანგარიში გასაჯაროებულია. ის სკოლის ფოიეშია გამოკრული
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სკოლის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით დგინდება, რომ მონიტორინგის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი, რომლის ფარგლებშიც მონიტორინგის ეტაპზე შეგროვებული ანგარიშები გადაეცემა შესაბამის სამუშაო ჯგუფს. სამუშაო ჯგუფი უზრუნველყოფს წარმოდგენილი ინფორმაციის შინაარსობრივ ანალიზს და ამზადებს შესაბამის ანგარიშს. შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე საჭიროების შემთხვევაში დირექტორის სახელზე წარადგენს ინიცირების წერილს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანის შესახებ. აღნიშნული მექანიზმი მიუთითებს, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და დირექტორთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებას 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეთანხმებული აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან საჯარო სკოლის საშტატო განრიგი და სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა ნუსხა (საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 13.02.2025 წლის წერილი MES 1 25 0000145595), რომელიც ასახავს სკოლაში არსებული საკადრო ერთეულების რაოდენობას. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს სტრუქტურის ვიზუალური გამოსახულება (ორგანიგრამა), რომელიც მკაფიოდ აჩვენებს სკოლის მმართველობით სტრუქტურას, სტრუქტურულ ერთეულებს, პოზიციებსა და მათ შორის არსებულ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ურთიერთდაქვემდებარებას.

საშტატო განრიგის მიხედვით, სკოლაში დასაქმებულია დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საინფორმაციო მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი და 28 მასწავლებელი. სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულები არიან: სკოლის ექიმი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ასისტენტი, ორი დარაჯი, ორი დამლაგებელი, ცეცხლფარეში და ენისა და მეტყველების სპეციალისტი.

სკოლის ორგანიგრამით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულებია: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები და მრჩეველთა საბჭო. დირექტორთან ჩატარებული ინტერვიუთი დადგინდა, რომ აღნიშნული სტრუქტურული ერთეულები უფლებამოსილების განხორციელებისას ხელმძღვანელობენ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით („ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“) და სკოლის მიერ შემუშავებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით, მათ შორის, დამრიგებლის საქმიანობის დებულებით, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებით, ბიბლიოთეკის მუშაობის წესით, კათედრებისა და მათი ხელმძღვანელების დებულებებით. ამასთან, დამრიგებლის საქმიანობა და კათედრების ფუნქციონირება რეგულირდება ასევე სასკოლო სასწავლო გეგმით.

დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და დირექტორთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლაში მოქმედი თანამდებობრივი პირების ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფიებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (EMIS) ასახული პერსონალის მონაცემებისა და მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების, სკოლის საშტატო განრიგის, ორგანიგრამის და სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ამსახველი ოქმების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სტრუქტურულ ერთეულებსა და თანამდებობრივ პირებს შორის არის მკაფიო, ლოგიკური და შესაბამისობაშია დაწესებულების ძირითად საქმიანობასა და მიზნებთან. აღნიშნული განაწილება სრულად მოიცავს სკოლის ფუნქციონირებისათვის საჭირო სფეროებს და არ იკვეთება ფუნქციათა დუბლირება, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. ინტერვიუები ჩატარდა სკოლის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წევრებთან. მათი განმარტებით, თითოეული მათგანი საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების ფარგლებში აქტიურად მონაწილეობს საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებასა და მხარდაჭერაში. მშობლებთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან სკოლაში დასაქმებულ პირთა ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში იციან, ვის მიმართონ კონკრეტული საკითხის გადასაჭრელად.

ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში დგება სტრუქტურული ერთეულების სამუშაო გეგმები (პედაგოგიური საბჭოსა და საგნობრივი კათედრების სამოქმედო გეგმები), რომლებიც განსაზღვრავს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშემწყობ აქტივობებს. სკოლაში დასაქმებულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები ისეა განაწილებული, რომ უზრუნველყოფილია ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ყველა აქტივობის განხორციელება. კერძოდ, ერთწლიანი სამოქმედო გეგმით დაკისრებული პასუხისმგებლობები თავსებადია თანამშრომელთა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფუნქციებთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშტატო განრიგი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრის დებულება და სამოქმედო გეგმა;
- ბიბლიოთეკის მუშაობის წესი;

- დამრიგებლის დებულება;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის ორგანიგრამა;
- პედსაბჭოს სამოქმედო გეგმა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლა, ადამიანური რესურსების მართვის პროცესების რეგულირების მიზნით იყენებს სკოლის შინაგანაწესს (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 8 სექტემბრის N2 სხდომაზე), ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტს და პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმებს.
შინაგანაწესი მოიცავს დასაქმებულთა შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს, მათ შორის: სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისადა დამთავრების დროს; დასვენების ხანგრძლივობას; შრომის ანაზღაურების გაცემის დროსა და წესს; ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს; შრომის პირობების დაცვის წესებს; წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახეს და გამოყენების წესს; მატერიალური პასუხისმგებლობას; შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვას, განცხადების/საჩივრის განხილვის წესს; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმებს; სკოლაში ჩაცმულობის წესს. აღნიშნული რეგულაციები უზრუნველყოფს შრომითი ურთიერთობების სტანდარტიზაციას. ამასთანავე, შინაგანაწესი საჭიროებს გარკვეულ განახლებას, რათა სრულად შეესაბამებოდეს სკოლის რეალობას. კერძოდ, გადასახედია საკლასო ჟურნალთან და მანდატურის ფუნქციებთან დაკავშირებული ჩანაწერები (სკოლაში მანდატური არ არის წარმოდგენილი), ასევე დასაზუსტებელია დისციპლინური წარმოების წესი დასაქმებულთა მიმართ (გარდა მასწავლებლებისა).
ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N2ს-88, 17.11.2025 წ.) განსაზღვრავს დოკუმენტის მიზნებსა და ამოცანებს და მოიცავს პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ზოგად მიმართულებებს, მათ შორის: კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების ორგანიზებას, დირექციის შეხვედრებზე პერსონალის მართვის საკითხების განხილვას, მოტივაციის ზრდის მიზნით წახალისების დაგეგმვას, არაფორმალური განვითარების ხელშეწყობას, კონსულტაციებსა და დისკუსიებს. ასევე წარმოდგენილია თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენის ზოგადი მიდგომა კითხვარების გამოყენებით. თუმცა, დოკუმენტი ატარებს ზოგად ხასიათს და არ განსაზღვრავს საქმიანობის განხორციელების კონკრეტულ მექანიზმებს, შეფასების მკაფიო კრიტერიუმებსა და ინდიკატორებს, ასევე პროცესების განხორციელებისა და შეფასების პერიოდულობას. დამატებით, დოკუმენტი ეყრდნობა ძალადაკარგულ სამართლებრივ აქტებს და მისი დამტკიცება განხორციელებულია არაუფლებამოსილი პირის დირექტორის მიერ, რაც აყენებს ეჭვქვეშ მის სამართლებრივ ვალიდურობას.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი დოკუმენტი ვერ განიხილება, როგორც პერსონალის მართვის ეფექტიანი ინსტრუმენტი.

პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები (დამტკიცებული 23/03/2026 წ. ბრძანება N2ს-25) განსაზღვრავს სკოლის პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების სისტემას. იგი არეგულირებს თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების პროცესს, მეთოდებსა და კრიტერიუმებს, ასევე შეფასების შედეგების გამოყენებას პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მიზნით.

ხარვეზი:

- **შინაგანაწესში გამოყენებული ჩანაწერები სკოლის რეალობაზეა მოსარგები;**
- **დამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცებული სკოლის დირექტორის მიერ ბრძნება N2ს-88 (17.11.2025 წ) რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს N785-ე ბრძანებასთან (საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ), რომლის მიხედვითაც სკოლის დირექტორი წარადგენს და სამეურვეო საბჭო ამტკიცებს სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტს;**
  არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულებამ წარმოადგინა 2026 წლის 14 აპრილის ბრძანება, რომლითაც ბათილად ცნო 2025 წლის 17 ნოემბრის 2ს-88 ბრძანება „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის „ დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე. ამასთან წარმოადგინა 2026 წლის 14 აპრილის სამეურველ საბჭოს სხდომის ოქმი N2, რომელზეც დამტკიცდა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია.
  რაც შეეხება შინაგანაწესს, ამავე ოქმით ცვლილება შევიდა სკოლის შინაგანაწესში. თუმცა შინაგანაწესში კვლავ რჩება ჩანაწერები საკლასო ჟურნალთან დაკავშირებით, რის გამოც ამ ნაწილში სკოლის არგუმენტირებული პოზიცია არ იქნა გაზიარებული.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლას 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიან გეგმაში ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრული აქვს პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკის დანერგვა. აღნიშნულ აქტივობაზე პასუხისმგებელ პირად კი მითითებულია დირექტორი, დირექტორის მოადგილე და საკონკურსო კომისია. საკონკურსო კომისია, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მასწავლებლის დასაქმებასთან დაკავშირებით ფაქტობრივად წარმოადგენს პრევენციულ ღონისძიებას, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში საუკეთესო კადრების მოზიდვასა და დასაქმებას, ხოლო დასაქმებულთა შეფასება, რომელიც განსაზღვრულია პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმებით უზრუნველყოფს პერსონალის შეფასების საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში პროფესიული მხარდაჭრის განსაზღვრას. სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულია სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დირექციის გაფრთხილების წესი, მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში კი განსაზღვრულია საჭიროების შემთვევაში მასწავლებლის ჩანაცვლება. სკოლას აქვს საათების დროებით გადანაწილების და შემცვლელი მასწავლებლის მიერ გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკა. ყოველივე ზემოთ აღნიშნული წარმოადგენს სკოლის ინტერვენციულ და პრევენციულ პოლიტიკას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ პერსონალის შერჩევისას სკოლა ორიენტირდება მაღალკვალიფიციურ კადრის შერჩევაზე. პერსონალის შერჩევის პროცედურები განსხვავდება პერსონალის ტიპიდან გამომდინარე. აკადემიური პერსონალის-მასწავლებლების შერჩევისას სკოლა ხელმძღვანელობს „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ „ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის N174/ნ ბრძანებით“. ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევა ხორციელდება როგორც ხელმძღვანელი პირის გადაწყვეტილებით ასევე კონკურსის გამოცხადებით. სკოლას ცალკე აქვს განსაზღვრული სკოლაში ექიმის შტატზე ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი. აღნიშნულ წესის მიხედვით კონკურსს ატარებს სკოლის შესაბამისი საკონკურსო კომისია, რომელიც შედგება არანაკლებ 3 და არაუმეტეს 5 წევრისაგან. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები და კომისია დაკომპლექტებულია სკოლის თანამშრომლებით. საკონკურსო კომისიის დაკომპლექტების მოცემული წესი წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება No41/ნ/01-23/ნ ით განსაზღვრულ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ ბრძანების მე-7 მუხლთან - სკოლის სამედიცინო პერსონალის შერჩევის წესი.

სკოლას ჰყავს ექიმი, რომელიც სკოლაში დასაქმებულია 2021 წელს მას აქვს უმაღელსი განათლება (ზოგადი პროფილის ექიმის კვალიფიკაცია). თუმცა დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი რომელიმე შემდეგ სპეციალობაში: ა) „პედიატრია“; ბ) „საოჯახო მედიცინა“; ან გ) „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი“.

პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია კანდიდატის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა, სადაც სავალდებულოდ წარმოსადგენ დოკუმენტაციის ჩამონათვალში არ არის გათვალისწინებული დასაქმებულის მხრიდან სხვადასხვა კატეგორიის ნასამართლობის შესახებ ცნობების წარმოდგენა. დასაქმებულთა პირადი საქმეების გადამოწმებისას დადგინდა რომ დასაქმებულთა ნაწილს სრულად წარმოდგენილი არ ჰქონდა დაკავებული პოზიციიდან გამომდინარე ცნობები. მაგ., ტ.მ.-ს, თ.ა-ს და ე.პ-ს არ ჰქონდათ წარმოდგენილი ცნობები უფლების ჩამორთმევისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ , ზ.მ-ს, თ.ღ-ს, გ.ჯ-ს და მ.მ-ს-ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ,, მ.ნ-ს და მ.პ-ს ცნობა ნასამართლობის შესახებ, ი.შ-ს ნასამართლობა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ.

ხარვეზი.

- კანდიდატის მიერ სავალდებულოდ წარმოსადგენ დოკუმენტთა ჩამონათვალში არ არის განსაზღვრული **ნასამართლობის ან/და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის ან/და უფლების ჩამორთმევის შესახებ** ცნობების წარმოდგენა.
- დასაქმებულთა პირად საქმეებში სრულად არ იყო წარმოდგენილი ცნობები **ნასამართლობის ან/და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის ან/და უფლების ჩამორთმევის შესახებ;**

- სკოლის მიერ შემუშავებული სკოლაში ექიმის შტატზე ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი არაა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი;
- სკოლის ექიმს არ აქვს ექიმის დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი კანონმდებლობით განსაზღვრულ რომელიმე სპეციალობაში.

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ დამატებით წარმოადგინა იმ დასაქმებულთა ცნობები ნასამართლობის ან/და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ, ასევე უფლების ჩამორთმევის თაობაზე, რომლებიც ვიზიტის განხორციელების დროს სრულად არ იყო წარმოდგენილი.კანდიდატის მიერ სავალდებულოდ წარმოსადგენ დოკუმენტთა ჩამონათვალში განსაზღვრა ნასამართლობის ან/და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის ან/და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების წარმოდგენის ვალდებულება.

სკოლამ 2026 წლის 29 აპრილის 2ს-48 ბრძანებით ცვლილება შეიტანა 2020 წლის 1 ოქტომბრის 2ს-78 ბრძანების „ექიმის შტატზე ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ დანართში. წარმოდგენილი ბრძანების მიხედვით საკონკურსო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრა კანონმდებლობის შესაბამისად, თუმცა აღნიშნული ცვლილება კვლავ არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ვინაიდან სკოლა ითხოვს სახელმწიფო სერტიფიკატს სპეციალობებში: „პედიატრია“, „საოჯახო მედიცინა“ და „თერაპია“, ნაცვლად კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციალობებისა: „პედიატრია“, „საოჯახო მედიცინა“ და „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი“.

რაც შეეხება სკოლის ექიმის კომპეტენციას, ამ ნაწილში სკოლამ მოქმედ ექიმთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში შეიტანა ცვლილება და მას განუსაზღვრა ვადა მიმდინარე წლის სექტემბრამდე წარმოადგინოს სახელმწიფო სერტიფიკატი რომელიმე ნებადართულ სპეციალობაში. ხოლო სტანდარტთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმის დასაქმება 2026 წლის სექტემბრამდე რაც გაზიარებული იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

ყოველივე ზემოთთქმული გათვალისწინებით კონკრეტულ ხარვეზებთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, ხოლო ექიმის შტატზე ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი კვლავ ხარვეზში დატოვა. რაც შეეხება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის დასაქმებას, სკოლას მიეცა რეკომენდაცია მიმდინარე წლის სექტემბრამდე დაასაქმოს სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე ექიმი კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებელი ფლობს შესაბამის სტატუსს, მათ შორის 6 მასწავლებელი არის წამყვანი. მასწავლებელთა, სპეციალური მასწავლებლების, სკოლის ექიმისა და დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით და სკოლა სრულად ეყრდნობა აღნიშნულ მოთხოვნებს პერსონალის შერჩევისა და დასაქმების პროცესში. რაც შეეხება

სხვა დასაქმებულებს, სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომელთა (გარდა მასწავლებლებისა) საკვალიფიკაციო მოთხოვნების განმსაზღვრელი დოკუმენტი (ბრძანება N2ს-98, 2025 წლის 17 დეკემბერი), რომელიც განსაზღვრავს თითოეული პოზიციისათვის აუცილებელ განათლებას, პროფესიულ გამოცდილებასა და კომპეტენციებს. აღნიშნული დოკუმენტი უზრუნველყოფს პერსონალის შერჩევისა და მართვის პროცესის გამჭვირვალობასა და თანმიმდევრულობას. წარმოდგენილი დასაქმებულთა პირადი საქმეებისა ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომლის კვალიფიკაცია შეესაბამება როგორც მოქმედ კანონმდებლობას, ისე დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. თანამშრომელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები (დიპლომები, სერტიფიკატები, სამუშაო გამოცდილების ამსახველი ინფორმაცია) სრულადაა წარმოდგენილი და სისტემატიზებულია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმების ანალიზი ადასტურებს, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სტრუქტურული ერთეულები ფუნქციონირებენ თანამშრომლობისა და გუნდურობის საფუძველზე. ისინი რეგულარულად ატარებენ სხდომებს, სადაც საკითხები განიხილება წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის მიხედვით, ხოლო მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება ოფიციალური ოქმების სახით. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას. საგნობრივი კათედრების ფარგლებში სისტემატურად მიმდინარეობს გამოცდილების გაზიარება, სწავლების ეფექტიანი მეთოდების განხილვა და კურიკულუმის შემუშავება/განხილვა, რაც ხელს უწყობს პროფესიულ თანამშრომლობასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. სკოლის მართვის ძირითადი ორგანოები: პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, საგნობრივი კათედრები და მრჩეველთა საბჭო სასწავლო წლის დასაწყისში ამტკიცებენ სამუშაო გეგმებს და საქმიანობას წარმართავენ აღნიშნული გეგმების შესაბამისად. გადაწყვეტილებები მიიღება კენჭისყრით, რაც კიდევ უფრო აძლიერებს პროცესის დემოკრატიულობასა და მონაწილეობის პრინციპს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია ორგანიზაციული კულტურა, რომელიც ეფუძნება თანამშრომლობას, ჩართულობასა და საერთო პასუხისმგებლობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლაში დანერგილია წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. წარმატებული გამოცდილების აღიარების მექანიზმი რეგულირდება შინაგანაწესით და უზრუნველყოფს პროფესიული მიღწევების აღიარებას. დოკუმენტის მიხედვით, მაღალი პროფესიონალიზმისა და განსაკუთრებული მიღწევებისათვის გამოიყენება წახალისების სხვადასხვა ფორმა (მადლობა, სიგელი, ფულადი

პრემია და სხვ.), ხოლო წახალისების ინიცირება შეუძლია დირექტორის მოადგილეს, საგნობრივ კათედრას, პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დასაქმებულთათვის მადლობის გამოცხადების ბრძანებები ადასტურებს აღნიშნული მექანიზმის პრაქტიკულ გამოყენებას. ამასთან, სკოლაში დამკვიდრებულია გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა კათედრების ფარგლებში, რაც გამოიხატება კოლეგიალურ შეხვედრებსა და პროფესიულ დისკუსიებში. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალები (კოლეგების შეხვედრის ამსახველი ჩანაწერები) ადასტურებს, რომ პედაგოგები აზიარებენ მაგალითად, კომპლექსური დავალებების შექმნის და შეფასების, სწავლების მეთოდებს (მათ შორის, დიაგრამების გამოყენების) პრაქტიკას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 17.11.2025 წლის ბრძანება N2ს-88 (ადამიანური რესურსების მართვის პოკიტიკის დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე;
- კოლეგების სამუშაო შეხვედრების ამსახველი ჩანაწერები;
- პედსაბჭოს ოქმები;
- კათედრების ოქმები;
- დასაქმებულთა პირადი საქმეები.
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- 2026 წლის 29 აპრილის 2ს-48 ბრძანება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლაში შემუშავებულია პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები (23/03/2026 წლის ბრძანება N2ს-25). აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს როგორც მასწავლებელთა, ასევე სხვა პერსონალის საქმიანობის შეფასების ფორმებს, მეთოდებსა და კრიტერიუმებს. მასწავლებელთა შეფასება ხორციელდება მრავალმხრივი და სისტემური მიდგომით, რაც მოიცავს: გაკვეთილზე დაკვირვებას, მასწავლებლის პორტფოლიოს ანალიზს, სასწავლო წლის ბოლოს მოსწავლეთათვის განკუთვნილ კითხვარებს, მასწავლებელთა თვითშეფასებას, კოლეგების ურთიერთშეფასებას, ინტერვიუს, მოსწავლეთა მიღწევების ანალიზსა და წლის ბოლოს წარმოდგენილ ანგარიშს. თითოეული კომპონენტი შეფასებულია წინასწარ განსაზღვრული შესაბამისი რუბრიკების საფუძველზე.

სკოლის სხვა პერსონალის საქმიანობის შეფასება ასევე ხორციელდება სხვადასხვა მექანიზმებით, მათ შორის საქმიანობაზე დაკვირვებით, ანკეტირებით, ინტერვიუს საშუალებით და წლის ბოლოს წარმოდგენილი ანგარიშის შეფასებით. თანამშრომელთა სამუშაოს შეფასება ეფუძნება შესრულების ხარისხის განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რომლებიც გაწერილია შესაბამის დოკუმენტში და უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლაში შემუშავებულია პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები (23/03/2026 წლის ბრძანება N2ს-25), რომლის მიხედვითაც პერსონალის შეფასება ხორციელდება წლის განმავლობაში და მიღებული შედეგები გამოყენებული უნდა იქნას თანამშრომელთა პროფესიული განვითარების დაგეგმვისთვის. დოკუმენტის შესაბამისად, შეფასების შედეგებზე დაყრდნობით უნდა განისაზღვროს პერსონალის განვითარების საჭიროებები, რის საფუძველზეც სკოლის დირექცია ვალდებულია შეიმუშაოს ინდივიდუალური განვითარების გეგმები და უზრუნველყოს მათი განხორციელება. ვიზიტის პერიოდში დადგინდა, რომ აღნიშნული მექანიზმი ახლად შემუშავებულია და მისი პრაქტიკული განხორციელება სრულად არ ფიქსირდება. თუმცა მასწავლებელთა შეფასების პრაქტიკა სკოლას აქვს და შეფასების შედეგებიდან გამომდინარე მასწავლებლებს სხვადასხვა წლებში გავლილი აქვთ სხვადასხვა ტრენინგები, მაგრამ ეს პროცესი სკოლის მიერ მართული არ ყოფილა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სკოლაში უკვე ფორმალურად განსაზღვრულია პერსონალის განვითარების მექანიზმები, რომელიც ეფუძნება გამოვლენილ საჭიროებებს, და როგორც ინტერვიუში აღნიშნა სკოლის დირექტორმა უკვე იწყებს მის პრაქტიკაში გამოყენებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, მათ შორის კათედრაზე გამოცდილების გაზიარების მხარდაჭერით. სკოლის პრაქტიკა ადასტურებს აღნიშნულს: დირექტორთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ იგი თავად იყო ამავე სკოლის მასწავლებელი და სკოლის მხარდაჭერით შეძლო ჯერ წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მიღება, ხოლო შემდგომ წარმატებით გაიარა დირექტორის შესარჩევი კონკურსი. ამასთანავე, სკოლაში დასაქმებული წამყვანი მასწავლებლებიც საკუთარ კარიერულ წინსვლას უკავშირებენ სკოლის მხრიდან მიღებულ მხარდაჭერასა და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლაში შემუშავებულია თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის წესი (24/03/2026 წლის ბრძანება №2ს-27), რომელიც მიზნად ისახავს ახალი თანამშრომლების ჩართვას სასკოლო გარემოში. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს კონკრეტულ აქტივობებს, რომლებიც უზრუნველყოფს დასაქმებულის ეფექტიან ადაპტაციას, მათ შორის: სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციისა და ორგანიზაციული კულტურის გაცნობას, შიდა საკომუნიკაციო არხებში (სოციალურ ქსელებში) დამატებას, სკოლის სივრცის გაცნობას და სამუშაო გარემოს ორგანიზებას. თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, რაც პროცესის ორგანიზებულ და კონტროლირებად განხორციელებას უწყობს ხელს.

სკოლის თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუებით ასევე დადასტურდა, რომ პრაქტიკაში სკოლა ხელს უწყობს ახალ თანამშრომელთა ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან და უზრუნველყოფს მათთვის მხარდამჭერი გარემოს შექმნას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლას გააჩნია თანამშრომელთა ინტეგრაციის მკაფიოდ გაწერილი და სტრუქტურირებული მექანიზმი, რომლის პრაქტიკული განხორციელებაც დასტურდება..

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლის პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლის მიერ დანერგილი მექანიზმების შესაბამისად, თანამშრომელთა მოტივირება მოიცავს როგორც მატერიალურ, ასევე არამატერიალურ სტიმულირებას, რაც მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისკენ. სკოლის დირექცია გამოხატავს მზაობას თანამშრომელთა ინიციატივების მიღებისა და მხარდაჭერის მიმართულებით. ინტერვიუების შედეგად მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ ისინი ინიციატივებს ძირითადად ზეპირი კომუნიკაციის ფორმით აყენებენ და მათი განხორციელება მხარდაჭერილია სკოლის შესაძლებლობების ფარგლებში. პროფესიული განვითარების მიმართულებით ინიციატივების წახალისების შედეგად, სკოლაში რამდენიმე მასწავლებელმა შეძლო პროფესიული სტატუსის მოპოვება ან ამაღლება, რაც აღნიშნული პროცესის ეფექტიანობაზე მიუთითებს. ამასთან, დგინდება, რომ მიუხედავად ინიციატივების მხარდაჭერის პრაქტიკის

არსებობისა, აღნიშნული პროცესი არ არის ფორმალიზებული შიდა რეგულაციის დონეზე. კერძოდ, არ არის განსაზღვრული ინიციატივების დაფიქსირების, განხილვისა და განხორციელების მკაფიო მექანიზმები, ასევე შესაბამისი პასუხისმგებელი პირები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში პერსონალის განვითარების ინიციატივები პრაქტიკაშია წახალისებული.

რჩევა. სასურველია სკოლამ შეიმუშაოს შიდა რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავს პერსონალის განვითარების ინიციატივების დაფიქსირების, განხილვისა და განხორციელების წესს, ასევე პროცესში ჩართული პასუხისმგებელი პირების ფუნქციებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
- კათედრის ოქმები;..

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (22/12/2025 წლის ბრძანება N2ს-100). დოკუმენტის ანალიზით დგინდება, რომ სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პროცესში გეგმავს პროცესული მიდგომისა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის გამოყენებას. კერძოდ, განსაზღვრულია, რომ სკოლა გეგმავს საქმიანობას (ერთწლიანი სამოქმედო გეგმა), ახორციელებს განხორციელებული აქტივობების შემოწმებას წინასწარ განსაზღვრული მიმართულებებისა და კრიტერიუმების მიხედვით, ხოლო შემდგომ ახდენს შედეგების ანალიზსა და რეაგირებას, რაც მიმართულია ძლიერი მხარეების შენარჩუნებისა და გამოვლენილი ხარვეზების გაუმჯობესებისკენ. ასევე განსაზღვრულია ანგარიშვალდებულების ზოგადი წესი - სასწავლო წლის ბოლოს თანამშრომლები წარმოადგენენ შესრულებული საქმიანობის ანგარიშს. არც წარმოდგენილ დოკუმენტში, არც სხვა ფორმით სკოლას არ წარმოუდგენია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად აქტივობების განხორციელების გეგმა. ამასთან წარმოდგენილი დოკუმენტის ანალიზით იკვეთება **ხარვეზები. არ არის განსაზღვრული ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ან სტრუქტურული ერთეული; არ არის გაწერილი პროცესების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები, დასკვნის მომზადებისა და უკუკავშირის მიწოდების მექანიზმები, ამასთან, დოკუმენტში მითითებული ავტორიზაციის ვადა (6 წელი) არ შეესაბამება მოქმედ რეგულაციას.**

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა 2026 წლის 1 მაისის 2ს-50 ბრძანება, რომლის საფუძველზეც ცვლილება შევიდა 2025 წლის 22 დეკემბრის 2ს-100 ბრძანების „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ დანართში. კერძოდ, ავტორიზაციის 6-წლიან ვადასთან დაკავშირებული ჩანაწერი შეიცვალა 9-წლიანი ვადის მითითებით. განისაზღვრა დასკვნის მომზადებისა და უკუკავშირის მიწოდების მექანიზმები. ასევე პასუხისმგებელი პირები. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „ინდიკატორის მოთოვნა არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის მიერ შემუშავებულ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში მოცემულია იმ მიმართულებების ჩამონათვალი, რომლებიც უნდა დაექვემდებაროს შეფასებასა და მონიტორინგს. აღნიშნულ ჩამონათვალში გაბნეული სახით წარმოდგენილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები, თუმცა ისინი მოცემულია მხოლოდ შეფასების კონტექსტში. დოკუმენტის ანალიზით დგინდება, რომ აღნიშნული პროცესები არ არის სტრუქტურირებულად იდენტიფიცირებული და დეტალურად აღწერილი, არ არის დაყოფილი კატეგორიების მიხედვით (მმართველობითი, ძირითადი, დამხმარე) და არ არის განსაზღვრული თითოეული პროცესის შინაარსი, ეტაპები და პასუხისმგებელი პირები.
ხარვეზი. სკოლის საგანმანათლებლო საქმოანობასთან დაკავშირებილი პროცესები არ არის სტრუქტურირებულად იდენტიფიცირებული (მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე) და დეტალურად აღწერილი. არ არის განსაზღვრული თითოეული პროცესის შინაარსი, ეტაპები და პასუხისმგებელი პირები.

სკოლამ წარმოადგინა 2026 წლის 5 მაისის 2ს-51 ბრძანება „მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების მართვის შესახებ“, რომლითაც სტრუქტურირებულად არის განსაზღვრული სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები, აღწერილია მათი შინაარსი და განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები. წარმოდგენილ დოკუმენტში გამოვლენილია ტექნიკური ხარვეზი, რომელიც საჭიროებს გამოსწორებას. კერძოდ, დოკუმენტის მეორე თავში N1 ცხრილში სწორად არის იდენტიფიცირებული და განსაზღვრული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები, ხოლო მესამე თავის N2 ცხრილში პროცესის სახედ ყველგან მითითებულია მხოლოდ „მმართველობითი პროცესი“. სკოლას მიეცა რჩევა გაასწოროს აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი. ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორის მოთხოვნა მიიჩნია დაკმაყოფილებულად.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებაში დოკუმენტურად განსაზღვრულია განცხადებებისა და საჩივრების განხილვის სისტემა. კერძოდ, სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესი (07/05/2025 წ., ბრძანება N2ს-16), რომლის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებზე, მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, აგრეთვე ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე, რომელსაც სურს განცხადებით მიმართოს სკოლას. აღნიშნული წესით განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის წარდგენის პროცედურები და სავალდებულო რეკვიზიტები, მათი განხილვის ზოგადი წესი და ვადები, დისციპლინური საჩივრების განხილვის მექანიზმები, დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადები, ასევე განცხადების/საჩივრის განხილვაზე უარის თქმის საფუძვლები. დოკუმენტი ასევე მოიცავს მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა საჩივრების განხილვის სპეციფიკურ წესებს, მათ შორის შიდა სასკოლო გამოცდების შედეგების გასაჩივრების პროცედურებს. ასევე აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში არის მითითებები გარკვეულ მუხლებსა და პუნქტებზე (მაგალითად 4.4 პუნქტზე, 5.3 და სხვა), თუმცა აღნიშნული პუნქტები დოკუმენტის ტექსტში არ არის წარმოდგენილი.

ხარვეზი. განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესში მითითებულია ამავე წესში არარსებული მუხლები და პუნქტები.

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა 2026 წლის 5 მაისის 2ს-52 ბრძანება, რომლის საფუძველზეც ცვლილება შევიდა 2025 წლის 7 მაისის 2ს-16 ბრძანებით დამტკიცებული „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესის“ დანართში. აღნიშნული ცვლილებით წესში არსებული ყველა მუხლი და პუნქტი გასწორდა, კერძოდ, დოკუმენტში ადრე არსებული არასწორი გადამისამართებები შესაბამის მუხლებსა და პუნქტებზე ჩანაცვლდა სწორი და დაზუსტებული ჩანაწერებით. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „ინდიკატორის მოთოვნა არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია“.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებების დაცვის ძირითადი მექანიზმი არის სკოლის შინაგანაწესი, სადაც განსაზღვრულია შიდა რეგულაციები, ქცევის წესები სკოლის ტერიტორიაზე, დისციპლინური დარღვევების ჩამონათვალი და მათზე რეაგირების მექანიზმები. თანამშრომელთა უფლებები და ვალდებულებები რეგულირდება მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით, ხოლო მოსწავლეებისა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებები და ვალდებულებები განსაზღვრულია სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულ შესაბამის ხელშეკრულებებში. ვიზიტის ფარგლებში განხილული დოკუმენტაციის (დისციპლინური კომიტეტის ოქმები და დირექტორის ბრძანებები) ანალიზით დასტურდება, რომ სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც განიხილავს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებს. თითოეული გადაწყვეტილება, რომელიც გამოიცემა ბრძანების სახით, შეიცავს გასაჩივრების ვადასა და ადგილს. მოსწავლეებთან, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ისინი იცნობენ გასაჩივრებს და საჩივრის განხილვის სისტემას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესი;
- დისციპლინური კომიტეტის ოქმები,
- 2026 წლის 1 მაისის 2ს-50 ბრძანება;
- 2026 წლის 5 მაისის 2ს-51 ბრძანება;
- 2026 წლის 5 მაისის 2ს-52 ბრძანება.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლა უზრუნველყოფს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას, უკუკავშირის მიღებასა და მიღებულ ინფორმაციაზე რეაგირებას. სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ხორციელდება როგორც ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრების, ასევე სოციალურ ქსელის, ელექტრონულ ფოსტის და ინდივიდუალური შეხვედრების დროს. მშობლებთან კომუნიკაცია ასევე მიმდინარეობს ელექტრონული ჟურნალისა და დამრიგებლების მეშვეობით. სკოლის საინფორმაციო მენეჯერი ახდენს ბრძანებების გაცნობას დაინტერესებული პირებისათვის. უკუკავშირის მიღება ხორციელდება სხვადასხვა ფორმით, მათ შორის კათედრების სხდომებზე,

პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს შეხვედრებზე, ასევე მშობლებთან პირისპირ კომუნიკაციისა და დახურული ჯგუფების საშუალებით. სასკოლო საზოგადოების წევრებთან ჩატარებული ინტერვიუებიც ადასტურებს, რომ ადმინისტრაცია რეაგირებს მიწოდებულ ინფორმაციასა და უკუკავშირზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრებით, რაც უზრუნველყოფს მათი აქტიურ ჩართულობას სასკოლო ცხოვრების მართვის პროცესებში. სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში წარმოდგენილია მასწავლებლის, მშობლებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლები. საბჭო იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, მათ შორის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების და სკოლის ბიუჯეტის დამტკიცებას, დისციპლინური კომიტეტის ფორმირებას, სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმებას და სხვა. პედაგოგიური საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია მასწავლებლებით, მონაწილეობს ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებების მიღებაში,როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა, ასევე წარმომადგენლების არჩევა დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოში.დისციპლინური კომიტეტი შედგება მასწავლებლის, მშობლისა და საშუალო საფეხურის მოსწავლის წარმომადგენლებისგან, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიუკერძოებლად და მრავალმხრივი განხილვით მიღებას.

მრჩეველთა საბჭო დაკომპლექტებულია სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლებით - მათ შორის პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოების თავმჯდომარეებით, დირექციით, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარით და რესურსცენტრის წარმომადგენლით. საბჭო კოლეგიალურად განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის საკითხებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.ამასთან, მშობელთა კრებებზე განიხილება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები და უზრუნველყოფილია მათი მოსაზრებების დაფიქსირება

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასტურდება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების აქტიური მონაწილეობა მართვის კოლეგიურ ორგანოებსა და სასკოლო ცხოვრების პროცესებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედაგოგიური საბჭოს სხდომების ოქმები;
- სამეურვეო საბჭოს სხდომების ოქმები;

- მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმები;
- კათედრების ოქმები;
- მრჩეველთა საბჭო ს სხდომის ოქმები;
- დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლის ტერიტორია შემოღებულია და დაცულია უცხო პირთა გადაადგილებისაგან. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დაცვაზე პასუხისმგებელია ორი დარაჯი, რომლებიც უზრუნველყოფენ პერიმეტრის მონიტორინგს. ამასთან, დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია მასწავლებელთა მორიგეობის სისტემა, რომელიც დამატებით ხელს უწყობს სკოლის ტერიტორიაზე წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნით (16/03/2026 წ. საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა N 001361326) შენობის ტექნიკური მდგომარეობა, ვიზუალური გამოკვლევის მიხედვით, დამაკმაყოფილებელია. შენობის მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებს არანაირი სახის დაზიანებები არ გააჩნია. ის დეფექტები, რომელიც დაფიქსირდა შენობის მდგრადობაზე უარყოფით გავლენას არ ახდენს, თუმცა საჭიროებს დროულად გამოსწორებას. დღეის მდგომარეობით სკოლის შენობა ექვემდებარება უსაფრთხო ექსპლოატაციას.

საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა სკოლას შეთანხმებული აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან
(20/02/2026 წლის წერილი MIA 0 26 00604773);
ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლამ მიმართა უფლებამოსილ ორგანოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით (საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში რეგისტრაციის ნომერი N1234382;08.04.2026 წ).
სკოლას ასევე აქვს შშმ პლათფორმა/ლიფტი H-IFT200 ის ინსპექტირების ანგარიში N0567-24 (ინსპექტირების თარიღი 25/06/2024 წელი.)წარმოდგენილი დასკვნის თნახმად შშმ პლათფორმა/ლიფტი შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს.
რჩევა **სასურველის სკოლამ დანიშნოს „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი სერტიფიკატის ან დიპლომის მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.**
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სამედიცინო დახმარების წესი (07/05/2025 წ. ბრძანება N2ს-17), რომელიც განსაზღვრავს სამედიცინო პერსონალის კომპეტენციებს და დეტალურად აღწერს ექიმისა და ექთნის ვალდებულებებს. ექთნის კომპეტენციის ნაწილი არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ-ით განსაზღვრულ სკოლის ექთნის კომპეტენციებს , ამასთან, მიზანშეწონილია, რომ აღნიშნულ წესში დამატებით დაკონკრეტდეს ექიმის მიერ სხვა სამსახურის შეთავსების საკითხი. ექიმის კაბინეტი განთავსებულია სკოლის შენობის პირველ სართულზე. ის აღჭურვილია სათანადოდ. სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ექიმთან რომელსაც უდასტურდება უმაღლესი სამედიცინო განათლება, **თუმცა არ უდასტურდება დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი რომელიმე შემდეგ სპეციალობაში: ა) „პედიატრია"; ბ) „საოჯახო მედიცინა"; გ) „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი". სკოლის ექიმი დასაქმებულია 2021 წლიდან.**

რჩევა საურველია სკოლამ სამედიცინო დახმარების წესში განსაზღვროს ექიმის მიერ სხვა სამსახურის შეთავსების საკითხიც.
ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

ხარვეზი. სკოლაში დასაქმებული ექიმი, რომელსაც არ გააჩნია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი N41/ნ/01 23/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესით" განსაზღვრულია კვალიფიკაცია.

სკოლამ წარმოადგინა 04.05.2026 წელს ექიმთან გაფორმებული შეთანხმება, რომლის საფუძველზეც სკოლამ ექიმს განუსაზღვრა ვალდებულებად მიმდინარე წლის სექტემბრამდე წარმოადგინოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი N41/ნ/01 23/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესით“ განსაზღვრულია კვალიფიკაციის, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის დამადასტურებელი სერტიფიკატი. ამასთან სკოლამ დამატებით სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით აიღო ვალდებულება, რომ 2026 წლის 29 აპრილიდან 2026 წლის სექტემბრამდე გამოაცხადებს ვაკანსიას კვალიფიციური ექიმის დასაქმების მიზნით, ჩაატარებს კონკურსს და დაასაქმებს კვალიფიციურ ექიმს შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, ინდიკატორის შეფასება შეცვალა შეფასებისთ „ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია და გასცა რეკომენდაცია. სტანდარტთან უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად (2026 წლის 29 აპრილი სექტემბერი) უზრუნველყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი N41/ნ/01 23/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესით“ განსაზღვრული კვალიფიკაციის მქონე ექიმის დასაქმება.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე. სკოლის დირექტორის ბრძანებით არის გამოყოფილი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი, (2019 წლის 28 თებერვლის N2ს-10 ბრძანება) , რომელსაც 2019 წელს კანონმდებლობის შესაბამისად გავლილი აქვს საქართველის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ მანდატურის სამსახურში შესაბამისი გადამზადება. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდება ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მეშვეობით. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას ასევე უზრუნველყოფს ორი დარაჯი და მასწავლებელთა მორიგეობის სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია..

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლა არსებული რესურსების ფარგლებში უზრუნველყოფს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ და ემოციურ უსაფრთხოებას. მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლა სისტემატურად მართავს საინფორმაციო შეხვედრებს და ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს, რომლებიც მიმართულია ძალადობის

პრევენციისა და ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლებისკენ. ამასთან, სადამრიგებლო საათის თემებში განიხილება ისეთი საკითები, როგორიცაა ტოლერანტობა, ადამიანთა უფლებები, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები, თანამშრომლობის მნიშვნელობა, ცნება - "თანაკლასელი"; ურთიერთობისას და სწავლის პროცესში წამოჭრილი სირთულეები და მათი მოგვარების გზები; კონფლიქტების აცილებისა და მოგვარების უნარების განვითარების აუცილებლობა. თვითრწმენა - საკუთარ თავსა და ძალებში დარწმუნება; პატივისცემა – საკუთარი თავის, სხვა ადამიანების; როდის ვარღვევთ სხვათა უფლებებს? როდის ირღვევა ჩვენი უფლებები?ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და სხვა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად სკოლაში დასაქმებულია 2 დამლაგებელი, რომლებიც ყოველდღიურად ახორციელებენ როგორც შიდა სივრცეების, ასევე გარე პერიმეტრის დასუფთავებას. მათი უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. სკოლაში მოწესრიგებული და გამართულია სველი წერტილები: ცალკე ვაჟებისათვის, ცალკე გოგონებისთვის, ცალკე მასწავლებლებისთვის, ასევე ადაპტირებული სველი წერტილი; ყოველდღიურად სადეზინფექციო საშუალებით სუფთავდება საკლასო ოთახები, დერეფნები, სამედიცინო კაბინეტი.

სასკოლო საზოგადოების წევრებთან ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა ხორციელდება ყოველდღიურ რეჟიმში. საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები ინახება უსაფრთხო, ჩაკეტილ სათავსოში, რომელიც ნიავდება შესაბამისად უზრუნველყოფილია მათი უსაფრთხო გამოყენება და დაცვა. ამასთან, სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია შესაბამისი ფინანსური რესურსი შენობა-ნაგებობისა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებისთვის, რაც დამატებით უზრუნველყოფს აღნიშნული პროცესის მდგრად და ეფექტიან განხორციელებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლას 2025 წლის 25 მარტის N2ს-07 ბრძანებით განსაზღვრული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობა და ანგარიშვალდებულების საკითხი. ასევე, 2025 წლის 21 მარტის N19 ბრძანების საფუძველზე , საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს-ქალაქ დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ განსაზღვრულია პირი, რომელიც სკოლისთვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციების შესრულებას უზრუნველყოფს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი რეგისტრირებულია შესაბამის ბაზაში და სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი (17/11/2025 წლის ბრძანება N2ს-87), რომელიც არეგულირებს მონაცემთა დამუშავების პროცესებს. აღნიშნული წესი

ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ და სკოლის სახელით მოქმედ ყველა პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. მასთან, დოკუმენტის დანართად განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე წერილობითი თანხმობის ფორმა. მიუხედავად ამისა, დასაქმებულებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობა ჩაშენებული სახით არის მოცემული, რაც ეწინააღმდეგება ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს ორგანულ კანონს. კერძოდ, ხელშეკრულებაში პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის მოპოვების ჩაშენება არღვევს ნებაყოფლობითობის პრინციპს ვინაიდან, დასაქმებული ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, ფაქტობრივად „იძულებული“ ხდება დაეთანხმოს პერსონალური მონაცემების დამუშავების ნაწილსაც.

სკოლაში მონიტორი, რომელზეც გადაიცემა სკოლის ვიდეოსათვალთვალო კამერების მიერ დაფიქსირებული კადრები, განთავსებულია ცალკე ოთახში და მასზე წვდომა შეზღუდულია. სკოლის დარაჯს, ხელშეკრულებით განსაზღვრული აქვს ვიდეოსამეთვალყურეო კამერების მონიტორინგი, მაგრამ შესაბამისი გადამზადება არ აქვს გავლილი ამასთან სკოლას განსაზღვრული ჰყავს კანონმდებლობით გადამზადებული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც არ არის დარაჯი. სკოლის გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეომონიტორინგის სისტემა უზრუნველყოფს სკოლის გარე პერიმეტრის (მათ შორის სპორტული მოედანი) სრულად ვიდეომონიტორინგსა და იქ მყოფი პირების ვიზუალურად დანახვისა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. შესაბამისად ვიზიტის პერიოდში სპორტის მასწავლებლებისგან მოპოვებული იქნა შესაბამისი თანხმობები. პირადი საქმეები ინახება ჩაკეტილ კარადებში და დაცულია მესამე პირის წვდომისგან.

ხარვეზი.

- **სკოლას დასაქმებულებისგან პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე უფლება მოპოვებული აქვს კანონმდებლობის დარღვევით.**
- **სკოლის დარაჯს ხელშეკრულებით განსაზღვრული აქვს ვალდებულება განახორციელოს ვიდეოსამეთვალყურეო კამერების მონიტორინგი. მას არ აქვს გავლილი გადამზადება შესაბამის სამსახურში. ის არ არის განსაზღვრული უფლებამოსილ პირად. ამასთან სკოლას ჰყავს გადამზადებული უფლებამოსილი პირი.**

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა დარაჯთან გაფორმებული შეთანხმება შრომით ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, რომლის საფუძველზეც დარაჯს მოეხსნა ვიდეოსამეთვალყურეო კამერების მონიტორინგის ვალდებულება, რაც გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფმაც.

სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დაწესებულებამ აიღო ვალდებულება დასაქმებულთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან ამოეღო პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე ჩაშენებული თანხმობა. აღნიშნული აქტივობისთვის განსაზღვრა პერიოდი მიმდინარე წლის 5 მაისამდე და აქტივობა მონიშნა როგორც შესრულებული. არგუმენტირებულ პოზიციაში კი წარმოადგინა შეთანხმებები, რომლითაც უზრუნველყო პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის მოპოვება. გამომდინარე იქიდან, რომ ეს შეთანხმებები ხელშეკრულების ნაწილია ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის პოზიცია და პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე უფლების მოპოვება კვლავ კანონმდებლობის შეუსაბამოდ მიიჩნია.

7.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლაში უზრუნველყოფილია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვა შესაბამისი მექანიზმების საშუალებით. დირექტორი და ადმინისტრაციული პერსონალი, რომლებიც მუშაობენ პერსონალურ მონაცემებზე, იყენებენ ინდივიდუალურ კომპიუტერებს, რომელთა ხელმისაწვდომობა შეზღუდულია პაროლების გამოყენებით. ტექნიკა დაცულია ანტივირუსული პროგრამებით, ხოლო სხვადასხვა ელექტრონულ პლატფორმებზე (eschool, eflow, ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული ჟურნალი) წვდომა ხორციელდება პერსონალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის მეშვეობით. პირადი საქმის შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საქმისმწარმოებელი. პირად საქმეებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს: სკოლის დირექტორს, საინფორმაციო მენეჯერს და შესაბამისი კლასის დამრიგებელს (მხოლოდ მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა პირად საქმეებზე).

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

8.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო და განსაზღვრულია უსაფრთხოების მიმართულებით პასუხისმგებელი პირი, რომელიც რეგულარულად ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მონიტორინგს. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განხილული საკითხები ადასტურებს, რომ სკოლა სისტემურად აკონტროლებს უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვას, აფასებს არსებულ მდგომარეობას და გეგმავს შესაბამის გაუმჯობესების ღონისძიებებს. აღნიშნული სხდომები გამოიყენება იმ აქტივობების დაგეგმვისთვის, რომლებიც მიზნად ისახავს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაძლიერებას მშობლებთან და მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ ისინი სკოლაში თავს უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობენ.

ინდიკატორის მოთივნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 07/05/2025 წლის ბრძანება N2ს-17 სამედიცინო წესის დამტკიცების შესახებ;
- 2026 წლის ბიუჯეტი;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- სკოლის მიმართვა უფლებამოსილ ორგანოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;

- დასკვნა შენობის უსაფრთოდ ექსპლოატაციის შესახებ;
- დარაჯის ხელშეკრულება;
- უფლებამოსილი პირის გადამზადების სერტიფიკატი;
- ბრძანება უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ;.
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი;
- ინსპექტირების ანგარიში;
- პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი;
- ექიმის პირადი საქმე;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- შეთანხმება ექიმთან;
- დარაჯთან გაფორმებული შეთანხმება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი N52.07.36.060. მომზადების თარიღი 10/05/2022) დგინდება, რომ სკოლა მდებარეობს დედოფლისწყაროში, სოფელ სამრეკლოში. დაზუსტებული ფართობია 10687.00კვ.მ ტერიტორიაზე მდებარეობს 4 შენობა. მათგან N1 შენობა არის სკოლა, დანარჩენი შენობებიდან ერთი არის წყლის რეზერვიუარისთვის შენობა, ერთი საქვაბე და ერთიც ყოფილი სველი წერტილები. ამონაწერით საჯარო რეესტრიდან სკოლას ჰყავს მოიჯარე. სკოლის დირექტორის განმარტებით აღნიშნული ფართი იჯარით აღარ არის გაცემული, თუმცა საჯარო რეესტრში განახლებული მონაცემები არ არის ასახული.

სკოლის შენობა ორსართულიანია. ორივე სართულზე არის 12 საკლასო ოთახი, რესურსოთახი, სველი წერტილები გოგონების, ვაჟების, შშმ პირებისა და დასაქმებულებითვის. სააქტო დარბაზი, ლაბორატორიები, სივრცე სპორტული აქტივობისთვის, ოთახი მოსწავლეთა თვითმმართველობისათვის, სამედიცინო კაბინეტი, ადმინისტრაციის ოთახები, ოთახი ჰიგიენური საშუალებების შესანახად, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, ოთახი დარაჯებისთვის. ოთახი სადაც განთავსებულია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა. სპორტული მოედანი მოწყობილია სკოლის ეზოში. საკლასო ოთახები აღჭურვილია ერთადგილიანი მერხებითა და სკამებისთ, მასწავლებლის მაგიდით და სკამით, დაფებით და სასწავლო პროცესისათვის საჭირო პლაკატებითა და თვალსაჩინოებებით.

სკოლას მიეცა რჩევა სასურველია განაახლოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლაში მოქმედი რეგულაციებისა და შიდა წესების, ასევე სასკოლო საზოგადოებასთან ჩატარებული გასაუბრებებისა და სკოლის სოციალური ქსელის ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. სკოლა უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი ინფრასტრუქტურით, მათ შორის სპორტული მოედნით, ბიბლიოთეკით, სააქტო დარბაზით, შიდა და შემოღობილი გარე ეზოთი, რეკრეაციული სივრცეებით, რომლებიც აქტიურად გამოიყენება როგორც სასწავლო, ისე არასასწავლო პროცესში და ხელს უწყობს მოსწავლეთა და მასწავლებელთა მრავალმხრივ განვითარებას, იძლევა საინტერესო პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების საშუალებას. კომპიუტერული ლაბორატორია თანაბრად ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისთვის, ისე სკოლის პერსონალისთვის, რაც ხელს უწყობს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტიან გამოყენებას. სკოლას შემუშავებული და და 2026 წლის 12 იანვრის N2ს-04 ბრძანებით დამტკიცებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს რესურსების გამოყენების პირობებს. დოკუმენტი ეფუძნება თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპს და უზრუნველყოფს, რომ სკოლის ყველა წევრს ჰქონდეს რესურსებით სარგებლობის თანაბარი შესაძლებლობა. დამატებით, შემუშავებულია კონკრეტული წესები

ბიბლიოთეკითა და კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობისთვის, რაც კიდევ უფრო არეგულირებს და ამარტივებს მათი გამოყენების პროცესს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3.**სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული და 12.01.2026 წლის N2ს-02 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკის მუშაობის წესი, რომელიც დეტალურად არეგულირებს ბიბლიოთეკით სარგებლობის პირობებს, საბიბლიოთეკო მასალების გატანა-დაბრუნების პროცედურებს, დაუბრუნებლობის შემთხვევაში გასატარებელ ზომებს, მკითხველთა უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე ბიბლიოთეკაში არსებული რესურსების აღრიცხვის წესს. სკოლის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი წიგნადი ფონდით. ბიბლიოთეკაში აღრიცხული და დაცულია 4512 ერთეული მხატვრული და მეთოდური ლიტერატურა. წიგნები სისტემატიზებულია, აღრიცხულია შესაბამის წესით, განთავსებულია თაროებზე და ბეჭედდასმულია. ბიბლიოთეკარი საქმიანობას წარმართავს წინასწარ განსაზღვრული სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სერვისის ორგანიზებულ და ეფექტიან ფუნქციონირებას.მოსწავლეებთან ჩატარებული გასაუბრებები ადასტურებს, რომ საბიბლიოთეკო სერვისები მათთვის ხელმისაწვდომია დღის განმავლობაში და ისინი აქტიურად სარგებლობენ აღნიშნული რესურსით.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლაში უზრუნველყოფილია ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის საჭირო პირობები. რესურს ოთახი აღჭურვილია ინვენტარითა და საგანმანათლებლო რესურსებით.ს კოლის ინფრასტრუქტურა მორგებულია შშმ პირებზე. . შენობის ორივე სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილი, სკოლას აქვს ლიფტი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის ყველა აუცილებელ წინაპირობას, რათა დაწესებულება ჩამოყალიბდეს აქტიურ და მრავალფეროვან სოციო-კულტურულ სივრცედ. დირექციასთან და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლა ეფექტიანად და მიზნობრივად იყენებს არსებულ რესურსებს განსაკუთრებით სააქტო დარბაზს, რომელიც რეგულარულად მასპინძლობს სხვადასხვა საგანმანათლებლო და შემოქმედებით ღონისძიებას. აღნიშნული პრაქტიკა დასტურდება განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალებითაც. სკოლა ზრუნავს მოსწავლეთათვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნაზე, რაც მათ საშუალებას აძლევს შესვენებებსა და გაკვეთილების შემდეგ ისარგებლონ ეზოს სივრცით დასვენებისა და არაფორმალური კომუნიკაციისთვის. ამასთანავე, დაწესებულება აქტიურად უწყობს ხელს მოსწავლეებში ინდივიდუალური, შემოქმედებითი და სოციალური უნარების განვითარებას.

სასწავლო პროცესის ფარგლებში და მის მიღმა ორგანიზდება მრავალფეროვანი აქტივობები, როგორიცაა პროექტების განხორციელება და, საქველმოქმედო აქციები და სხვა ინიციატივები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას, კრიტიკული აზროვნების განვითარებასა და საზოგადოებრივ პასუხისმგებლობის გაძლიერებას. ამრიგად, სკოლის ინფრასტრუქტურა და მისი მიზნობრივი გამოყენება მნიშვნელოვნად განაპირობებს სასკოლო სივრცის ფუნქციონირებას როგორც ინკლუზიური, განვითარებაზე ორიენტირებული და სოციო-კულტურულად აქტიური გარემოს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ბიბლიოთეკის დებულებით;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს როგორც ადმინისტრაციული, ისე სასწავლო პროცესის ეფექტიან და შეუფერხებელ წარმართვას. სკოლა აღჭურვილია ჯამში 28 კომპიუტერით, რაც იძლევა შესაძლებლობას ტექნიკური რესურსი ოპტიმალურად გადანაწილდეს სხვადასხვა მიზნობრივი მიმართულებით. კერძოდ, ადმინისტრაციის საქმიანობისთვის

განკუთვნილია 4 პერსონალური კომპიუტერი, რაც უზრუნველყოფს მართვისა და ადმინისტრაციული პროცესების დროულ და ხარისხიან შესრულებას. დამატებით, თითო კომპიუტერი ხელმისაწვდომია სკოლის ექიმისა და ბიბლიოთეკისთვის, რაც ხელს უწყობს როგორც სამედიცინო მომსახურების, ისე საბიბლიოთეკო სერვისების ეფექტიან მიწოდებას. დაწყებითი კლასების მასწავლებლებს ინდივიდუალურ სარგებლობაში გადაცემული აქვთ 4 კომპიუტერი, ხოლო მუსიკის მასწავლებელი უზრუნველყოფილია შესაბამისი ტექნიკური რესურსით. სამასწავლებლოში განთავსებულია 5 კომპიუტერი, რაც პედაგოგებს საშუალებას აძლევს მოამზადონ სასწავლო მასალები და ეფექტიანად მართონ სასწავლო პროცესი. ამასთანავე, სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია 12 კომპიუტერით, რომელიც აქტიურად გამოიყენება სასწავლო მიზნებისთვის და მოსწავლეთა ციფრული უნარების განვითარებისთვის. სკოლა უზრუნველყოფილია ლოკალური ინტერნეტქსელით, რაც ქმნის პირობებს როგორც ადმინისტრაციული საქმიანობის, ისე სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირებისთვის. დამატებით, სკოლას აქვს 3 პრინტერი, რომელთა ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია დირექციისა და ადმინისტრაციისთვის, რაც ამარტივებს დოკუმენტბრუნვას და სხვადასხვა საოფისე პროცესს. ინფორმაციული ტექნოლოგიების რესურსების მართვა და გამოყენება რეგულირდება სკოლაში დამტკიცებული მატერიალური რესურსით სარგებლობის წესით (12/01/2026 წლის ბრძანება N2ს-04), რომელიც განსაზღვრავს კომპიუტერულ ლაბორატორიაში მუშაობის წესებს და უზრუნველყოფს ტექნიკის მიზნობრივ, უსაფრთხო და ეფექტიან გამოყენებას. აღნიშნული ინფრასტრუქტურის არსებობა და ფუნქციონირება დასტურდება როგორც საინვენტარო აღწერილობის აქტებით, ისე ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით.

ინდიკატორის მოთოვნები დაკმაყოფილებულია

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლაში ფუნქციონირებს 1 კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერებით. აღნიშნულ ლაბორატორიაში სრულფასოვნად მიმდინარეობს კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები მოსწავლეთათვის. გაკვეთილების შემდეგაც მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიით. კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილია ადმინისტრაცია, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი. სამასწავლებლოში განთავსებულ კომპიუტერებთან მასწავლებლები მუშაობენ, ქმნიან ელ.საგანმანათლებლო რესურსებს, აწარმოებენ ელექტრონულ ჟურნალს და უზიარებენ ერთმანეთს გამოცდლებას ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. ინფორმაციული ტექმნოლოგიების ხელმისაწვდომობას განაპირობებს მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ტექმნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი (ბრძანება 2ს-10, 30/04/2025 წ), რომელიც არეგულირებს დოკუმენტაციის წარმოების ძირითად პროცესებს, მათ შორის დოკუმენტების შედგენას, აღრიცხვას, განცხადებების მიღებასა და მათზე რეაგირებას, რეგისტრაციას, ადრესატისთვის გადაცემის წესებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. დოკუმენტაცია ინახება სკოლის კანცელარიაში, სისტემატიზებულად, შესაბამის ბაინდერებში. სკოლა ასევე აწარმოებს სარეგისტრაციო ჟურნალებს, რომლებიც დანომრილი, აკინძული, უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმულია, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის ფორმალურ სისწორესა და გამჭვირვალობას. თუმცა, საქმისწარმოების პროცესის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შეუსაბამობა სკოლის მიერ დამტკიცებულ წესსა და პრაქტიკაში არსებულ მიდგომას შორის. კერძოდ, არსებული რეგულაციის მიხედვით, სკოლა ვალდებულია აწარმოებდეს საკადრო და საერთო ბრძანებების, შემოსული და გასული დოკუმენტაციის, ასევე შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალებს. რეალურად კი სკოლაში იწარმოება მხოლოდ საკადრო და საერთო ბრძანებების, ასევე შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალები, ხოლო გასული დოკუმენტაციისა და შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალები არ იწარმოება, რაც წარმოადგენს ხარვეზს.

ხარვეზი სკოლა არ იცავს საკუთარ შიდანორმატიული აქტებს

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა 2026 წლის 27 აპრილის 2ს - 45 ბრძანება, რომლის საფუძველზეც ცვლილება შევიდა 2025 წლის 30 აპრილის 2ს -10 ბრძანებაში „საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ცვლილებით საქმისწარმოების წესი და სკოლაში არსებული პრაქტიკა მოყვანილ იქნა შესაბამისობაში. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება და ინდიკატორის შეფასება „ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით: „ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია“.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სსიპ სამრეკლოს საჯარო სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემების გამოყენებით, მათ შორის ელექტრონული ფოსტისა და სპეციალიზებული პროგრამების eSchool-ისა და eFlow-ის მეშვეობით. აღნიშნული სისტემები უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის ეფექტიან და მოწესრიგებულ მართვას. eSchool-ის სისტემის საშუალებით მიმდინარეობს მოსწავლეთა მონაცემთა ბაზის ადმინისტრირება, მათ შორის მოსწავლეთა მობილობის, ჩარიცხვის, ამორიცხვისა და სტატუსის შეჩერების პროცესების აღრიცხვა /ასახვა. ამავე სისტემაში თავმოყრილია სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი ინფორმაცია, კერძოდ: სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეთა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების იდენტიფიკაციისა და საკონტაქტო მონაცემები, გაკვეთილების ცხრილი, სახელმძღვანელოები და სხვა. პირველკლასელთა რეგისტრაცია ხორციელდება ცენტრალიზებული

ელექტრონული პლატფორმის registration.emis.ge-ის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და ერთიან სტანდარტებთან შესაბამისობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ვიზიტის მიმდინარეობისას განხილული იქნა სკოლის პროფილი. ვიზუალური დათვალიერებით გაირკვა, რომ სკოლას სრულყოფილად აქვს შევსებული ყველა ველი. არჩეული აქვს სახელმძღვანელოები, შეტანილი აქვს სკოლის პერსონალის და მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების პერსონალური მონაცემები, საგაკვეთილო ცხრილი და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა თანამშრომლობს და სისტემატურად აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა უწყებებს, როგორიცაა საგანმანათლებლო რესურსცენტრი, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. საჭიროების შემთხვევაში, საქმიანობის განხორციელებაზე ითხოვს თანხმობებს და წარადგენს ანგარიშებს. სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს წარუდგენს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ მონაცემებს და აქვეყნებს საკანონმდებლო მაცნეში. ასევე, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი
- Eschool -ის ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის მეშვეობით. კერძოდ, სკოლის ოფიციალური ვებგვერდი **https://tinyurl.cx/NgnlU** ასრულებს საინფორმაციო პლატფორმის ფუნქციას, სადაც განთავსებულია დაწესებულების შესახებ ძირითადი ინფორმაცია, საკონტაქტო მონაცემები და მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტაცია. ამასთანავე, სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს **https://www.facebook.com/samrek.los.sajaro.sk.ola**, რომელიც ერთდროულად ასრულებს როგორც საინფორმაციო, ისე საკომუნიკაციო ფუნქციას. აღნიშნულ პლატფორმებზე რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია სკოლის ყოველდღიური საქმიანობის, დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების მუდმივ ინფორმირებულობასა და ჩართულობას.

მშობლებთან ეფექტიანი კომუნიკაციის მიზნით სკოლა დამატებით იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, ასევე, მნიშვნელოვანია პირისპირ შეხვედრები, რომლებიც ხელს უწყობს მშობლებსა და სკოლას შორის უშუალო და კონსტრუქციულ ურთიერთობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად სკოლა იყენებს როგორც ოფიციალურ ვებგვერდს, ისე სოციალურ ქსელებს, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ გავრცელებას დაინტერესებული მხარეებისთვის და ზრდის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას. ვებგვერდზე განთავსებულია სკოლასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი და გადამოწმებული ინფორმაცია, ხოლო სოციალური ქსელი გამოიყენება როგორც ოპერატიული კომუნიკაციის ეფექტიანი საშუალება. სკოლის ოფიციალური ფეისბუქ გვერდის დათვალიერებით იკვეთება, რომ გამოქვეყნებული მასალა სისტემატურად ასახავს სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებას, მათ შორის მოსწავლეებისთვის დაგეგმილ და განხორციელებულ საგანმანათლებლო და შემეცნებით ღონისძიებებს. მიწოდებული ინფორმაცია სანდოა, ვინაიდან იგი ვრცელდება სკოლის ოფიციალური არხების მეშვეობით, ამასთან სკოლას 2025 წლის 16 მაისის N2ს-20 ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი რაც ამცირებს არასწორი ან გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელების რისკს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებებისას სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებულ უკუკავშირს აქტიურად იყენებენ საკუთარი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. სკოლა ინფორმაციის გაცვლისას ეფექტიანად იყენებს როგორც ელექტრონულ საკომუნიკაციო საშუალებებს, ისე სხვა არხებს, რაც უზრუნველყოფს მრავალმხრივი ინფორმაციის მიღებასა და მისი შემდგომი ანალიზის შესაძლებლობას. ამასთანავე, ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ

საზოგადოებასთან კომუნიკაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს პირისპირ შეხვედრები. აღნიშნული შეხვედრები ქმნის ღია და თანამშრომლობით გარემოს, სადაც სკოლა იღებს უშუალო უკუკავშირს მშობლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისგან. მიღებული ინფორმაცია სისტემურად ანალიზდება და გამოიყენება სკოლის საქმიანობის დაგეგმვა-განხორციელების პროცესში, რაც ხელს უწყობს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები, რომლებიც გამოყენებულია მათი მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ სკოლა უკუკავშირს აღიქვამს, როგორც განვითარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს და მიზნობრივად იყენებს მას საკუთარი საქმიანობის ეფექტიანობის გასაზრდელად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელზეც გამოქვეყნებული ინფორმაცია სახელმწიფო ენაზეა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებგვერდი შეიცავს ინფორმაციას მისია, ხედვა, ღირებულებების, სტრუქტურის, ჩარიცხვის პროცედურების, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების, გასაჩივრების მექანიზმების, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიშის და საკონტაქტო ინფორმაციას. სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა განხორციელებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი (არ უწევდა) შესაბამისად აღნიშნული ინფორმაცია არ არის განთავსებული. **სკოლამ ვებგვერდზე დამატებით უნდა განათავსოს ინფორმაცია: პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი).**

ხარვეზი. სკოლას ვებგვერდზე არ აქვს განთავსებული ინფორმაცია პროგრამ(ებ)ის სახელწოდებების და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესახებ (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი).

სკოლამ გაითვალისწინა დასკვნის პროექტში გამოვლენილი ხარვეზი და უზრუნველყო მისი აღმოფხვრა. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის პერიოდში სკოლამ სრულად ასახა ინფორმაცია სკოლის ვებგვერდზე, კერძოდ - პროგრამ(ებ)ის სახელწოდებებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის/განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის შესახებ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა

ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება - „არ აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას“ შეცვალა შეფასებით: „ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია“.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებე,ი პირის განსაზღვრის ბრძანება;
- ვებგვერდი;
- სოციალური ქსელი;
- მართვის საინფორმაციო სისტემა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლას გააჩნია სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი (ოქმი N8, 2025 წლის 9 დეკემბერი), რომელშიც განსაზღვრულია მოსალოდნელი შემოსავლები და ხარჯები. ასევე, სკოლა იღებს დანამატებს მასწავლებლებისთვის, რომლებიც სხვადასხვა სტატუსის შესაბამისადაა განსაზღვრული სქემით, და სარგებლობს მიზნობრივი პროგრამული დაფინანსებით, ექიმის და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დაფინანსება. ბიუჯეტის თანხები ძირითადად იხარჯება თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებაზე, კომუნალურ გადასახადებსა და მცირე ფასიან საოფისე საშუალებებზე (საკანცელარიო და ჰიგიენური საშუალებები). ერთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია აქტივობები, რომელთა განხორციელება შესაძლებელია არსებული ფინანსური რესურსებით.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

სკოლა ყოველწლიურად, დეკემბერში ამტკიცებს მომდევნო წლის ბიუჯეტს. შესყიდვების განხორციელების წესის თანახმად, ადგენს შესყიდვების წლიურ გეგმას, რომელიც არაუგვიანეს 20 ნოემბრისა რეგისტრირდება შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე. ფინანსური რესურსების მართვის ნაწილში გათვალისწინებულია ანგარიშვალდებულება სამეურვეო საბჭოს წინაშე - ყოველი წლის 10 დეკემბრამდე. ასევე, სკოლა ანგარიშვალდებულია შესყიდვების სააგენტოსა და შემოსავლების სამსახურის მიმართ. საჭიროების შემთხვევაში, წლის განმავლობაში შესაძლებელია განხორციელდეს ბიუჯეტსა და შესყიდვების გეგმაში კორექტივების შეტანა, შესაბამისი წესის დაცვით მათი ხელახალი დამტკიცების გზით. სკოლას განსაზღრული ჰყავს ბაზრის კვლევაზე უფლებამოსილიპირი (ბრძანება 2ს-83, 13/11/2025 წ), შესყიდვების გეგმის რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი (ბრძნება 2ს-85, 13/11/2025 წ.). შემუშვებული აქვს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი (ბრძანება 2ს-82 04/11/2025 წ)

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბიუჯეტი;
- ბაზრის კვლევაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის ბრძანება;
- შესყიდვების გეგმის რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება;
- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (შინაგანაწესი, „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“, „პერსონალური მონაცემების დაცვის წესი“) ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და შესაბამისი გარანტიების შექმნა. შინაგანაწესში განსაზღვრულია, რომ სასკოლო დისციპლინა ეფუძნება თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემას, ხოლო დისციპლინური ღონისძიებები არის გონივრული, სამართლიანი და პროპორციული. ამასთან, დაუშვებელია ისეთი სანქციების გამოყენება, რომლებიც ლახავს მოსწავლის პატივსა და ღირსებას. დოკუმენტი ასევე არეგულირებს დისციპლინური წარმოების პროცესს, რაც მოიცავს მოსწავლის ინფორმირებას, ახსნა-განმარტების მიცემის უფლებას, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობას და გადაწყვეტილებების ფორმალიზებას. გარდა ამისა, გათვალისწინებულია უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, დისკრიმინაციის აკრძალვა და ძალადობის პრევენცია. „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესის“ მიხედვით, მოსწავლეს (ასევე მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს) უფლება აქვს განცხადებით ან საჩივრით მიმართოს სკოლას. დადგენილია განცხადებების მიღების, რეგისტრაციისა და განხილვის მკაფიო პროცედურები და ვადები, ასევე გადაწყვეტილებების მიღებისა და შესაბამისი რეაგირების მექანიზმები.

„პერსონალური მონაცემების დაცვის წესის“ მიხედვით, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვას კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების პრინციპები, პასუხისმგებელი პირები და უსაფრთხოების მექანიზმები. ამასთან, მოსწავლეს აქვს უფლება, მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ დამუშავებული მონაცემების თაობაზე და მოითხოვოს მათი გასწორება ან წაშლა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

სკოლის შიდა რეგულაციებით („რემედიაციის დებულება“, „სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია“) უზრუნველყოფილია მოსწავლის განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა და მისი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება. რემედიაციის მექანიზმის მიხედვით, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა სირთულეების იდენტიფიცირებასა და შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებას. „სსსმ მოსწავლეთა საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია“ ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, სასწავლო პროცესის ადაპტაციასა და პროგრესის მონიტორინგს.

მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად სკოლაში მოქმედებს „მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები“ და „მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება“. აღნიშნული დოკუმენტებით განსაზღვრულია მოსწავლეთა მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ინიციატივების წარდგენა და მათი მხარდაჭერა.

ამასთან, სამუშაო პრაქტიკის ანალიზისა და მოსწავლეებთან გასაუბრების საფუძველზე იკვეთება, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა ჩართულია სასკოლო ცხოვრებაში, თუმცა მისი როლი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სრულად არ არის გამოკვეთილი. მოსწავლეთა ჩართულობა უმეტესად შემოიფარგლება ცალკეული აქტივობების ორგანიზებით და ნაკლებად ვლინდება მნიშვნელოვანი საკითხების ინიცირებასა და სისტემურ განხილვაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის მიერ წარმოდგენილი „დამრიგებლის მუშაობის დებულების“ ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ მოსწავლის უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. დოკუმენტის მიხედვით, დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მათ მშობლებს გააცნოს სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია. ამასთან, დებულება ითვალისწინებს რეგულარულ კომუნიკაციას მოსწავლეებსა და მშობლებთან, მათ შორის სადამრიგებლო საათების, ინდივიდუალური შეხვედრებისა და მშობელთა კრებების ფორმატში, რაც ხელს უწყობს უფლებებთან დაკავშირებული საკითხების განმარტებასა და ერთობლივ გააზრებას. დამრიგებლის ფუნქციებში ასევე შედის მოსწავლეთა ინფორმირება სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე, მათი ჩართულობის ხელშეწყობა და მშობლებთან ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფა. მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კლასის დამრიგებლები რეგულარულად ხვდებიან მათ და უზიარებენ ინფორმაციას სასკოლო რეგულაციების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3.მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 6 ერთი პრიმა პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- განცხადებისა და საჩივრის დამტკიცების წესი;
- პესონალური მონაცემების დაცვის წესი;
- რემედიაციის პროგრამის დებულება;
- სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული და 2026 წლის 22 მარტის N2ს-24 ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩეების და შეწყვეტის წესი. პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში კანონმდებლობის და შიდა რეგულაციის შესაბამისად ფუნქციონირებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის და სტატუსის შეჩერების მექანიზმები, რაც დასტურდება მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მონაცემების შესწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასა და მოსწავლეთა პირად საქმეებზე დაყრდნობით, სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა იცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცესებს. როგორებიცაა: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მისაღები პირის ასაკის შესაბამისობა; საფეხურის დაძლევა; მოსწავლეთა მობილობა; სტატუსის შეჩერება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე და სკოლაში, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულ, საინფორმაციო დაფაზე. გარდა აღნიშნული საშუალებებისა, სასკოლო საზოგადოებას ინფორმაცია მიეწოდება სამუშაო შეხვედრების დროსაც.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის მიერ ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი და გამჭვირვალე. ინფორმაციის განახლებაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის დირექტორი. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს დროს მათ განაცხადეს რომ ინფორმაციას ყოველთვის ღებულობენ ვებგვერდიდან და სოციალური ქსელიდან, და რომ მირებული ინფორმაცია არასდროს დამდგარა ეჭვქვეშ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (EMIS)
- სკოლის ვებ გვერდი (skolebi.emis.ge)
- ბრძანება ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ (N 2ს-20)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების („მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“ და „დამრიგებლის მუშაობის დებულება“) ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი, რომელიც მოიცავს როგორც პრევენციულ, ისე მხარდამჭერ ღონისძიებებს.

„მოსწავლეთა ადაპტაციის წესის“ მიხედვით, ადაპტაციის პროცესი გულისხმობს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ეტაპობრივ შეგუებას, უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემოს შექმნას და მისი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას. მექანიზმი მოიცავს მოსწავლის შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს, მისი აკადემიური და სოციალური მდგომარეობის შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში

შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვას. განსაზღვრულია პროცესში ჩართული პირების - დამრიგებლის, მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და საჭიროების შემთხვევაში სპეციალისტების - ფუნქციები. დოკუმენტი ითვალისწინებს როგორც ახალი მოსწავლის, ისე სასწავლო სირთულეების მქონე მოსწავლის მხარდაჭერას და მოიცავს ინდივიდუალურ და ჯგუფურ მუშაობას, კონსულტაციებს, მშობლებთან კომუნიკაციას, პროგრესის მონიტორინგსა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვას.

„დამრიგებლის მუშაობის დებულების“ მიხედვით, დამრიგებელი აქტიურად მონაწილეობს მოსწავლის ადაპტაციის პროცესში და უზრუნველყოფს მის მხარდაჭერას როგორც აკადემიური, ისე სოციალური მიმართულებით. კერძოდ, დამრიგებელი:

- ახორციელებს რეგულარულ კომუნიკაციას მოსწავლეებთან და ატარებს სადამრიგებლო საათებს;
- ქმნის კლასში კეთილგანწყობილ და თანამშრომლობით გარემოს;
- ხელს უწყობს მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას;
- უზრუნველყოფს მშობლებთან და მასწავლებლებთან ეფექტურ კომუნიკაციას;
- ახორციელებს მოსწავლის პროგრესისა და საჭიროებების სისტემურ მონიტორინგს და პრობლემების დროულ იდენტიფიცირებას.

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტის სახელწოდებაა „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“, ხოლო ბრძანებაში გამოყენებულია ფორმულირება - „მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ტერმინოლოგიური შეუსაბამობა („წესი“ და „მექანიზმი“) მიუთითებს დოკუმენტებს შორის გარკვეულ აცდენაზე.

სკოლას მიეცა შემდეგი რჩევა: სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს დოკუმენტებს შორის ტერმინოლოგიური თანხვედრა და ერთიანი ფორმულირების გამოყენება, რათა უზრუნველყოფილი იყოს დოკუმენტაციის სიცხადე და თანმიმდევრულობა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების („მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“ და „დამრიგებლის მუშაობის დებულება“) ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

„მოსწავლეთა ადაპტაციის წესის“ მიხედვით, ადაპტაციის პროცესი იწყება მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისთანავე და მოიცავს მისი გარემოსთან ეტაპობრივ შეგუებას, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებასა და მხარდამჭერი გარემოს შექმნას. აღნიშნული პროცესი ეფუძნება მოსწავლის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, მისი აკადემიური და სოციალური მდგომარეობის შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვას.

ამასთან, „დამრიგებლის მუშაობის დებულების“ მიხედვით, დამრიგებელი აქტიურად არის ჩართული ადაპტაციის პროცესში სასწავლო წლის დასაწყისიდანვე და უზრუნველყოფს მოსწავლეებთან რეგულარულ კომუნიკაციას, სადამრიგებლო საათების ჩატარებას, კლასში კეთილგანწყობილი გარემოს შექმნასა და მშობლებთან თანამშრომლობას . დამრიგებელი ასევე ხელს უწყობს მოსწავლის პრობლემების დროულ გამოვლენასა და შესაბამის რეაგირებას. დოკუმენტურად განსაზღვრული მექანიზმების პრაქტიკული განხორციელება ასევე დასტურდება სკოლის დირექციასთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების („რემედიაციის დებულება“, „დამრიგებლის მუშაობის დებულება“ და სასკოლო სასწავლო გეგმა) ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

„რემედიაციის დებულების“ მიხედვით, სკოლა უზრუნველყოფს იმ მოსწავლეთა იდენტიფიცირებას, რომელთაც აქვთ აკადემიური სირთულეები, და მათთვის გეგმავს შესაბამის მხარდაჭერის ღონისძიებებს, მათ შორის ინდივიდუალურ და ჯგუფურ კონსულტაციებს, დამატებით მუშაობასა და სასწავლო მასალის ადაპტაციას. პროცესის ფარგლებში ხორციელდება მოსწავლის პროგრესის მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი აქტივობების კორექტირება.

„დამრიგებლის მუშაობის დებულების“ მიხედვით, დამრიგებელი აქტიურად მონაწილეობს მოსწავლის მხარდაჭერის პროცესში. აკონტროლებს მის აკადემიურ მოსწრებას და საჭიროების შემთხვევაში იწყებს რემედიაციის პროცესს, უზრუნველყოფს მოსწავლესთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან კომუნიკაციას და ხელს უწყობს მოსწავლის პრობლემების დროულ გამოვლენასა და გადაჭრას.

სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები, რაც ითვალისწინებს დიფერენცირებული სწავლების, დამატებითი აქტივობებისა და აკადემიური მხარდაჭერის სხვადასხვა ფორმის გამოყენებას. ზემოთ აღნიშნული უზრუნველყოფს მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ დახმარებას.

ამასთან, მასწავლებლის ხელშეკრულებაში (მუხლი 3.3.16) განსაზღვრულია, რომ მასწავლებელი ვალდებულია, სკოლის დირექციის გადაწყვეტილების საფუძველზე, შეასრულოს დამატებითი სამუშაო მოსწავლეებთან მათი სწავლების შედეგების გაუმჯობესებამდე, იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ სასურველი შედეგები ვერ მიიღწევა კვირისთვის გათვალისწინებული საათების ფარგლებში. აღნიშნული დამატებით უზრუნველყოფს მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერის გაძლიერებას.

დოკუმენტურად აღწერილი პროცესების პრაქტიკული განხორციელება დასტურდება სასკოლო საზოგადოებასთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგებითაც. მშობლები სკოლის ერთ-ერთ გამორჩეულ პრაქტიკად ასახელებენ ავადობის ან სხვა მიზეზით სკოლაში არმყოფი მოსწავლეებისათვის მასწავლებლების მიერ მაღალი პასუხისმგებლობითა და ენთუზიაზმით ჩატარებულ დამატებით მეცადინეობებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა მოსწავლეთა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას ახორციელებს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. კერძოდ, მოსწავლეს და მის კანონიერ წარმომადგენელს სკოლის მიერ მიეწოდება ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების შესახებ, როგორიცაა მოსწავლის მობილობის უფლება, მოსწავლის გაცდენებთან დაკავშირებული საკითხები, ექსტერნის გამოცდების ჩატარების წესი და პირობები, ექსტერნის გამოცდების ვადები და სხვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

წარმოდგენილი მასალების ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას, რაც ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ჩართულობით.

სკოლა აქტიურად უჭერს მხარს მოსწავლეთა ინდივიდუალურ ინიციატივებს. აღნიშნულის მაგალითია 2026 წლის გაზაფხულზე მე-11 კლასის მოსწავლის ფერწერული ნამუშევრების პერსონალური გამოფენის ორგანიზება სკოლის მხარდაჭერით.

არაფორმალური განათლების ფარგლებში სკოლაში სისტემურად ტარდება სხვადასხვა თემატური და საგანმანათლებლო აქტივობები, მათ შორის:

- ეროვნული და საერთაშორისო თარიღებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები (9 აპრილი, 14 აპრილი, თეატრის საერთაშორისო დღე);
- გარემოსდაცვითი და სოციალური თემების აქტივობები (დედამიწის დღე, წყლის რესურსების დაცვის კვირეული, გამწვანების აქციები);
- ცნობიერების ამაღლების კამპანიები (აუტიზმისა და დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეები, იმუნიზაციის კვირეული, საბჭოთა ოკუპაციის დღე);
- საგანმანათლებლო პროექტები და აქტივობები (ფინანსური წიგნიერების თემაზე საკლასო პროექტები, წიგნის კითხვის აქცია, პრეზენტაციები, დებატები, ფილმის ჩვენება და დისკუსიები).

აღსანიშნავია, რომ რიგ აქტივობებში აქტიურად არიან ჩართული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგები და სპეციალისტები (მაგ., სპეციალური მასწავლებელი), რაც უზრუნველყოფს აქტივობების ხარისხიან და მიზნობრივ განხორციელებას.

ამასთან, მოსწავლეები თავადაც იჩენენ ინიციატივას და აქტიურად ერთვებიან სხვადასხვა საქმიანობაში, მათ შორის გარემოსდაცვით აქტივობებში (სკოლის ეზოს გამწვანება და მოვლა), რაც ხელს უწყობს პასუხისმგებლობისა და სამოქალაქო ცნობიერების განვითარებას.

საგულისხმოა, რომ სამივე საფეხურზე ხორციელდება სხვადასხვა სასკოლო პროექტი, რომელთა ამსახველი მასალები განთავსებულია სკოლის Facebook-ის ოფიციალურ გვერდზე. გასაუბრებისას მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ სკოლის პედაგოგები აქტიურად უჭერენ მხარს მათ ინიციატივებს, განსაკუთრებულად ხელშემწყობ პირად კი სკოლის დირექტორი დაასახელეს.

აღსანიშნავია, რომ მე-7 კლასის მოსწავლე არის ,,ინფორმატიკის სრულიად საქართველოს მოსწავლეთა ოლიმპიადის -OLYINFO”-ში ფინალისტი. მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ სკოლაში რეგულარულად ტარდება

სპორტული და ინტელექტუალური ღონისძიებები, რაც ქმნის საფუძველს აღნიშნული მიმართულებების შემდგომი სისტემური განვითარებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების („ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“, „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“, სასკოლო სასწავლო გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა) ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლა მოსწავლეთა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის საფუძველზე აუმჯობესებს მომსახურებას.

„ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის“ მიხედვით, სასწავლო პროცესის მართვა ეფუძნება უწყვეტ ციკლურ მოდელს (დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, გაუმჯობესება), რაც მოიცავს მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა უკუკავშირის რეგულარულ შეგროვებასა და ანალიზს. მიღებული მონაცემები გამოიყენება არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვისთვის.

„კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“ ასევე ითვალისწინებს მონაცემებზე დაფუძნებულ მიდგომას, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესის შეფასებას, მიღებული შედეგებისა და უკუკავშირის ანალიზს და კურიკულუმის შესაბამის კორექტირებას.

სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლაში განსაზღვრულია სხვადასხვა საკომუნიკაციო არხი (მშობელთა კრებები, ინდივიდუალური შეხვედრები, ციფრული პლატფორმები), რაც უზრუნველყოფს უკუკავშირის მიღებასა და მისი გაზიარებას სასკოლო საზოგადოების ფარგლებში.

ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით, სკოლა გეგმავს მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა პერიოდულ გამოკითხვებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საჭიროებების გამოსავლენად და მიღებული შედეგების საფუძველზე შესაბამისი აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას.

სკოლამ წარმოადგინა მშობელთა უკუკავშირის კითხვარი, თუმცა მოსწავლეთათვის განკუთვნილი მსგავსი ფორმა წარმოდგენილი არ არის. ასევე, არ არის წარმოდგენილი გამოკითხვის შედეგების ანალიზი და მისი გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

სკოლას მიეცა შემდეგი რჩევები:

- **სასურველია, შემუშავდეს მოსწავლეთა უკუკავშირის შესაბამისი ინსტრუმენტები;**
- **მიზანშეწონილია, სისტემურად განხორციელდეს გამოკითხვის შედეგების ანალიზი და ანალიზის შედეგების გათვალისწინება**
- **სასურველია, მიღებული უკუკავშირი უფრო აქტიურად აისახოს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებაში.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- რემედიაციის დებულება;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (EMIS);
- მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- კლუბის „ციფრული მოქალაქეობა“ დებულება;
- სკოლის გვერდი Facebook-ის სოციალურ ქსელში;
- განხორციელებული სასკოლო პროექტების მასალები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- მშობელთა უკუკავშირის კითხვარი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის საკითხები სასკოლო დონეზე სრულად სისტემატიზებული არ არის. მიუხედავად იმისა, რომ „დამრიგებლის მუშაობის დებულება“ ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გამოვლენასა და მათი სამომავლო გეგმების განსაზღვრაში დახმარებას, აღნიშნული მიმართულება დოკუმენტში არ არის გამოყოფილი როგორც ცალკე, სტრუქტურირებული კომპონენტი.

სასკოლო სასწავლო გეგმაშიც კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის საკითხები წარმოდგენილია ზოგად კონტექსტში და არ იკვეთება მათი განხორციელების მკაფიო მექანიზმები, სისტემური აქტივობები ან შედეგებზე ორიენტირებული მიდგომა.

სასკოლო საზოგადოებასთან ჩატარებული გასაუბრებებისა და წარმოდგენილი მასალების ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლა მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომს ხდის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშემწყობ აქტივობებს. სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა ერთჯერადი აქტივობა, მათ შორის დამრიგებლებისა და საგნის მასწავლებლების მიერ ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრები, ასევე პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლების ვიზიტები, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას გაეცნონ სხვადასხვა პროფესიულ მიმართულებას.
საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები სტუმრად იმყოფებოდნენ პროფესიულ კოლეჯში „აისი“, სადაც მიიღეს ინფორმაცია სხვადასხვა პროფესიის შესახებ და პრაქტიკულადაც გამოსცადეს რამდენიმე მათგანი.
პროფესიული ორიენტაციის ხელშემწყობი აქტივობები ხორციელდება დაწყებით საფეხურზეც. მაგალითად, მეორე კლასის მოსწავლეებმა განახორციელეს პროექტი „საოცარი ბავშვები“, რომლის ფარგლებშიც გაეცნენ სხვადასხვა პროფესიის მახასიათებლებს და შემოქმედებითი ფორმით წარუდგინეს დამსწრე საზოგადოებას.
ასევე აღსანიშნავია საქართველოს თავდაცვის ძალების წარმომადგენლების ვიზიტი სკოლაში, რაც მოსწავლეთა პროფესიული ინტერესების გაფართოებას ემსახურებოდა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა უზრუნველყოფს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობას, თუმცა აღნიშნული აქტივობები უმეტესად ერთჯერადი ხასიათისაა. გარდა ამისა,
სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს დოკუმენტი, რომელშიც სისტემურად იქნება აღწერილი კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულება. მათ შორის: შესაბამისი აქტივობები, მექანიზმები და პასუხისმგებელი პირები, რომელსაც განახორციელებს ეტაპობრივად..

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

წარმოდგენილი მასალებისა და სასკოლო საზოგადოებასთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ, თუმცა აღნიშნული პროცესი უმეტესად ერთჯერადი აქტივობების ფარგლებში ხორციელდება.
სკოლაში ტარდება პროფესიული ორიენტაციის ხელშემწყობი შეხვედრები, მათ შორის დამრიგებლებისა და საგნის მასწავლებლების მიერ ორგანიზებული საუბრები, პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლების ვიზიტები, ასევე მოსწავლეთა ვიზიტები პროფესიულ სასწავლებლებში (მაგ., კოლეჯი „აისი“), სადაც ისინი ეცნობიან სხვადასხვა პროფესიას და პრაქტიკულადაც გამოსცდიან მათ. მსგავსი

აქტივობები ხორციელდება სხვადასხვა საფეხურზეც, მათ შორის დაწყებით კლასებში, რაც ადასტურებს, რომ სკოლა ცდილობს მოსწავლეთა ინფორმირებას ადრეული ასაკიდანვე.
ამასთან, გასაუბრებების საფუძველზე დგინდება, რომ მოსწავლეები და მშობლები იღებენ ინფორმაციას სხვადასხვა პროფესიული შესაძლებლობის შესახებ. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ იკვეთება აღნიშნული ინფორმაციის მიწოდების სისტემური და რეგულარული მექანიზმები. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა და მათი მშობლების ინფორმირებას კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ, თუმცა პროცესი საჭიროებს უფრო სისტემურ და მუდმივ ხასიათს.

სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია, კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება გახდეს სისტემური და რეგულარული პროცესი.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

წარმოდგენილი მასალებისა და სასკოლო საზოგადოებასთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლა პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით ითვალისწინებს განხორციელებული აქტივობების შედეგებს და მიღებულ გამოცდილებას, თუმცა აღნიშნული პროცესი უმეტესად არ არის სისტემურად დოკუმენტირებული.
სკოლაში ტარდება პროფესიული ორიენტაციის ხელშემწყობი სხვადასხვა აქტივობა (პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლების ვიზიტები, მოსწავლეთა ვიზიტები პროფესიულ სასწავლებლებში, საინფორმაციო შეხვედრები), რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გაეცნონ სხვადასხვა კარიერულ შესაძლებლობას. აღნიშნული აქტივობების დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები, რაც დასტურდება გასაუბრებების შედეგებით.
თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ იკვეთება პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების შეფასების შედეგების სისტემური ანალიზი და მათი გამოყენება შემდგომი დაგეგმვის პროცესში. არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც ასახავს, თუ როგორ აისახა მიღებული უკუკავშირი ან შეფასების შედეგები ახალი აქტივობების დაგეგმვასა და არსებული პრაქტიკის გაუმჯობესებაზე. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს და პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც დაადასტურეს მოსწავლეებმა ინტერვიუს დროს, თუმცა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შეფასების შედეგების გამოყენება საჭიროებს უფრო სისტემურ მიდგომასა და დოკუმენტირებას.

სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია, მოხდეს მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირის შეგროვება, ანალიზი, შედეგების დოკუმენტირება
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განხორციელებული სასკოლო პროექტების მასალები.
- სკოლის გვერდი Facebook-ის სოციალურ ქსელში

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების („სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია“, ინდივიდუალური და ალტერნატიული სასწავლო გეგმები და შესაბამისი შიდა პროცედურები) ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი. დოკუმენტების მიხედვით, სკოლა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირებას და მათზე მორგებული საგანმანათლებლო სერვისების დაგეგმვას. აღნიშნული მექანიზმი მოიცავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავებას, სწავლების პროცესის ადაპტაციას, შესაბამისი რესურსებისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფას, ასევე პროცესში სხვადასხვა სპეციალისტის ჩართულობას. ამასთან, განსაზღვრულია მოსწავლის პროგრესის მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მხარდაჭერის პროცესის უწყვეტობასა და ეფექტიანობას.

სკოლაში ირიცხება 5 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. თითოეულ მათგანთან მუშაობს სპეციალური მასწავლებელი. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი, სადაც შექმნილია მშვიდი და განვითარებაზე ორიენტირებული გარემო. ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება, მათ შორის სპეციალისტის - ლოგოპედის მხარდაჭერა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების („სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია“, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ისგ ჯგუფის ოქმები, „დამრიგებლის მუშაობის დებულება“ და სასკოლო სასწავლო გეგმა) ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

„სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის“ მიხედვით, სსსმ მოსწავლეთათვის მხარდაჭერა ხორციელდება კოლეგიური მუშაობის საფუძველზე, რაც გულისხმობს მასწავლებლების, სპეციალისტების, ადმინისტრაციისა და მშობლის აქტიურ

ჩართულობას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ) შემუშავდება ერთობლივად, მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით და მისი განხორციელება ეფუძნება შეთანხმებულ მიდგომებს.
ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ისგ ჯგუფის ოქმები ადასტურებს, რომ მოსწავლის პროგრესის შეფასება და გადაწყვეტილებების მიღება ხორციელდება კოლეგიურად, სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით. პროცესში სისტემურად განიხილება მოსწავლის წინსვლა და საჭიროების შემთხვევაში იგეგმება შესაბამისი ცვლილებები.
„დამრიგებლის მუშაობის დებულების“ მიხედვით, დამრიგებელი უზრუნველყოფს ეფექტურ კომუნიკაციას მოსწავლესთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან, რაც ხელს უწყობს ინფორმაციის გაზიარებასა და ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებას.
სასკოლო სასწავლო გეგმა ასევე ითვალისწინებს თანამშრომლობით მიდგომას და სასკოლო საზოგადოების წევრთა ჩართულობას სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში, რაც დამატებით აძლიერებს სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერის სისტემურობას.
დოკუმენტაციაში აღწერილი პროცედურები დასტურდება სასკოლო საზოგადოებასთან ჩატარებული გასაუბრებებისა და ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა პორტფოლიოების შესწავლით.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია
- ინდივიდუალური და ალტერნატიული სასწავლო გეგმები
- ისგ ჯგუფის ოქმები
- დამრიგებლის მუშაობის დებულება
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების პორტფოლიოები

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კლუბებს: წრეებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლის მოსწავლეები სარგებლობენ ტრანსპორტირების სერვისით, რომელიც ხორციელდება შესაბამისი მომსახურების მიმწოდებლის მეშვეობით. კერძოდ, დოკუმენტის მიხედვით, სკოლას ემსახურება სატრანსპორტო კომპანია „შპს კახეთი ტრანსი 2022“. ასევე წარმოდგენილია ტრანსპორტირების მომსახურების განხორციელების დამადასტურებელი მასალა (ტაბელი), რომელიც ასახავს მოსწავლეთა გადაყვანის პროცესის აღრიცხვას კონკრეტულ პერიოდში. ტრანსპორტირების სერვისით სარგებლობას გასაუბრებისას ადასტურებენ მოსწავლეები და მათი მშობლები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების კლუბებისა და წრეების შეთავაზება არის ნებაყოფლობითი

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლის მიერ დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (კლუბები, წრეები) ხორციელდება სკოლაში უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებსინდიკატორის

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ტრანსპორტირების დამადასტურებელი ტაბელი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო განათლების საფეხური)	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლის დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია (ბრძანება N 2ს-104), რომელიც განსაზღვრავს კურიკულუმის შექმნისა და განვითარების ძირითად პრინციპებსა და პროცედურებს. დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის შემუშავების პროცესი ეფუძნება მრავალმხრივ, ჩართულობასა და თანამშრომლობაზე ორიენტირებულ მიდგომას. გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრის - ადმინისტრაციის, მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების - აქტიური მონაწილეობა, მათი მოსაზრებების შეგროვება, განხილვა და ანალიზი (მათ შორის, სამუშაო შეხვედრებისა და უკუკავშირის მექანიზმების გამოყენებით). ამასთან, მეთოდოლოგია ითვალისწინებს სკოლის რესურსების, საჭიროებებისა და საგანმანათლებლო კონტექსტის შეფასებას, რაც ქმნის საფუძველს კურიკულუმის ადაპტირებისთვის როგორც არსებული შესაძლებლობების, ისე საზოგადოების მოლოდინებისა და პრიორიტეტების შესაბამისად. შედეგად, კურიკულუმი ყალიბდება როგორც კოლაბორაციული, რეალისტური და საჭიროებებზე ორიენტირებული დოკუმენტი, რომელიც ასახავს სასკოლო საზოგადოების საერთო ხედვასა და განვითარების მიმართულებებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა, რომ კურიკულუმში სრულად აისახოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რადგან მისი განვითარება ეფუძნება ჩართულ და თანამშრომლობით პროცესს.

მეთოდოლოგია გულისხმობს მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის აქტიურ მონაწილეობას კურიკულუმზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე, რაც უზრუნველყოფს მათი მოსაზრებებისა და საჭიროებების გათვალისწინებას. პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს როგორც უკუკავშირის მექანიზმებს, ისე კოლეგიურ განხილვებს, რაც აძლიერებს გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღების პრაქტიკას. ამასთანავე, კურიკულუმის განვითარება ეფუძნება მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს, რაც საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები და მოლოდინები. ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შინაარსის, სწავლების მეთოდებისა და რესურსების განსაზღვრის შესაძლებლობა კი უზრუნველყოფს კურიკულუმის ადაპტირებას სკოლის კონტექსტის, რესურსებისა და სპეციფიკური საჭიროებების შესაბამისად. გასაუბრებისას მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ პროცესები

ისე მიმდინარეობს, როგორც დოკუმენტებშია აღწერილი. მოსსწავლეებიც ადასტურებენ, რომ მათი სურვილები და ინტერესები გათვალისწინებულია კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე თუ პროექტზე მუშაობისას. შედეგად, კურიკულუმი წარმოადგენს არა მხოლოდ ფორმალურ დოკუმენტს, არამედ რეალურად ასახავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებსა და საჭიროებებს.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. მისი შექმნის პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით და ინკლუზიურ მიდგომას, რაც გულისხმობს მასწავლებლების, ადმინისტრაციის, მოსწავლეების და მშობლების მონაწილეობას. მეთოდოლოგია ასევე ითვალისწინებს კურიკულუმის პერიოდულ გადახედვასა და მონაცემებზე დაფუძნებულ გაუმჯობესებას. ეს ნიშნავს, რომ სკოლის გამოცდილება და მიღებული შედეგები გამოიყენება კურიკულუმის შემდგომი განვითარებისთვის. კურიკულუმის შემუშავება არ არის ერთპიროვნული გადაწყვეტილების შედეგი - პროცესი მოიცავს კონსულტაციებს, სამუშაო შეხვედრებსა და უკუკავშირის მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებას. ამასთან, ხდება სკოლის კონტექსტის, რესურსებისა და პრიორიტეტების გაანალიზება, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა მხარის ინტერესების გათვალისწინებას. სკოლას ამ ეტაპზე არ წარმოუდგენია აღნიშნული პროცესების პრაქტიკაში განხორციელების დამადასტურებელი მტკიცებულებები. თუმცა წარმოადგინა კონკრეტული ინსტრუმენტები. მაგალითად: მშობელთა უკუკავშირის კითხვარის ფორმა, რაც ადასტურებს, რომ სკოლას აქვს მზაობა პრაქტიკაში განახორციელოს ის პროცესები, რაც დოკუმენტურად აქვს აღწერილი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის, სასკოლო სასწავლო გეგმისა და დამატებითი მასალების (კათედრების სხდომების ოქმები, სოციალური ქსელები) ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და მისი შემუშავება და დანერგვა ეფუძნება თანამშრომლობით, ჩართულ და გამჭვირვალე პროცესს.
მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის განვითარება მოიცავს მასწავლებლების აქტიურ მონაწილეობას, კათედრებზე საკითხების ერთობლივ განხილვას, სასწავლო თემების, მიზნებისა და რესურსების შეთანხმებას. ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეებთან და მშობლებთან კომუნიკაციას, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის შინაარსის გაზიარებასა და მის უკეთ გააზრებას. მასწავლებელთა თანამშრომლობითი მუშაობა დასტურდება კათედრების სხდომების ოქმებით, სადაც ასახულია სასწავლო თემების, სამიზნე ცნებების, კომპლექსური დავალებებისა და რესურსების კოლეგიური განხილვა და შეთანხმება, რაც მიუთითებს კურიკულუმის ერთობლივ დაგეგმვასა და გაზიარებაზე. ამასთან, სკოლა აქტიურად იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხს, მათ შორის სოციალურ ქსელებს, სასწავლო

აქტივობებისა და კურიკულუმით გათვალისწინებული პროექტების შედეგების გასაზიარებლად, რაც ხელს უწყობს პროცესის გამჭვირვალობასა და ფართო საზოგადოების ინფორმირებას. მასწავლებელთა თანამშრომლობითი მუშაობა დასტურდება კათედრების სხდომების ოქმებით, სადაც ასახულია სასწავლო თემების, სამიზნე ცნებების, კომპლექსური დავალებებისა და სასწავლო რესურსების ერთობლივი განხილვა და შეთანხმება, რაც მიუთითებს კურიკულუმის კოლეგიურ დაგეგმვასა და გაზიარებაზე. ამასთან, სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს სასწავლო აქტივობებისა და კურიკულუმით გათვალისწინებული პროექტების შედეგების გასაზიარებლად, რაც ხელს უწყობს პროცესის გამჭვირვალობასა და კურიკულუმის ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026);
- კათედრების ოქმები.

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმების ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ კურიკულუმი აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებზე და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის საფუძველს. სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) კურიკულუმებში წარმოდგენილია სასწავლო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, რაც მიუთითებს კონცეპტუალურ მიდგომაზე დაფუძნებულ დაგეგმვაზე. თემატური ერთეულები, კონტექსტის მაგალითები და კომპლექსური დავალებების იდეები, უმეტეს შემთხვევაში, მიმართულია მოსწავლის აქტიური ჩართულობის, დაკვირვების, ანალიზისა და პრაქტიკული საქმიანობის წახალისებისკენ.

	კურიკულუმებში, ასევე, იკვეთება კვლევასა და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების ელემენტები, რაც შეესაბამება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს. წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები და მრავალფეროვანი აქტივობები, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას იმუშაონ როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, თანამშრომლობით გარემოში. მიუხედავად ზემოთ თქმულისა, კურიკულუმების შინაარსობრივი ანალიზი აჩვენებს, რომ ცალკეულ შემთხვევებში ცნებებსა და ქვეცნებებს შორის კავშირი, ასევე კონტექსტის მაგალითებსა და კომპლექსური დავალებების იდეებს შორის თანმიმდევრულობა სრულად არ არის გამყარებული. ზოგიერთ თემაში დავალებები უფრო აღწერითი ხასიათისაა და ნაკლებად უკავშირდება სამიზნე ცნების სიღრმისეულ გააზრებას, რაც ნაწილობრივ აფერხებს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის სრულად განხორციელებას. მიუხედავად აღნიშნულისა, კურიკულუმი მთლიანობაში უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას და ქმნის საფუძველს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევისთვის. **რჩევა: დაწყებით საფეხურზე,** სასურველია, გაძლიერდეს კავშირი სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებსა და კომპლექსურ დავალებებს შორის, რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმი ორიენტირებულია არა ინფორმაციის დაზეპირებაზე, არამედ ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაზე. ეს დასტურდება კომპლექსური დავალებებითა და პროექტებით. მაგალითად, XI კლასში განხორციელებული პროექტი ნარჩენების მართვის შესახებ, სადაც მოსწავლე თავად ქმნის პროდუქტს და იღებს პასუხისმგებლობას სწავლის პროცესზე. კურიკულუმში შეტანილი საკითხები მჭიდროდ უკავშირდება მოსწავლის ყოველდღიურობას. მაგ.: ნაადრევი ქორწინების თემა IX კლასში ან შშმ პირთა უფლებები X კლასში, რაც ზრდის სწავლის მოტივაციას და მოსწავლისთვის პროცესს უფრო შინაარსიანს ხდის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები ხელს უწყობს მოსწავლეთა კრიტიკული, შემოქმედებითი და კომპლექსური აზროვნების განვითარებას. თითოეული თემის ფარგლებში შერჩეულია მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტექსტები, დაგეგმილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებზე მუშაობისას მოსწავლეს დასჭირდება მაღალი სააზროვნო უნარები. კურიკულუმის

	დაგეგმვისას მასწავლებლები ეყრდნობიან გასული წლის შედეგების ანალიზს (სასკოლო და კლასგარეშე აქტივობების, რესურსების რეფლექსია, დიაგნოსტიკური წერა, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი), ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს და შესაძლებლობებს, რაც უზრუნველყოფს მათ სასწავლო პროცესში ჩართულობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	დაწყებითი, საბაზო და საშაულო საფეხურის ესთეტიკის კათედრის - მუსიკის და ხელოვნების საგნის - მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, თემები და შემოქმედებითი ტიპის დავალებები ეყრდნობა წინარე გამოცდილებას და პრაქტიკას. საფეხურის მისაღწევი შედეგები ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე. მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, რაც განაპირობებს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სწავლა-სწავლების პროცესში. მუსიკის/ხელოვნების საგნების კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში სავალდებულო თემები, საკითხები და ცნება/ცნებები შევსებულია მართებულად, ესგ-ის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით. ზემოთ აღნიშნული პედაგოგებმა განმარტეს და დაასაბუთეს ინტერვიუს დროსაც. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი მასალის მიხედვით იკვეთება, რომ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები. კერძოდ, თემები და შემოქმედებითი შინაარსის დავალებები ორიენტირებულია მოსწავლეთა ინტერესებზე და მიმართულია მათი შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. ამასთან, კურიკულუმზე მუშაობა მიმდინარეობს კათედრაზე, სპეციალურ მასწავლებელთან თანამშრომლობით, რაც მიუთითებს სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისას სხვადასხვა პროფესიული პერსპექტივის გათვალისწინებაზე და მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტაციაზე. დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მიმართულება, რომელიც საჭიროებს გაუმჯობესებას. კერძოდ: **სამივე საფეხურზე,** კურიკულუმებში დავალების გრაფაში მოცემულია საკითხი. დავალების იდეის გრაფაში კი მოცემული უნდა იყოს დავალების დეტალური პირობა. აგრეთვე, ბუნდოვანია დვალებების პირობები. მაგალითად, მე-5 კლასის კურიკულუმში ასეთი დავალებაა: „რევაზ ინანიშვილის მოთხრობის „ეთერის“ მიხედვით გავაცოცხლოთ მწერლები“. მაგ., მე-9 კლასის კურიკულუმში მოცემულია ასეთი დავალება: არგუმენტირებული ესეს დაწერა სამშობლოს შესახებ, ნასწავლი ნაწარმოებების საფუძველზე. გაუგებარია, ამ თემაზე რა ტიპის არგუმენტირებას ითხოვენ და რა საკითხის შესახებ (ცნობილია, ამ

	ტიპის ესე რაღაცის მტკიცებასა და საპირისპიროს უარყოფას გულისხმობს, „სამშობლოს შესახებ“ არასაკმარისი პირობაა). ასევე ბუნდოვანია, რა იგულისხმება დავალებაში: ლიტერატურული თხზულება პიროვნული არჩევანის შესახებ. **საბაზო საფეხურის** კურიკულუმებში ზოგიერთი დავალება არ შეესაბამება შემოქმედებითი ბუნების სტატუსს. მაგ., მე-7 და მე-8 კლასების კურიკულუმში დავალების პირობად გვხვდება ზეპირი მსჯელობა. ესაა რიგითი აქტივობა, რომელიც ყველა გაკვეთილის თანმხლებია. აგრეთვე, მე-8 კლასის კურიკულუმში მოცემულია დავალება „ვეფხისა და მოყმის“ ბალადის გაშინაარსებასთან დაკავშირებით. ესეც მიმდინარე დავალება შეიძლება იყოს, მაგრამ არა-შემოქმედებითი (კომპლექსური) ბუნებისა, რადგანაც მოსწავლე არაფერს არ ქმნის, არაფერზე მსჯელობს, უბრალოდ, პროზად გადმოაქვს გალექსილი ბალადის შინაარსი. კარგი იქნებოდა, ისეთი დავალება ჰქონოდათ მოსწავლეებს, რომელშიც იმსჯელებდნენ რაიმე საკითხზე, თავიანთ დამოკიდებულებას გამოხატავდნენ, ან, მაგალითად, ბალადის სხვადასხვა ვარიანტს დააკვირდებოდნენ რაიმე კუთხით და ა.შ. **საშუალო საფეხურის** კურიკულუმებში ბუნდოვანია შემდეგი დავალებების შინაარსი: მე-10 კლასისი: ა) საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტის შექმნა მოწამე დედოფლის შესახებ, „შუშანიკის წამების“ მიხედვით. ინფორმაცია დედოფალის შესახებ ტექსტშია მოცემული. მოსწავლეს კონკრეტულად რა ევალება, არაა მკაფიოდ განსაზღვრული. ბ) ლიტერატურული თხზულების შექმნა ბოროტების გარდაუვალი მარცხის შესახებ, „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით. გ) საჯარო გამოსვლის ტექსტის მომზადება ადამიანის ცხოვრების შესახებ, სულხან-საბა ორბელიანის იგავებზე დაყრდნობით. სასურველია, მეტი მინიშნება იყოს, კონკრეტულად რის შესახებ უნდა ისაუბროს მოსწავლემ საჯარო გამოსვლაში. საჯარო გამოსვლაც - ეს „ჟანრი“ - ცოტა დამაბნეველია, აღნიშნულ თემასთან მიმართებით. დ) დღიურის მომზადება ტრაგიკული ბედის ადამიანის პოზიციიდან, „დავითიანის“ მიხედვით. დასაკონკრეტებელია: დავით გურამიშვილის დღიურის მომზადება იგულისხმება თუ რამე სხვა. მე-11 კლასი: ა) ანალიტიკური ესეს დაწერა რომანტიკოსების შემოქმედებაზე დაყრდნობით. არ არის დაკონკრეტებული: სამივე რომანტიკოსის შემოქმედების გაანალიზება იგულისხმება (რაც, ცოტა არ

	იყოს, დაუძლეველ ამოცანად გვეჩვენება ერთ დავალებაში), თუ რომელიმე კონკრეტულ საკითხზე მსჯელობა. მე-12 კლასისი: ა) არგუმენტირებული ესეს შექმნა ტრაგიკული ბედის ქალი პერსონაჟების შესახებ, შესწავლილი ნაწარმოებების საფუძველზე. დასაზუსტებელია, რისი არგუმენტირება მოითხოვება მოსწავლისაგან. ბ) ლიტერატურული თხზულების შექმნა ადამიანის დეგრადაციის შესახებ, „ჯაყოს ხიზნებზე“ დაყრდნობით. გაურკვეველია რას ნიშნავს „ლიტერატურული თხზულება“. ასევე, ბუნდოვანია: მოსწავლემ უნდა გვიამბოს როგორ დეგრადირდა ადამიანი ამ ტექსტის მიხედვით, თუ იმსჯელოს დეგრადირების გამომწვევ მიზეზებზე. აღსანიშნავია, სხვა გამოსასწორებლი საკითხებიც. ზოგიერთ კურიკულუმში გვხვდება მოძველებული ტერმინები. მაგალითად, მე-8 კლასის კურიკულუმში გვხვდება ასეთი ჩანაწერი: ტექსტის „სიტუაციური მახასიათებლები“. მე-3 თაობის სტანდარტში ცნებას ჰქვია „საკომუნიკაციო სიტუაცია“. ზოგიერთ კურიკულუმში გამოყენებულია არასწორად დამკვიდრებული ტერმინები (მაგ., მე-8 კლასი, დავალება „ვეფხი და მოყმეს“ ბალადის გაშინაარსება. მის ნაცვლად უნდა იყოს პერიფრაზირება ან მოკლე შინაარსის გადმოცემა). იგი არ შეესაბამება აკადემიურ და საგნობრივ ტერმინოლოგიას. აღნიშნული შეიძლება იწვევდეს ტერმინოლოგიურ არაზუსტობას და გაურკვევლობას როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის. აღსანიშნავია, რომ კათედრასთან შეხვედრისას პედაგოგებმა გაიზიარეს საგნობრივი ექსპერტის რჩევები, როგორც კურიკულუმის ჩარჩოსთან, ასევე დავალებების პირობების გამოკვეთასთან დაკავშირებით. საუბარში, როგორც მოსალოდნელი იყო, დაკონკრეტდა, თუ რას ითხოვენ თითოეულ დავალებაში და ისიც აღინიშნა, რომ გაკვეთილებზე მოსწავლეებს ასევე მკაფიოდ უხსნიან, რა ევალებათ. თუმცა, დაგვეთანხმნენ იმაში, რომ სასურველია უფრო მკაფიოდ აისახოს კურიკულუმში დავალების პირობები. გამოხატეს მზაობა, რომ კურიკულუმის განახლებისას გაითვალისწინებენ ამ რჩევებს. **რჩევები:** **სამივე საფეხური** • სასურველია, დავალებების პირობები იყოს მკაფიოდ და დეტალურად ჩამოყალიბებული; • სასურველია, დავალების იდეის გრაფაში აისახოს დავალების სრულყოფილი აღწერა და არა მხოლოდ საკითხი; • სასურველია, გამოიკვეთოს განსხვავება „საკითხსა“ და „დავალების იდეას“ შორის, ან განისაზღვროს მათი ერთიანი ფორმატი კათედრაზე შეთანხმებით;

	• სასურველია, დავალებები რეალურად იყოს შემოქმედებითი და კომპლექსური ხასიათის, და არ შემოიფარგლებოდეს მიმდინარე აქტივობებით (მაგ., ზეპირი მსჯელობა ან შინაარსის გადმოცემა). **საბაზო საფეხური** • სასურველია, კურიკულუმში გამოყენებული ცნებების ჩამონათვალი შესაბამისობაში მოვიდეს მოქმედ სტანდარტთან და განახლდეს ტერმინოლოგია. კერძოდ, მოძველებული ჩანაწერი - „ტექსტის სიტუაციური მახასიათებლები (საკომუნიკაციო სიტუაცია)“ - ჩანაცვლდეს მოქმედი სტანდარტით განსაზღვრული ტერმინით „საკომუნიკაციო სიტუაცია“. • სასურველია, კურიკულუმში გამოყენებული ტერმინოლოგია შეესაბამებოდეს აკადემიურ სტანდარტებს და თავიდან იქნას აცილებული არაზუსტი ტერმინების გამოყენება. კერძოდ, ტერმინი „გაშინაარსება“ ჩანაცვლდეს შესაბამისი და სწორი ფორმულირებით (მაგ., „შინაარსის გადმოცემა“, „პერიფრაზირება“), რაც უზრუნველყოფს ტერმინოლოგიური სიზუსტის დაცვას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მოწოდებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. პედაგოგების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიმართულია აკადემიური დამოუკიდებლობისა და პროფესიული ორიენტაციის განვითარებისკენ. შერჩეული თემატიკა ეფუძნება გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ერწყმის მოსწავლეთა ინდივიდუალურ ინტერესებსა და სამომავლო კარიერულ მიზნებს. ეს მიდგომა ხელს უწყობს რთული საგნობრივი ცნებებისა და შედეგების ინტეგრირებულ და სიღრმისეულ ათვისებას, რაც კურსდამთავრებულს ამზადებს უმაღლესი განათლებისა და შრომითი ბაზრისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და საკითხები, აგრეთვე დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს და მიმართულია მათი ფიზიკური განვითარების, ორგანიზების, თვითკონტროლისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების ჩამოყალიბებისკენ. **რჩევები:** • სასურველია, **დაწყებითი საფეხურის** სასწავლო პროცესში ყველა კლასში გათვალისწინებული იყოს ტანვარჯიშის სწავლება. • მნიშვნელოვანია, **საბაზო და საშუალო საფეხურზე** კურიკულუმებს დაემატოს თემა მძლეოსნობა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილ კურიკულუმებში აქცენტი გადატანილია გრძელვადიან მიზნებზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნებად და ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კურიკულუმებში ასახულია აქტუალური თემები, კონტექსტუალური მაგალითები და მრავალფეროვანი რესურსები. შემუშავებული დოკუმენტაცია წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების ეფექტიან მექანიზმს. კურიკულუმის ჩარჩოს ანალიზისა და მასწავლებელთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პედაგოგს აქვს სრული მზაობა, წარმართოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი, ფოკუსირდეს გრძელვადიან მიზნებზე და სასწავლო შედეგები განსაზღვროს საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ კურიკულუმში ინტეგრირებული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობისა და პრობლემის გადაჭრის უნარების ჩამოყალიბებას. კომპიუტერული ტექნოლოგიების კონტექსტში ეს მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ციფრული წიგნიერების მაღალი დონის მისაღწევად, რაც მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს, რომ მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკულ გამოიყენოს რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია .**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილ (განახლებულ) კურიკულუმებში განსაზღვრულია ისეთი აქტივობები, რომელთა საშუალებითაც სასწავლო პროცესში მოსწავლე შეძლებს თავისი უნარების განვითარებას.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმების ანალიზი აჩვენებს, რომ კურიკულუმი, ძირითადად, შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და ასახავს სტანდარტით გათვალისწინებულ შინაარსობრივ ჩარჩოს. **სამივე საფეხურზე** (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) კურიკულუმებში წარმოდგენილია შესაბამისი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და თემატური ერთეულები, რაც უზრუნველყოფს სტანდარტით განსაზღვრული შინაარსის ასახვას. თემატიკა, ძირითადად, შეესაბამება სავალდებულო თემებს და ქმნის მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განვითარების საფუძველს. აღსანიშნავია, რომ ცალკეულ შემთხვევაში თემები წარმოდგენილია ინტეგრირებული ან გაფართოებული ფორმით (მაგ., ბუნება – IV კლასი) და მათი კავშირი სტანდარტის ფორმულირებებთან არ არის ყოველთვის პირდაპირი, თუმცა შინაარსობრივად ინარჩუნებს შესაბამისობას და ხელს უწყობს საკითხების კომპლექსურ გააზრებას. კურიკულუმებში იკვეთება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან დაკავშირებული მიმართულებები. მათ შორის: ცოდნის პრაქტიკულ კონტექსტებში გამოყენება, კვლევითი უნარების განვითარება და სხვადასხვა საკითხის ურთიერთდაკავშირება. ამასთან, შინაარსობრივი ანალიზი აჩვენებს, რომ ცალკეულ შემთხვევაში (განსაკუთრებით **საბაზო საფეხურზე, ცალკეულ ქიმიისა და ფიზიკის კურიკულუმებში**) ნაკლებად იკვეთება მკაფიო კავშირი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებსა და სასწავლო აქტივობებს შორის. მიუხედავად აღნიშნულისა, კურიკულუმი მთლიანობაში უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევაზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. **რჩევა:** სასურველია, **სამივე საფეხურზე,** გაძლიერდეს კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და კონკრეტულ სასწავლო აქტივობებს შორის, რათა გამოიკვეთოს, რა კონკრეტული ცოდნისა და უნარის განვითარებას ემსახურება იგი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) სრულად პასუხობს ესგ-ს მოთხოვნებს. სასწავლო პროცესი აგებულია ძირითად სამიზნე ცნებებზე. კურიკულუმში თითოეული თემა და საკითხი პირდაპირ კავშირშია ესგ-ით განსაზღვრულ სტანდარტის შედეგებთან. მაგალითად, X კლასის მოქალაქეობის პროექტი მიემართება „მოქალაქეობრივი კომპეტენციის“ განვითარებას, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი

	უმთავრესი მიზანია. სასწავლო გეგმაში ინტეგრირებული კომპლექსური დავალებები - მაგ.: მულტისენსორული წიგნის შექმნა, ვენის დიაგრამა ანტიკურ და თანამედროვე მოქალაქეობაზე - ემსახურება გრძელვადიან მიზნებს - მოსწავლემ არა მხოლოდ შეიძინოს ცოდნა, არამედ შეძლოს მისი პრაქტიკულად გამოყენება. კურიკულუმი ფოკუსირებულია ესგ-ის ისეთ პრიორიტეტებზე, როგორებიცაა: სახელმწიფოებრივი აზროვნება, ტოლერანტობა, ადამიანის უფლებები და გარემოსდაცვითი ცნობიერება. ამას ადასტურებს XI კლასის პროექტი კლიმატის ცვლილების შესახებ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. ინგლისური და რუსული ენის კურიკულუმის ჩარჩოებში ასახულია სავალდებულო თემები, საკითხები, კონტექსტ მაგალითები და განსაზღვრულია კონკრეტული რესურსები. შესასწავლ თემებთან მიმართებით დაგეგმილია შემოქმედებითი ბუნების დავალებები, რაც ხელს უწყობს საკითხის კონტექსტში სამიზნე ცნებების გააზრებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	დაწყებითი, საბაზო და საშაულო საფეხურის მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩო და მასში წარმოდგენილი სამიზნე ცნება/ცნებები, რესურსები, კომპლექსური დავალების იდეები იძლევა მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესში აქტიური ჩართვის შესაძლებლობას, რაც ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. შემოქმედებითი ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ისეთი უნარების გამომუშავებასა და გააქტიურებას, რაც ხელს შეუწყობს საკითხებისა და ცნებების გაცნობიერებასა და მოკლევადიანი მიზნების მიღწევაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კათედრა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გამოკვეთს ისეთ თემატიკას, რომელზე მუშაობაც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითობის უნარების განვითარებას. ამაზე მეტყველებს ყველა კლასში დაგეგმილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები, ასევე - დაგეგმილი და განხორციელებული პროექტები.

	ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
მათემატიკა	კურიკულუმი პასუხობს ესგ-ის მიზნებს და ორიენტირებულია პირობისეული ცოდნის განვითარებაზე. კომპლექსური დავალებების მეშვეობით ხდება ცოდნის სიღრმისეული გააზრება, რაც მოსწავლეებს ამზადებს უმაღლესი განათლებისა და პროფესიული თვითგამორკვევისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კურიკულუმის ჩარჩოში ნათლად არის ასახული სტანდარტის საფეხურებრივი შედეგები და სამიზნე ცნებები. განხორციელების პროცესში განსაზღვრულია თემებთან შესაბამისი სპორტული ინვენტარი და ელექტრონული სასწავლო რესურსები. კომპლექსური ტიპის დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კურიკულუმი სრულად ითვალისწინებს საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებს და ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევაზე. კურიკულუმის ჩარჩოში დეტალურად არის გაწერილი თემები, სამიზნე ცნებები, დასამუშავებელი საკითხები და კონტექსტუალური მაგალითები. დავალებები და აქტივობები იმგვარადაა შერჩეული, რომ ხელს უწყობს ინფორმაციის გააზრებას პირადი გამოცდილების საფუძველზე და ეხმარება მოსწავლეებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაში. კომპლექსური ხასიათის დავალებები ორიენტირებულია მოსწავლეებში კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებასა და ციფრული მოქალაქეობის პრინციპების ჩამოყალიბებაზე. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელს სიღრმისეულად აქვს გააზრებული ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები. კურიკულუმის შემუშავების პროცესში იგი ეფექტიანად იყენებს საგნობრივ სტანდარტს და მიღებული გამოცდილების საფუძველზე გეგმავს მის შემდგომ დახვეწას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმები ფარავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ თემებსა და სამიზნე ცნებებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზუალური მასალის ანალიზი აჩვენებს, რომ კურიკულუმებში განსაზღვრულია სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო რესურსი, მათ შორის: სახელმძღვანელოები, ვიზუალური და ციფრული მასალა, ვიდეორესურსები და ელექტრონული პლატფორმები, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მრავალფეროვნებას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. კურიკულუმებში გათვალისწინებული ელექტრონული რესურსებისა და ვირტუალური ლაბორატორიების გამოყენება ქმნის შესაძლებლობას მოსწავლეთა კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც მატერიალური რესურსები სრულად წარმოდგენილი არ არის. სკოლაში ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიული სივრცე (ფიზიკისა და ბიოლოგიის მიმართულებით), რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით (ხელსაბანი, ვენტილაციის/გამწოვის სისტემა) და სასწავლო პროცესისთვის საჭირო მოწყობილობებით: • ფიზიკის ელემენტარული ლაბორატორიული მოწყობილობები და ხელსაწყოები (მექანიკისა და ელექტრობის მარტივი მოდელები, დისკები, სადგამები); • საზომი და სადემონსტრაციო ხელსაწყოები (მაგ.: ანალოგური საზომი მოწყობილობა, თერმომეტრი და სხვა); • ლაბორატორიული მინის ჭურჭელი და ძირითადი ინვენტარი. • ვიზუალური რესურსები (პოსტერები, სქემები). ასევე სამგანზომილებიანი (3D) მოდელები (მაგ.: ადამიანის ორგანოების მოდელები), რაც მნიშვნელოვან მხარდაჭერას უწევს მოსწავლეთა მიერ ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური პროცესების გააზრებას. ასევე, ხელმისაწვდომია კლასიფიკაციური მიკრობიოლოგიური თვალსაჩინო მასალა. • მოსწავლეთა მიერ შექმნილი მოდელები და მაკეტები: მექანიკური კონსტრუქციები, გარემოს მოდელები, ფილტვის მოდელი და სხვა, რაც უზრუნველყოფს როგორც დემონსტრირების, ისე ნაწილობრივ ექსპერიმენტული აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას აღნიშნულ საგნებში.

	ცალკე არსებობს ქიმიის ლაბორატორიული სივრცე, რომელიც აღჭურვილია: ხელსაბანით, ვენტილაციის სისტემით, თვალსაჩინოებებით (მაგ.: ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა და უსაფრთხოების ინსტრუქცია), რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას უსაფრთხო გარემოში. ფოტომასალა ადასტურებს, რომ ლაბორატორიაში წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის სასწავლო კოლექციები (მაგ.: ქანების, სხვადასხვა მასალებისა და ბოჭკოების ნიმუშები), რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა დაკვირვების, აღწერისა და კონცეპტუალური გააზრების უნარების განვითარებას. აღსანიშნავია, რომ ქიმიის მიმართულებით იკვეთება, რომ ლაბორატორიული სივრცე და რესურსები ძირითადად ორიენტირებულია სადემონსტრაციო და თვალსაჩინო მასალის გამოყენებაზე და ნაკლებად უზრუნველყოფს სრულფასოვანი ექსპერიმენტული აქტივობების ჩატარებას. კერძოდ: არ ჩანს ქიმიური რეაქტივებისა და სპეციალიზებული ლაბორატორიული აღჭურვილობის საკმარისი რესურსი, რაც ზღუდავს პრაქტიკული/კვლევითი კომპონენტის სრულფასოვან განხორციელებას. მრავალფეროვანი რესურსების, მათ შორის ალტერნატიული (ციფრული და ვირტუალური), საშუალებების, აგრეთვე, ორივე ლაბორატორიის გამოყენება, მოსწავლეთა მიერ შექმნილი ნამუშევრების ინტეგრირება სასწავლო პროცესში, ასევე სკოლის მიერ ლაბორატორიული რესურსების განვითარების მიმართ გამოხატული მზაობა ქმნის პირობებს სასწავლო პროცესის წარმართვისა და კურიკულუმით გათვალისწინებული ძირითადი სწავლის შედეგების მიღწევისთვის. **რჩევა:** სასურველია, ეტაპობრივად გაძლიერდეს ქიმიის მიმართულებით ლაბორატორიული რესურსები (რეაქტივები, უსაფრთხოების შესაბამისი აღჭურვილობა და სპეციალიზებული სამუშაო ზედაპირი), რათა შესაძლებელი იყოს ექსპერიმენტული აქტივობების სრულყოფილად და სისტემურად განხორციელება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) კურიკულუმებში აქტიურად არის გამოყენებული დამხმარე რესურსები: ვიდეო გაკვეთილები YouTube ბმულები, PowerPoint პრეზენტაციები, რუკები და ისტორიული წყაროები.

	სასწავლო პროცესში გამოყენებულია რეალური რესურსები. მაგალითად: საქართველოს კონსტიტუცია და კანონი მოქალაქეობის შესახებ ინტეგრირებული გაკვეთილი (X კლასი). აღნიშნული ეხმარება მოსწავლეს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ კონტექსტში გააზრებაში. კურიკულუმი ითვალისწინებს მოსწავლეთა მიერ საგანმანათლებლო რესურსების შექმნას მაგ.: მულტისენსორული წიგნი, საინფორმაციო ბუკლეტები, სოციალური ვიდეო რგოლები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კურიკულუმებში სახელმძღვანელო გამოყენებულია, როგორც ძირითადი რესურსი. ის წარმოადგენს მთავარ საყრდენს და უშუალოდ უკავშირდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს. კურიკულუმებში ჩაშენებულია ბმულები საგანმანათლებლო ვიდეოების და ელექტრონული რესურსების სახით, რაც მოსწავლეებს ემხარება სწავლის შედეგების მიღწევაში. ასევე, კათედრა აქტიურად იყენებს სკოლის ბაზაზე არსებულ ტექნოლოგიებს და ინტერნეტს ელექტრონული პრეზენტაციების და სხვა შემოქმედებითი პროდუქტების შექმნის პროცესში. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრების და კითხვის უნარების გაუმჯობესების მიზნით, იყენებენ ბიბლიოთეკაში არსებულ უცხოენოვან ლიტერატურასაც. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, სამივე საფეხურზე, მკაფიოდ არის განსაზღვრული ის რესურსები, რომლებიც შეესაბამება თემატურ ერთეულებს და ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. სკოლა იყენებს დამატებით და მრავალფეროვან სასწავლო რესურსებს, რომელიც შეესაბამება ესგ-ის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით დასახული მიზნების მისაღწევად, სკოლა, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, იყენებს გრიფირებულ სახელმძვანელოებს, ელექტრონულ რესურსებს, პლაკატებს, სქემებს და ა.შ. რესურსები ასახულია კურიკულუმებში.

	ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
მათემატიკა	საგაკვეთილო პროცესში სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს კურიკულუმით დასახული მიზნების რეალიზებას. აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესში არასაკმარისად გამოიყენება აკადემიური და სამეცნიერო ლიტერატურა და ძირითადად აქცენტი კეთდება ინტერნეტ წყაროებზე. ეს ზღუდავს სწავლების დიფერენცირების შესაძლებლობას მოსწავლეთა პროფესიული ინტერესების მიხედვით. **რჩევა:**სასურველია, ინტერნეტ წყაროებთან ერთად, პედაგოგმა გამოიყენოს აკადემიური და სამეცნიერო ლიტერატურაც, რაც სწავლების, მოსწავლეთა პროფესიული ინტერესების მიხედვით, უკეთ დიფერენცირების შესაძლებლობას მისცემს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული თემების შესაბამისი სპორტული ინვენტარი, ელექტრონული სასწავლო რესურსები და სახელმძღვანელოები საკმარისია მოსწავლეთათვის გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. **რჩევა:** სასურველია, სკოლის სპორტულ ინვენტარს დაემატოს ტანვარჯიშის ლეიბი, ამ თემის **დაწყებით საფეხურზე** კურიკულუმში ასახვისა და სათანადოდ განხორციელების მიზნით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები სრულად პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს. ისინი უზრუნველყოფენ მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და ხელს უწყობენ კომპლექსური დავალებით განსაზღვრული შემოქმედებითი პროდუქტების შექმნას. დაწყებით საფეხურზე, საგნის „კომპიუტერული ტექნოლოგიები“ კურიკულუმის ჩარჩოში (II-VI კლასები) ინტეგრირებულია მრავალფეროვანი რესურსები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების ეფექტიან მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მითითებული რესურსები, მათ შორის ელექტრონული ბმულები, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლა უზრუნველყოფილია კომპიუტერებით, რაც მასწავლებელს დამატებით შესაძლებლობას აძლევს, რომ გამოიყენოს ელექტრონული რესურსები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმებისა და თანდართული დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. კურიკულუმებში ასახულია მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობები, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა ჩართულობას. ფოტომასალით დასტურდება მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობა პრაქტიკულ, შემოქმედებით და ჯგუფურ აქტივობებში. ასევე, წარმოდგენილია ალტერნატიული სასწავლო გეგმა **(დაწყებითი საფეხური)** და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები **(VIII კლასი – ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა)**, რაც მიუთითებს, რომ სკოლა ახორციელებს სასწავლო პროცესის ადაპტირებას მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად. გეგმებში ასახულია: მოსწავლის აქტუალური დონე, ადაპტირებული მიზნები, შესაბამისი აქტივობები და მხარდაჭერის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას და პროგრესს. აღსანიშნავია, რომ კურიკულუმის ძირითად დოკუმენტებში დიფერენცირებული სწავლების მექანიზმები ზოგად დონეზეა წარმოდგენილი და საჭიროებს დამატებით დაკონკრეტებას, რათა პრაქტიკაში არსებული მიდგომები უფრო მკაფიოდ აისახოს დოკუმენტურად. მიუხედავად აღნიშნულისა, წარმოდგენილი ინდივიდუალური და ალტერნატიული გეგმები, ასევე მრავალფეროვანი აქტივობები, ქმნის საფუძველს ინკლუზიური და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის **რჩევა:** სასურველია, **სამივე საფეხურზე,** კურიკულუმის ძირითად დოკუმენტებში დაკონკრეტდეს დიფერენციურებული სწავლების მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	X კლასში განხორციელებული პროექტი „როგორ და რატომ ვიზრუნოთ ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად?“ ორიენტირებულია შშმ პირთა უფლებების დაცვასა და მათ სასკოლო საზოგადოებაში

	ინტეგრაციაზე. მოსწავლეების მიერ შექმნილი მულტისენსორული წიგნი და აქცია-პერფორმანსი „უხილავი შშმ პირები“ მიუთითებს ინკლუზიური კულტურის პრაქტიკულ დანერგვაზე. დიფერენცირება ხორციელდება სწავლების მეთოდების მრავალფეროვნებით. მაგალითად, ინტეგრირებული გაკვეთილისა და პროექტების დროს გამოიყენება როგორც ვიზუალური (პრეზენტაციები, ფილმები), ისე კინესთეტიკური (როლური თამაშები, ფლეშმობი ჟესტურ ენაზე) აქტივობები, რაც მორგებულია მოსწავლეთა სხვადასხვა საჭიროებაზე. სკოლაში ხორციელდება აქტივობები არაფორმალური განათლების მიმართულებით. მაგ., პროექტი „ტოლერანტობის დღე“, რომლიც მიზნად ისახავდა ყველა მოსწავლის თანაბარ ჩართულობას, მიუხედავად მათი აკადემიური თუ ფიზიკური შესაძლებლობებისა. მსგავსი ქმნის მხარდამჭერ სასწავლო გარემოს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სასკოლო კურიკულუმი იმგვარადაა შედგენილი, რომ იძლევა დიფერენცირების შესაძლებლობას, ითვალისწინებს მოსწავლეთა მზაობას და ხელს უწყობს მათ ჩართულობას სასწავლო პროცესში. ამის დასტურია საგნობრივ კურიკულუმში გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები და ის მრავალფეროვანი შემოქმედებითი პროდუქტები (პრეზენტაცია, პოსტერი, ინტერვიუ, ესე და სხვ.), რომლებსაც მოსწავლეები ქმნიან დავალებების ფარგლებში. ინკლუზიური განათლება ხორციელდება სპეციალური მასწავლებლის და ისგ ჯგუფის კოორდინირებული მუშაობით. წარმოდგენილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში გაწერილია კონკრეტული სტრატეგიები და აქტივობები, რაც დაეხმარება მოსწავლეს დასახული მიზნის მიღწევაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილ დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ნათლად გამოკვეთილია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის სტატეგია და პრინციპები. სსსმ მოსწავლეთა დავალებები მორგებულია მათ შესაძლებლობებს. შემოქმედებითი ტიპის დავალებებში გათვალიწინებულია საგნობრივი სტანდარტით მოცემული სამიზნე ცნებება და მასზე დაყრდნობითაა შექმნილი ადაპტირებული დავალებები, რაც ქმნის მოსწავლის სრულფასოვანი შეფასების შესაძლებლობას. აქტივობები/აქტივობათა პაკეტი მორგებულია მოსწავლის საჭიროებებსა და გამოწვევებზე, რაც ქმნის საფუძველს, რომ მაქსიმალურად დამუშავდეს სტანდარტით მოცემული თემები და გრძელვადიანი მიზნები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	პედაგოგები იყენებენ მოსწავლეზე მორგებულ მიდგომებს, რაც ინდ. გეგმებში აისახება. დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის თავისუფლება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, რათა უკეთ გამოიკვეთოს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობები. შემოქმედებითი დავალებები ორიენტირებულია ინკლუზიურობაზე, რაც ხელს უწყობს აკადემიური მიზნების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ კათედრაზე, რესურსების შერჩევის დროს, საჭიროებათა გათვალისწინების მიზნით, განხილული არაა მოსწავლეთა მიღწევების ანგარიშები. **რჩევა:** სასურველია, რომ მომდევნო წლის კურიკულუმების დაგეგმვისას, კათედრაზე განხილულ იქნას მოსწავლეთა მიღწევები და ამის გათვალისწინებაც მოხდეს სასაწვლო რესურსების შერჩევა.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სპორტი	საგაკვეთილო პროცესში გამოიყენება დიფერენცირებული სწავლების ფორმები და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული რესურსები. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგები აქტიურად იყენებენ მოსწავლეზე ორიენტირებულ, მათ ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობებზე მორგებულ აქტივობებს. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური გეგმები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილია მე-5 კლასის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ), რომელიც მოიცავს ადაპტირებულ დავალებებს. სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომებისა და ინკლუზიური გარემოს არსებობას ადასტურებს წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, აქტივობები და რესურსები, რომლებიც მორგებულია მოსწავლეებზე და ხელს უწყობს მათ ჩართულობას. სასწავლო პროცესი დაგეგმილია მოსწავლეთა განსხვავებული მზაობის, ინტერესებისა და სწავლის სტილის გათვალისწინებით, ხოლო კომპლექსური დავალების პირობებში უზრუნველყოფილია არჩევანის შესაძლებლობა. ინტერვიუს პროცესში ნათლად გამოჩნდა მასწავლებლის მზაობა და კომპეტენცია დიფერენცირებული სწავლებისა და ინკლუზიური განათლების პრინციპების გამოყენების მიმართულებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომას იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც სჭირდებათ აკადემიური უნარების გაუმჯობესება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში განსაზღვრულია მოსწავლის შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას. საგანობრივ კურიკულუმებსა და თანდართულ მასალებში წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ფორმა. მათ შორის: კომპლექსური დავალებები, პროექტული აქტივობები და შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რაც მიუთითებს, რომ შეფასება მრავალფეროვანი პროცესი კი - წინასწარ დაგეგმილია. მოსწავლეთა ნამუშევრები და წარმოდგენილი აქტივობები ადასტურებს, რომ შეფასება ეფუძნება არა მხოლოდ თეორიულ ცოდნას, არამედ პრაქტიკულ, კვლევით და შემოქმედებით კომპონენტებსაც. წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები მიუთითებს, რომ შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები და საჭიროებები, რაც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინკლუზიური შეფასების პრინციპებს.

	ამასთან, შეფასების სისტემის ანალიზი აჩვენებს, რომ, ცალკეულ შემთხვევაში, შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები წარმოდგენილია ზოგადი ფორმით და საჭიროებს დამატებით დაკონკრეტებას. მიუხედავად აღნიშნულისა, წარმოდგენილი შეფასების ფორმები და ინსტრუმენტები ქმნის საფუძველს მოსწავლის მიღწევების ობიექტური და მრავალმხრივი შეფასებისთვის. **რჩევა:**სასურველია, **სამივე საფეხურზე,** შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები დაკონკრეტდეს და ჩამოყალიბდეს უფრო დეტალურად, მკაფიო და გაზომვადი ინდიკატორების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, ობიექტურობასა და ერთგვაროვან ინტერპრეტაციას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასკოლო სასწავლო გეგმა და ვერიფიკაციის მექანიზმი ორიენტირებულია განმავითარებელ შეფასებაზე. კურიკულუმებით გათვალისწინებული კომპლექსური დავალებების შეფასება ხდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით. სკოლას აქვს, სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება. სასწავლო პროცესში მუდმივად ხორციელდება უკუკავშირი. მაგალითად, ინტეგრირებული გაკვეთილისა და არაფორმალური აქტივობების დროს მოსწავლეები იღებენ კონსტრუქციულ რჩევებს, რაც ეხმარება მათ ხარვეზების იდენტიფიცირებასა და დაძლევაში. სასწავლო პროცესშია გამოყენებულია თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ინსტრუმენტებიც. მაგალითად, საზოგადოებრივი მეცნიერებების პროექტებში მოსწავლეები თავად მონაწილეობენ შეფასების პროცესში, რაც ხელს უწყობს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას - მოსწავლე აცნობიერებს, რა ისწავლა და როგორ გააუმჯობესოს შედეგი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კათედრას შემუშავებული აქვს ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი, რომელიც განსაზღვრავს მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით და განმავითარებელი, სადაც ორიენტირი მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობაა. შეფასება ხდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები, აგრეთვე დიაგნოსტიკური წერის ნიმუშები ადასტურებს, რომ ორიენტირება ხდება სამიზნე ცნებებსა და მოლოდინებზე, თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	კათედრის მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა პასუხობს

	ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. განმავითარებელი შეფასება არის სოლო ტაქსონომიის რუბრიკაზე დაყრდნობით შედგენილი, რომელიც ეფუძნება ესგ-ის საგნობრივ სტანდარტს. მასში მაკაფიოდ არის გაწერილი ყველა ის კომპონენტი, რომელიც იძლევა მოსწავლის მრავალმხრივი შეფასების შესაძლებლობას, როგორც საეტაპო/საკლასო მუშაობის პროცესში, ასევე თემის ბოლოს, შემოქმედებითი დავალების/პროდუქტის დასრულებისას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სწავლებისას კათედრა იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებებს. დამატებით წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ასახულია გრძელვადიანი მიზნები/ცნებები, რომლებიც მუშავდება შემოქმედებითი ბუნების დავალებებში და ფასდება სტანდარტის ინდიკატორებზე დაყრდნობით. კათედრას შემუშავებული აქვს დავალების შეფასების ზოგადი რუბრიკებიც. **რჩევა:** სასურველია, **სამივე საფეხურზე,** ზოგადი რუბრიკები დაეფუძნოს სტანდარტის ინდიკატორებსა და კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს (იქნება ეს დისკუსია, პრეზენტაცია, ესე თუ სხვ.). **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	შეფასების მექანიზმი შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებს და ობიექტურად ასახავს მოსწავლის აკადემიურ მიღწევებს. ეს საკითხი გადამწყვეტ როლს ასრულებს უმაღლესი განათლებისთვის მოსაზადებელ ეტაპზე. აღსანიშნავია, რომ არსებული შეფასების ინსტრუმენტები სრულად არ არის ორიენტირებული მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესსა და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე. ასევე, შეფასების პროცესში არასაკმარისად არის გამოკვეთილი გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, რაც ამცირებს სწავლის პროცესის სრულფასოვნად შეფასების შესაძლებლობას. **რჩევები: სამივე საფეხურზე,** სასურველია, შეფასების ინსტრუმენტების დახვეწა, რათა ისინი მაქსიმალურად ფოკუსირდეს მოსწავლის პერსონალურ პროგრესსა და ანალიტიკურ განვითარებაზე. სასურველია, რომ შეფასების რუბრიკებში ყურადღება გამახვილდეს გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კურიკულუმებში გაწერილ თემებთან და დაგეგმილ შუალედურ მიზნებთან დართული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები გრძელვადიან მიზნებზეა

	ორიენტირებული. პედაგოგები, საგაკვეთილო პროცესში, აქტიურად იყენებენ სიტყვიერ კომენტარებს. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური თვისებების, ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის განვითარებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. აღნიშნულს ადასტურებს წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, რომლებიც შეესაბამება სამიზნე ცნებებს და ორიენტირებულია გრძელვადიანი შედეგების მიღწევაზე. დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ მასწავლებელს აქვს შეფასების რუბრიკების შემუშავებისა და გამოყენების პრაქტიკული გამოცდილება. აშკარაა, რომ სკოლას ჩამოყალიბებული აქვს მკაფიო ხედვა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოების შესახებ, რაც სასწავლო პროცესის ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების წინაპირობაა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებსა და სამიზნე ცნებებს, როგორც შემოქმედებითი, ისე ცალკეული დავალებების შემთხვევაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026);
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- კათედრების სხდომების ოქმები;
- საგნობრივი კათედრების სამუშაო გეგმები;
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- ინდივიდუალური და ალტერნატიული სასწავლო გეგმები;

- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები;
- კომპლექსური დავალებების ბარათები და შეფასების რუბრიკები;
- განხორციელებული სასკოლო პროექტების ამსახველი მასალა;
- სადიაგნოსტიკო ტესტები და შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- სასწავლო და ლაბორატორიული რესურსების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა;
- საკლუბო მუშაობის გეგმა და რეფლექსია ;
- სასწავლო პროცესის ამსახველი ფოტომასალა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფოტომასალის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი, ძირითადად, ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და ასახავს მასში განსაზღვრულ თემატიკას, აქტივობებსა და სასწავლო მიდგომებს.

	საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემები, აქტივობები და კომპლექსური დავალებები თავსებადია სასწავლო პროცესში განხორციელებულ საქმიანობებთან. მოსწავლეთა ნამუშევრები (მოდელები, მაკეტები, წერითი დავალებები) და წარმოდგენილი აქტივობები ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ და შემოქმედებით კომპონენტებს, რაც შეესაბამება კურიკულუმით დაგეგმილ საქმიანობას. ფოტომასალა მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები და აქტივობები (ექსპერიმენტული ელემენტები, მოდელირება, დაკვირვება), რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი სასწავლო შედეგებისკენ მიმართულ პროცესს. ასევე დასტურდება, რომ ინდივიდუალური და ალტერნატიული სასწავლო გეგმების არსებობა და მათი გამოყენება სასწავლო პროცესში მიუთითებს კურიკულუმის მოქნილ განხორციელებაზე და მისი, მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად, ადაპტირების შესაძლებლობაზე. ამასთან, ცალკეულ შემთხვევაში, სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მისი კურიკულუმთან პირდაპირი კავშირი დოკუმენტურად არ არის სრულად გამოკვეთილი, რაც საჭიროებს დაგეგმვისა და განხორციელების უფრო მკაფიო კოორდინაციას. მიუხედავად აღნიშნულისა, წარმოდგენილი მტკიცებულებები აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი, საერთო ჯამში, შეესაბამება სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მიმართულებებს. **რჩევები:** • სასურველია, სასწავლო პროცესის დაგეგმვა უფრო მკაფიოდ დაუკავშირდეს კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებსა და შედეგებს და ეს კავშირი აისახოს შესაბამის დოკუმენტაციაში; • სასურველია, დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპებს შორის კოორდინაცია გაძლიერდეს, რათა კურიკულუმის მიზნები უფრო ნათლად და თანმიმდევრულად შესრულდეს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროცესი სრულ თანხვედრაშია დამტკიცებულ კურიკულუმებთან. სკოლაში მოქმედებს კურიკულუმის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც პერიოდულად ამოწმებს, თუ რამდენად შეესაბამება ფაქტობრივად ჩატარებული გაკვეთილები და პროექტები წინასწარ გაწერილ გეგმას. სასწავლო პროცესი მიჰყვება კურიკულუმით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს. კომპლექსური დავალებების პირობები მაგ., მულტისენსორული წიგნის შექმნა ანტიკურ და თანამედროვე მოქალაქეობაზე პირდაპირ გამომდინარეობს კურიკულუმის შინაარსიდან. კურიკულუმით გათვალისწინებული არაფორმალური აქტივობები - პროექტები: „ბავშვობის დასასრული“, „ნარჩენების მართვა“ - ხორციელდება დადგენილ ვადებში, რაც

	ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი მიყვება კურიკულუმის გრძელვადიან გეგმას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კურიკულუმები მიემართება სტანდატით განსაზღვრულ მიზნებსა და მისაღწევ შედეგებს. შექმნილია კონკრეტულ დავალებებზე მორგებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ამასთანავე, განსაზღვრულია რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას. დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მასწავლებლის რეფლექსიები, ანალიზი და მოსწავლეთა ნამუშევრები, რაც ასევე ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დაგეგმილის შესაბამისად. კათედრის წევრების თქმით, სასწავლო წლის ბოლოს განიხილავენ მოსწავლეთა მიღწევებს, დიაგნოსტირების შედეგებს და, გამოვლენილი გამოწვევების საპასუხოდ, კურიკულუმში ასახავენ ცვლილებებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	წარმმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ირკვევა, რომ სამივე საფეხურზე, კათედრა სასწავლო პროცესს წარმათავს შემოქმედებითი ტიპის დავალებებით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში. კურიკულუმის განვითარების დოკუმენტში ასახული და დაგეგმილი შემოქმედებითი დავალებები მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს ცოდნა შეიძინოს მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. სასწავლო გეგმის ორიეინტირია - მოსწავლეთა შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარება. ამას ადასტურებს პედაგოგებთან ჩატარებული გასაუბრებაც. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	დაგეგმილ კურიკულუმებში ჩანს, რომ იგი ორიენტირებულია საინტერესო გახადოს სასწავლო პროცესი მოსწავლისთვის, რათა მან საუკეთესოდ შეძლოს საკუთარი თავის წარმოჩენა და იზრუნოს თავის გონებრივ თუ პიროვნულ განვითარებაზე. დაგეგმილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები და პროექტები სწორედ ამ მიზანს ემსახურება. სკოლა, საჭიროების შემთხვევაში, მიმართავს რემედიაციას, ასევე ქმნის ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმებს სსსმ მოსწავლეებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ვალიდურია და ეფუძნება კურიკულუმით განსაზღვრულ მოსწავლეზე ორიენტირებულ შემოქმედებით აქტივობებს. დაგეგმვა მიმართულია მოსწავლეთა ანალიტიკური და აკადემიური შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესი შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ თემებში გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებსა და საკითხებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი სრულად შეესაბამება სასკოლო კურიკულუმს და ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. თითოეულ კურიკულუმში მკაფიოდ არის განსაზღვრული სასწავლო მიზნები, ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები საგნის, კლასისა და საფეხურის სპეციფიკის გათვალისწინებით. სასწავლო პროცესი ეყრდნობა მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. წარმოდგენილი ნამუშევრები და შემოქმედებითი პროდუქტები ადასტურებს, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები და აქტივობები პრაქტიკაში რეალურად ხორციელდება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ გადმოგზავნილ ფოტომასალაში აღბეჭდილია მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც გაწერილია კურიკულუმში. მაგ.: „შემოდგომის სიმფონია“, „გზა სახლიდან სკოლამდე“ და ა.შ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების („კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“, „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“, „რემედიაციის დებულება“, „სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია“, ინდივიდუალური და ალტერნატიული სასწავლო გეგმები) ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, კურიკულუმის შემუშავება და განვითარება არის უწყვეტი პროცესი, რომელიც ითვალისწინებს მის პერიოდულ გადახედვასა და გაუმჯობესებას. პროცესი ეფუძნება მონაცემების ანალიზს და მიღებული შედეგების გამოყენებას შემდგომი დაგეგმვისთვის. კურიკულუმის განვითარებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენელი,

რაც ხელს უწყობს საჭიროებების იდენტიფიცირებასა და შესაბამის რეაგირებას. გადაწყვეტილებები მიიღება კონსულტაციების, სამუშაო შეხვედრებისა და უკუკავშირის საფუძველზე, ხოლო კურიკულუმის გადახედვა ეფუძნება როგორც მოსწავლეთა მიღწევებს, ისე სასწავლო პროცესში გამოვლენილ გამოწვევებს, რის შედეგადაც ხდება სასწავლო შინაარსისა და რესურსების კორექტირება. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის მიხედვით, სასწავლო პროცესის მართვა ეფუძნება უწყვეტ ციკლს (PDCA - დაგეგმვა, განხორციელება, შემოწმება, გაუმჯობესება), რაც უზრუნველყოფს პროცესების სისტემურ შეფასებასა და გაუმჯობესებას. სკოლა რეგულარულად აგროვებს და აანალიზებს მონაცემებს, ითვალისწინებს უკუკავშირს და მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გეგმავს ცვლილებებს. აღნიშნული პროცესი მოიცავს მონიტორინგს, შეფასებასა და გამოვლენილ გამოწვევებზე რეაგირებას, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ადაპტირებას არსებულ საჭიროებებთან. რემედიაციის დებულების მიხედვით იკვეთება, რომ სკოლა მოქნილად რეაგირებს მოსწავლეთა შემხვედრ საჭიროებებზე. შეფასების შედეგების საფუძველზე ხდება იმ მოსწავლეების იდენტიფიცირება, რომლებიც საჭიროებენ დამატებით მხარდაჭერას, რის შემდეგაც იგეგმება შესაბამისი რემედიაციული ღონისძიებები. რემედიაციის პროცესში გათვალისწინებულია ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა, სასწავლო მასალის ადაპტაცია და დამატებითი აქტივობების განხორციელება, რაც მორგებულია მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე. ამასთან, პროცესის მიმდინარეობისას ხორციელდება მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში დაგეგმილი ღონისძიებების კორექტირება, რაც უზრუნველყოფს მხარდაჭერის პროცესის მოქნილობასა და ეფექტიანობას. სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის მიხედვით, სკოლა უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ინდივიდუალური მიდგომების დაგეგმვასა და განხორციელებას. მოსწავლის საჭიროებების საფუძველზე იგეგმება შესაბამისი სერვისები და ადაპტირებული სწავლების ფორმები, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, საჭირო რესურსები და მხარდაჭერა, რაც საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება. წარმოდგენილი ინდივიდუალური და ალტერნატიული სასწავლო გეგმები ადასტურებს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი მორგებულია მოსწავლეთა განსხვავებულ საჭიროებებზე და უზრუნველყოფილია დიფერენცირებული და ინდივიდუალიზებული მიდგომების ეფექტიანი განხორციელება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს და ორიენტირებულია მოსწავლის მიღწევების მრავალმხრივ შეფასებაზე. საგანობრივ კურიკულუმებსა და თანდართულ მასალებში წარმოდგენილია შეფასების მრავალფეროვანი ფორმები, მათ შორის კომპლექსური დავალებები, პროექტული აქტივობები და შეფასების რუბრიკები, რაც ქმნის

	საფუძველს შეფასების ვალიდურობისა და ობიექტურობისთვის. ამასთან, სკოლაში დანერგილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც რეგულირდება შესაბამისი შიდა სამართლებრივი აქტით. აღნიშნული მექანიზმის ფარგლებში გამოიყენება სპეციალური ვერიფიკაციის ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს შეფასების სისტემის ანალიზს ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის კრიტერიუმების მიხედვით . ვერიფიკაციის პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მტკიცებულება, მათ შორის მოსწავლეთა ნამუშევრები და შეფასების შედეგები, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სანდოობასა და არგუმენტირებულობას. აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს, რომ შეფასების სისტემა არა მხოლოდ ფუნქციონირებს, არამედ ექვემდებარება რეგულარულ გადამოწმებასა და გაუმჯობესებას. შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, რაც დასტურდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით და ადაპტირებული დავალებებით, რაც უზრუნველყოფს შეფასების სამართლიანობას. ამასთან, ცალკეულ შემთხვევაში შეფასების კრიტერიუმები და მათი დონეები საჭიროებს უფრო მკაფიო ფორმულირებას, რათა შეფასების პროცესი იყოს სრულად გამჭვირვალე და ერთგვაროვნად აღქმადი. მიუხედავად აღნიშნულისა, წარმოდგენილი შეფასების სისტემა ქმნის საფუძველს მოსწავლეთა მიღწევების ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმის გადახედვა ხდება არა მხოლოდ სასწავლო წლის ბოლოს, არამედ მიმდინარე პროცესში, რაც პედაგოგებს აძლევს შესაძლებლობას, დაუყოვნებლივ მოახდინონ რეაგირება მოსწავლეთა აკადემიურ თუ სოციალურ საჭიროებებზე. სკოლა აქტიურად იყენებს გამოკითხვებსა და კვლევებს. მაგალითად, პროექტი „გარდატეხის ასაკის ლაბირინთები“ დაიგეგმა მას შემდეგ, რაც „სასკოლო საზოგადოების აზრის კვლევამ“ აჩვენა მოსწავლეთა ინტერესი და საჭიროება ამ საკითხის მიმართ. ეს მიუთითებს სკოლის მზაობაზე, მყისიერად ასახოს კურიკულუმში თემის აქტუალური მოთხოვნები. ვერიფიკაციის ინსტრუმენტში ჩაშენებული კითხვარი ამოწმებს, თუ რამდენად მოხდა აქტივობების ადაპტირება რეალურ დროში სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისთვის. ეს საშუალებას აძლევს მასწავლებელს, გაკვეთილის მსვლელობისას შეცვალოს სტრატეგია, თუ ხედავს, რომ მოსწავლეებს უჭირთ ან პირიქით, ზედმეტად მარტივად ასრულებენ დავალებას. პროფესიული ჯგუფის არსებობა უზრუნველყოფს პედაგოგებს შორის სწრაფ კომუნიკაციას, რაც კრიტიკულ

	სიტუაციებში ან ახალი საჭიროების წარმოშობისას მაგ. ინტეგრირებული გაკვეთილის საჭიროება გადაწყვეტილების სწრაფად მიღების გარანტიაა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	შემოქმედებითი დავალებების შეფასების რუბრიკები მიემართება შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიან მიზნებს. შესაბამისად, არის ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი და სანდო. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები მიემართება სამიზნე ცნებებისკენ და კონკრეტულ დავალებაში დამუშავებული ქვეცნებებისკენ. კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეები წინასწარ იცნობენ შეფასების კრიტერიუმებს და იციან კონკრეტულად რა ცოდნისა და უნარების მიხედვით შეფასდებიან ისინი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია საფეხურის განსმაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ზოგადი ნიმუში საგნებისათვის - სახვითი და გამოყენებით ხელოვნება და მუსიკა. რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზნს. შესაბამისად, შეფასება არის ვალიდური და სანდო. რუბრიკები მორგებულია კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალებებზე. მათი გამოყენება შესაძლებელია მიმდინარე სასწავლო პროცესშიც. განმვსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სრულად მორგებულია ესგ-ის საგნობრივ სტანდარტს, რაც უზრუნველყოფს შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობას და სამართლიანობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კათედრაზე იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რომლებიც წინასწარაა ცნობილი მოსწავლეებისათვის. პედაგოგები, ასევე მიმართავენ თვითშეფასებასაც, რაც მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას ემსახურება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები გაწერილია თემის ფარგლებში და ემსახურება სასწავლო მიზნების მიღწევის შეფასებას, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, ინდიკატორები საჭიროებს დამატებით დაზუსტებასა და უფრო მკაფიო ფორმულირებას. ამასთან, რუბრიკები სრულად არ მიემართება გრძელვადიან სამიზნე ცნებებს და არ დასტურდება, რომ მოსწავლეები წინასწარ იცნობენ შეფასების კრიტერიუმებსა და რუბრიკებს.

	რჩევები: სამივე საფეხურზე, • სასურველია, შეფასების რუბრიკები უფრო მკაფიოდ და დეტალურად ჩამოყალიბდეს, ინდიკატორების დაზუსტებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი ერთგვაროვანი გაგება და გამოყენება. • სასურველია, რუბრიკები სრულად შეესაბამებოდეს გრძელვადიან სამიზნე ცნებებს და უშუალოდ მათზე იყოს ორიენტირებული. • სასურველია, შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები წინასწარ გაეცნოს მოსწავლეებს, რაც ხელს შეუწყობს მათი ჩართულობის გაზრდასა და შეფასების პროცესის გამჭვირვალობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში მკაფიოდ არის განსაზღვრული, რა კრიტერიუმებითა და რომელ კომპონენტებზე (გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები, შედეგები) დაყრდნობით ფასდებიან მოსწავლეები. შეფასება ხორციელდება სასწავლო პროცესზე სისტემური დაკვირვებისა და სხვადასხვა ეტაპზე შესრულებული აქტივობების საფუძველზე. მოსწავლეებს წინასწარ ეცნობებათ ფესტივალებზე მათი შედეგების შეფასების კრიტერიუმებიც. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	შეფასების პროცესის გამჭვირვალობა უზრუნველყოფილია მოსწავლეთათვის შეფასების კრიტერიუმების, მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების წინასწარი გაცნობით. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობის ზრდას და სამართლიანი საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბებას. შეფასების პროცესი ეფუძნება ინდივიდუალურ მიდგომას, რაც თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებას გულისხმობს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს შეფასების რუბრიკების პრაქტიკაში გამოყენების ეფექტიანობას. გარდა ამისა, მოქმედებს შეფასების სისტემის მონიტორინგის მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს სისტემის სანდოობასა და ვალიდურობას. მკაფიოდ ჩამოყალიბებული კრიტერიუმები კი ეხმარება სასწავლო პროცესის მონაწილეებს (მასწავლებლებსა და მოსწავლეებს)

	შეფასების პროცესისა და მიღებული შედეგების ობიექტურ აღქმაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს და აქვთ მზაობა გაითვალისწინონ ყველა რჩევა, რათა გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკები შექმნან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“ (ბრძანება N 2ს-86) და შესაბამისი ვერიფიკაციის ინსტრუმენტი, რომელიც წარმოადგენს შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმს და მიზნად ისახავს შეფასების ინსტრუმენტების, პროცესებისა და შედეგების შესაბამისობის დადგენას განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

ვერიფიკაცია ხორციელდება მრავალმხრივი მექანიზმების გამოყენებით, მათ შორის: კათედრებზე შეფასების ინსტრუმენტებისა და კომპლექსური დავალებების განხილვით, შეფასების რუბრიკების შემუშავებითა და გაზიარებით, ასევე გაკვეთილებზე დაკვირვების გზით. პროცესში ჩართულია დირექცია და ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომლებიც აფასებენ შეფასების პროცესის ეფექტიანობას. შეფასების სისტემის სანდოობა უზრუნველყოფილია შედეგების ანალიზით, მათ შორის იმით, თუ რამდენად უწყობს ხელს გამოყენებული ინსტრუმენტები მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებას. ამასთან, სკოლა იყენებს სადიაგნოსტიკო შეფასებას, თვითშეფასებასა და უკუკავშირის მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს შედეგების გადამოწმებასა და გაუმჯობესებას. განსაზღვრულია ასევე, რომ შეფასების ინსტრუმენტები, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება შეიცვალოს. ვერიფიკაციის ინსტრუმენტი უზრუნველყოფს შეფასების სისტემის სტრუქტურირებულ გადამოწმებას წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით და მოიცავს მის ძირითად მახასიათებლებს: ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას. თითოეული კომპონენტი ფასდება შესაბამისი ინდიკატორებით, რაც გულისხმობს შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან, შედეგების მტკიცებულებებით გამყარებასა და ყველა მოსწავლისთვის თანაბარი პირობების უზრუნველყოფას. პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მტკიცებულება, მათ შორის მოსწავლეთა ნამუშევრები და შეფასების შედეგები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ნამუშევრების (პროექტები, კომპლექსური დავალებები, რეფერატები, შემაჯამებელი დავალებები და ა.შ.) შენახვას სკოლის სივრცეში. ვიზიტის დროს მოხდა მათი დათვალიერება. მაგრამ სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ ფიქსირდება ჩანაწერი იმის შესახებ, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ხარვეზი: სკოლას არ აქვს შემუშავებული რეგულაცია, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულებამ წარმოადგინა 28.04.2026 წლის 2ს - 47 ბრძანება, რომლის საფუძველზეც ცვლილება შევიდა 2025 წლის 17 ნოემბრის 2ს - 86 ბრძანებაში „ვერიფიკაციის დამტკიცების შესახებ“. კერძოდ ბრძანების დანართის მე-3 პუნქტს დაემატა დ ქვეპუნქტი, რომლითაც განისაზღვრა შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის ვადა - არანაკლებ 3 წელი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება - „არ აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას“ შეცვალა შეფასებით „ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია“. აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია კომპონენტის შეფასების ცვლილებაც და კომპონენტი, რომელიც დასკვნის პროექტში შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“ შეფასდა როგორც „შეესაბამება“

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026);
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ვერიფიკაციის ინსტრუმენტი;
- ბრძანება ვერიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ (ბრძანება N 2ს-86);
- საქმის წარმოების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- რემედიაციის დებულება;
- საგნობრივი კათედრების სამუშაო გეგმები;
- კათედრების სხდომების ოქმები;
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;

- ალტერნატიული სასწავლო გეგმები;
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- დიაგნოსტიკური წერის ანალიზი;
- კომპლექსური დავალებების ბარათები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები ;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები;
- საკლასო პროექტის განხორციელების დამადასტურებელი მასალები;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსებით, რაც დასტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ისე ადგილზე არსებული რესურსების ვიზუალური დათვალიერებით. სკოლაში ფუნქციონირებს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სასწავლო პროცესისთვის საჭირო საბაზისო ლაბორატორიული ინვენტარი. მათ შორის: საზომი ხელსაწყოები, ელექტრული წრედების ელემენტები, მექანიკის მოდელები, მინის ლაბორატორიული ჭურჭელი და სხვა სასწავლო მოწყობილობები. ასევე, წარმოდგენილია მოსწავლეთა მიერ დამზადებული მოდელები და სასწავლო პროექტები, რაც ხელს უწყობს პრაქტიკული უნარების განვითარებას.სკოლაში მოქმედებს მატერიალური რესურსების გამოყენებისა და ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი შიდა წესი, რომელიც განსაზღვრავს რესურსებით სარგებლობის პირობებს, უსაფრთხოების ნორმებსა და პასუხისმგებლობებს. არსებული რესურსები შეესაბამება სასწავლო კურიკულუმის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს როგორც თეორიული ცოდნის, ასევე პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის სასწავლო პროცესი ეყრდნობა არა მხოლოდ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, არამედ კურიკულუმით გათვალისწინებულ მრავალფეროვან დამხმარე მასალებს. მათ შორის: ვიდეო გაკვეთილებს, ციფრულ რუკებსა და პრეზენტაციებს. საზოგადოებრივი მეცნიერებების ფარგლებში (ისტორია, მოქალაქეობა) აქტიურად გამოიყენება ისტორიული წყაროები და საკანონმდებლო აქტები მაგ.: საქართველოს კონსტიტუცია, კანონი მოქალაქეობის შესახებ, რაც ხელს უწყობს თეორიული მასალის პრაქტიკულ გააზრებას. სასწავლო პროცესში დანერგილია ICT ინსტრუმენტების გამოყენება - PowerPoint პრეზენტაციები, საგანმანათლებლო YouTube ბმულები, რაც პირდაპირ არის გაწერილი საგნობრივ კურიკულუმებში და დასტურდება ჩატარებული გაკვეთილების აღწერით. დამხმარე რესურსად გამოყენებულია ექსკურსიები მაგ.: ბოლნისი, დმანისი და მოწვეული სპეციალისტების (ექიმი, ბიოლოგი) კონსულტაციები, რაც ამდიდრებს სასწავლო გარემოს და ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კურიკულუმების მიხედვით, სახელმძღვანელო არის ძირითადი რესურსი. ის წარმოადგენს მთავარ საყრდენს და უშუალოდ უკავშირდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს. კათედრა იყენებს დამხმარე რესურსებსაც. მაგ.: ელ.რესურსებს (“learningenglish.britishcouncil“), მხატვრულ ლიტერატურას სიტყვათა მარაგის და კითხვის უნარების გაუმჯობესების მიზნით. კათედრის მიერ წინასწარ შერჩეული საგანმანათლებლო ვიდეოები ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას და მოსწავლეების ინტერესის გაღვივებას. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ დამატებით რესურსებს არჩევენ მოსწავლეთა ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია .**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი ეფუძნება გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, სამინისტროს მიერ შემუშავებულ მასალებს (მუსიკა), მრავალფეროვან რესურსებს და ვიდორგოლებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და იმთავითვე მორგებულია თემატურ ერთეულბზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ და დამატებით სახელმძღვანელოებს, სქემებს, პლაკატებს, ილუსტარციებს, ელექტრონულ რესურსებს, რაც ასახულია კურიკულუმებში.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა	სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია როგორც ძირითადი, ისე დამხმარე რესურსები, რაც სრულად შეესაბამება სკოლის აკადემიურ მიზნებს. რესურსების ერთობლიობა ეხმარება მოსწავლეებს რთული ცნებების გააზრებასა და შედეგების მიღწევაში.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლაში არსებულ და კურიკულუმით ასახულ თემებში გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებს და სპორტულ ინვენტარს შესაბამისი გამოყენება აქვს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია .**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგნის „კომპიუტერული ტექნოლოგიები“ კურიკულუმის ჩარჩო (II-VI კლასები) მრავალფეროვან სასწავლო რესურსებს მოიცავს. აღნიშნული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების ეფექტიან მიღწევას. ჩარჩოში მითითებული სხვადასხვა ელექტრონული სასწავლო პლატფორმის ბმული ხაზს უსვამს სასწავლო პროცესის მრავალფეროვნებას. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა აღნიშნა, რომ საჭიროებისამებრ დამატებით თავად იძიებს და იყენებს ონლაინ რესურსებს, რაც სასწავლო პროცესს უფრო საინტერესოს, ეფექტურსა და მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულს ხდის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია .**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში ძირითად რესურსად გამოყენებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები. დამხმარედ კი, ძირითადად - ელექტრონული რესურსები, რაც კურიკულუმებში ბმულების სახითაა ჩაშენებული. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში წარმოდგენილია დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის მექანიზმი და შესაბამისი ინსტრუმენტი, რაც უზრუნველყოფს რესურსების შინაარსობრივი, პედაგოგიური და ასაკობრივი შესაბამისობის შეფასებას. ვალიდაციის პროცესი ითვალისწინებს რესურსის შესაბამისობას ეროვნულ

	სასწავლო გეგმასთან, სწავლის შედეგებთან და მოსწავლეთა საჭიროებებთან. რესურსების შერჩევა და გამოყენება ხორციელდება წინასწარი შეფასების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ხარისხიანი და მიზნობრივი მასალის გამოყენებას. დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლა სისტემურად ახორციელებს რესურსების გადარჩევასა და შეფასებას, რაც ამცირებს არასათანადო ან არაეფექტური რესურსების გამოყენების რისკს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია .**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში მოქმედებს კურიკულუმისა და რესურსების ვერიფიკაციის მექანიზმი რომლის ფარგლებშიც ხდება ყველა დამხმარე რესურსის შერჩევა და ვალიდაცია. დამხმარე რესურსების (ვიდეო მასალები, ისტორიული წყაროები, ციფრული რუკები) ვალიდაცია ხდება მათი ეროვნული სასწავლო გეგმის სამიზნე ცნებებთან შესაბამისობის მიხედვით. ვერიფიკაციის ფორმებში ფასდება, თუ რამდენად ეხმარება შერჩეული რესურსი მოსწავლეს კონკრეტული შედეგის მიღწევაში. ვალიდაციის პროცესი მოიცავს რესურსის რელევანტურობის შემოწმებას მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან და მზაობის დონეებთან (მაღალი, საშუალო, დაბალი). მაგალითად, მოქალაქეობის პროექტებისთვის შერჩეული კანონმდებლობისა და ქეისების ვალიდაცია ხდება მათი შინაარსობრივი სირთულის გათვალისწინებით. არაფორმალური განათლების ფარგლებში გამოყენებული რესურსები (მაგ.: ფილმები, საინფორმაციო ბუკლეტები) წინასწარ განიხილება საგნობრივ კათედრებზე, რაც უზრუნველყოფს მათ აკადემიურ სიზუსტესა და ეთიკურ შესაბამისობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. უცხოური ენების კათედრა განსაზღვრავს დამხმარე სასწავლო რესურსებს გასული სასწავლო წლის ანალიზის შედეგად გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე. ადგენს დამხმარე რესურსის სანდოობას და შესაბამისობას მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთნ და სასწავლო მიზნებთან. განხილვის შემდეგ ხდება რესურსის ვალიდაცია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი რესურსების ვალიდაცია ხორციელდება სკოლის მიერ შემუშავებული წესის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება სკოლის მიერ შემუშავებულ ვალიდაციის წესს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

სახელმწიფო ენა	კათედრა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში რესურსების გამოყენებას ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. სსსმ მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი განმავითარებელი მასალებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია როგორც ძირითადი, ისე დამხმარე რესურსები, რაც სრულად შეესაბამება მათემატიკის აკადემიურ მიზნებს. რესურსების ერთობლიობა ეხმარება მოსწავლეებს რთული ცნებების გააზრებასა და შედეგების მიღწევაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლაში არსებული და გამოყენებული რესურსების, მათ შორის სპორტული ინვენტარის, შეფასება და ვალიდაცია ხორციელდება შესაბამის კათედრასთან თანამშრომლობით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე, კურიკულუმით განსაზღვრული პროცესის შესაბამისად. დაწყებით საფეხურზე, საგნისთვის „კომპიუტერული ტექნოლოგიები“, შერჩეული რესურსი (school.emis.ge) ვალიდურია და სრულად შეესაბამება დასახულ მიზნებსა და საგნობრივ სტანდარტებს. აღნიშნული პლატფორმა რეკომენდებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ და ხელს უწყობს მოსწავლეებს კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევაში. მნიშვნელოვანია, რომ რესურსები განხილული და დამტკიცებულია საგნობრივი კათედრის მიერ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია .**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას შემუშავებული აქვს წესი, რომელის მიხედვითაც ხორციელდება სასწავლო რესურსების ვალიდურების დადასტურება.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში არსებული მატერიალური რესურსები შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. წარმოდგენილი ლაბორატორიული ინვენტარი, სასწავლო ხელსაწყოები და დამხმარე რესურსები იძლევა შესაძლებლობას, მოსწავლეებმა მიიღონ როგორც თეორიული ცოდნა, ასევე განივითარონ პრაქტიკული უნარები ფიზიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში. რესურსების განაწილება და გამოყენება ორგანიზებულია მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს მათზე ხელმისაწვდომობას და ეფექტიან გამოყენებას სასწავლო პროცესში. დოკუმენტაციითა და წარმოდგენილი გარემოთი დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს რესურსების ადეკვატურობას, რაც ქმნის პირობებს კურიკულუმის სრულფასოვანი განხორციელებისთვის. **რჩევა:** სასურველია, რესურსების ეტაპობრივი განახლება და მათი მრავალფეროვნების გაზრდა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის ინფრასტრუქტურა და საკლასო ოთახების მოწყობა შეესაბამება მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას, რაც ქმნის უსაფრთხო და კომფორტულ გარემოს კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობების (ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაციები) განსახორციელებლად. კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად სკოლა იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. დოკუმენტებით (მაგ: გეოგრაფიისა და ისტორიის კურიკულუმები) დასტურდება PowerPoint პრეზენტაციებისა და YouTube რესურსების გამოყენება, რაც უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური ბაზით (კომპიუტერები, პროექტორები, ინტერნეტი). არაფორმალური განათლების პროექტების ფარგლებში (მაგ: XI კლასის პროექტი ნარჩენების მართვის შესახებ ან X კლასის პროექტი ინკლუზიური გარემოს შესახებ) სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს საჭირო მასალებით შემოქმედებითი პროდუქტების (მულტისენსორული წიგნი, ბუკლეტები, პოსტერები) შესაქმნელად. სკოლა იყენებს სააქტო დარბაზსა და სხვა საერთო სივრცეებს მასშტაბური ღონისძიებებისთვის (მაგ.: ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილი პრეზენტაცია, ფლეშმობი ჟესტურ ენაზე), რაც ქმნის

	შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესში ერთდროულად ჩაერთოს მოსწავლეთა დიდი რაოდენობა.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია .**
უცხოური ენები	მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი მატერიალური რესურსით - სახელმძღვანელოებით, დამატებითი საგანმანათლებლო რესურსებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პედაგოგებთან ინტერვიურების დროს მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ მოსწავლისთვის ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური ასევე, არამატერიალური რესურსები. კათედრა აღჭურვილია ინვენტარით, (დინამიკები, პროექტორი, ლეპტოპი, რეპროდუქციები და ა.შ. ვიზუალური და მატერიალური რესურსები), რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. პედაგოგს კი აძლევს შესაძლებლობას, რომ საინტერესოდ და მრავლაფეროვნად წარმოაჩინოს შესასწავლი თემა/საკითხი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია .**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე ყველა მოსწავლისათვის ხელმისაწვდომია შესაბამისი რესურსები, იქნება ეს სახელმძღვანელოები, დამატებითი საკითახავი თუ ციფრული მასალა. ამდენად, სასწავლო პროცესის განსახორციელებლად მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი რესურსებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა სამივე საფეხურის სპეციფიკა მოითხოვს უფრო სპეციალიზებულ ინფრასტრუქტურას. ადგილების ზღვრული რაოდენობის დაცვა პოზიტიური ფაქტორია, რაც ქმნის პოტენციალს ინდივიდუალური პრაქტიკული სამუშაოების გასაძლიერებლად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლაში არსებული გარე სპორტული მოედანი, შიდა სივრცე სადაც ტარდება ფიზიკური აღზრდის და სპორტის გაკვეთილები, სპორტული ინვენტარი და ტექნიკური რესურსები (კომპიუტერები) საკმარისია სწავლის შედეგების მისაღწევად.

	ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად არის უზრუნველყოფილი შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. სასწავლო გარემო და რესურსები მორგებულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას, რაც საშუალებას იძლევა, თითოეული მოსწავლისთვის შექმნილი იყოს პრაქტიკული მუშაობისთვის საჭირო თანაბარი და ეფექტიანი პირობები. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია სრულად არის განახლებული და აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით. კომპიუტერების რაოდენობა სრულ შესაბამისობაშია კლასებში მოსწავლეთა რაოდენობასთან, რაც თითოეული მოსწავლისთვის ინდივიდუალური სამუშაო ადგილის გამოყოფისა და საგაკვეთილო პროცესის შეუფერხებლად, სრულფასოვნად წარმართვის შესაძლებლობას იძლევა.ლაბორატორია უზრუნველყოფილია სტაბილური ინტერნეტკავშირითა და შესაბამისი პერიფერიული მოწყობილობებით, რაც ხელს უწყობს პრაქტიკული დავალებების მრავალფეროვნებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლები სწავლის შედეგების მისაღწევად იყენებენ შესაბამის მატერიალურ რესურსებს, თუმცა მათი რაოდენობა მწირია. მნიშნელოვანია, სკოლამ გამოყოს ბიუჯეტი, რათა მასწავლებლებმა შეძლონ უფრო მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში. **რჩევა:** სასურველია, სკოლამ დაგეგმოს და გამოყოს შესაბამისი ბიუჯეტი სასწავლო რესურსების გასამდიდრებლად, რათა მასწავლებლებს ჰქონდეთ შესაძლებლობა გამოიყენონ უფრო მრავალფეროვანი და ეფექტიანი მატერიალური რესურსები, რაც ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების გაუმჯობესებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლის მიერ წარმოდგენილი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ (ბრძანება N2ს-88) მიხედვით, იკვეთება, რომ სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი, რომელიც შეირჩევა პროფესიული კომპეტენციების მიხედვით და რომლის განვითარებაც სისტემურად უზრუნველყოფილია. აღნიშნული დასტურდება ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში განთავსებული ინფორმაციითაც.

პედაგოგთა კვალიფიკაცია დასტურდება, აგრეთვე, მათ მიერ განხორციელებული და დოკუმენტურად წარმოდგენილი სასწავლო აქტივობებით, საკლასო და სასკოლო პროექტებით, ინტეგრირებული გაკვეთილებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026 ს.წ.);
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ვერიფიკაციის ინსტრუმენტი;
- ბრძანება ვერიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ (ბრძანება N 2ს-86);
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სკოლის თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებები;
- კათედრების სხდომების ოქმები ;
- მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- ალტერნატიული სასწავლო გეგმები;
- განმსაზრვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- საგნობრივი პროექტები ;
- კომპლექსური დავალებების ბარათები;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული პროექტები და მოდელები ;
- შესრულებული შემოქმედებითი დავალების ანალიზი;
- ჩატარებული გაკვეთილი გეგმები და დასწრების უკუკავშირები ;
- შემაჯამებელი ტესტები და მათი ანალიზი;
- კურიკულუმში გაწერილი სასწავლო რესურსები;
- მატერიალური რესურსების გამოყენების მარეგულირებელი შიდა წესი;
- მატერიალური რესურსების ცხრილები (ქიმია, ფიზიკა);
- სკოლის მიერ განხორციელებული პროექტები;
- სასწავლო სივრცეების ამსახველი ფოტომასალა;
- ბრძანება 2ს - 47 (28.04.2026 წ)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

წარმოდგენილი „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიისა“ და „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის“ ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მიდგომების შესაბამისად და აქვს სისტემური, მიზანმიმართული ხასიათი. სასწავლო პროცესის მართვა ეფუძნება უწყვეტ ციკლს (დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, გაუმჯობესება), რაც უზრუნველყოფს მონიტორინგისა და შეფასების პროცესის რეგულარულობასა და თანმიმდევრულობას. ეს მიდგომა გულისხმობს როგორც სასწავლო პროცესის, ისე მოსწავლეთა მიღწევების ანალიზს, მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებას, ასევე უკუკავშირის გამოყენებას, რაც ქმნის საფუძველს გააზრებული და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებისთვის. მონიტორინგი და შეფასება ეფუძნება კურიკულუმში განსაზღვრულ მეთოდოლოგიურ ჩარჩოს. კომპლექსური დავალებები და პროექტები ფასდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებისა და რუბრიკების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. ამასთან, ვერიფიკაციის მექანიზმების გამოყენებით ხორციელდება შეფასების პროცესის კონტროლი და მისი ეფექტიანობის შეფასება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია .

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

წარმოდგენილი დოკუმენტების („კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“, „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“ და „რემედიაციის დებულება“) ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში მონიტორინგი და შეფასება სისტემურად არის დაკავშირებული როგორც პრობლემების გამოვლენასთან, ისე მათი გადაჭრის გზების განსაზღვრასთან.

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის შემუშავება, დანერგვა, მონიტორინგი და გადამუშავება წარმოადგენს უწყვეტ, ციკლურ პროცესს, რომელიც ეფუძნება დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და გაუმჯობესების ეტაპებს. კურიკულუმის დანერგვის პროცესში ხორციელდება სასწავლო აქტივობების განხორციელება და მოსწავლეთა მიღწევების შეფასება, ხოლო მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემები გამოიყენება კურიკულუმის გადახედვისა და გაუმჯობესებისთვის. აღნიშნული უზრუნველყოფს კურიკულუმის ადაპტირებას როგორც მოსწავლეთა საჭიროებებზე, ისე სასწავლო პროცესში გამოვლენილ გამოწვევებზე. მონიტორინგი და შეფასება ეფუძნება უწყვეტ ციკლს (დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება/შემოწმება, რეაგირება/გაუმჯობესება), რაც გულისხმობს სასწავლო პროცესისა და მოსწავლეთა მიღწევების შესახებ მონაცემების რეგულარულ შეგროვებასა და ანალიზს. მიღებული ინფორმაცია გამოიყენება გამოწვევების გამოსავლენად, ხოლო ანალიზისა და უკუკავშირის საფუძველზე იგეგმება შესაბამისი ცვლილებები, მათ შორის სასწავლო თემების, აქტივობებისა და რესურსების კორექტირება. გამოვლენილი პრობლემები განიხილება და ფასდება, რის შემდეგაც სკოლა გეგმავს მიზნობრივ, საჭიროებებზე მორგებულ ღონისძიებებს. ეს პროცესი ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასა და რესურსების უფრო ეფექტიან გამოყენებას. რემედიაციის მექანიზმის მიხედვით, შეფასების შედეგებზე დაყრდნობით ხდება იმ მოსწავლეების გამოვლენა, რომლებიც საჭიროებენ დამატებით მხარდაჭერას. მათთვის იგეგმება ინდივიდუალური ან ჯგუფური აქტივობები, სასწავლო მასალის ადაპტაცია და დამატებითი მუშაობა. პროცესის განმავლობაში მიმდინარეობს მათი პროგრესის მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში ხდება განხორციელებული ღონისძიებების კორექტირება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

წარმოდგენილი დოკუმენტების („კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“, „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“, „რემედიაციის დებულება“ და „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“) ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების პროცესები ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და განვითარებაზე.

მონიტორინგისა და შეფასების პროცესში მიღებული მონაცემები და უკუკავშირი გამოიყენება როგორც მოსწავლეთა, ისე მასწავლებელთა საჭიროებების გამოსავლენად. ამის საფუძველზე იგეგმება მიზნობრივი მხარდაჭერის ღონისძიებები, რაც მოიცავს სასწავლო პროცესის ადაპტაციას, დამატებითი რესურსებისა და აქტივობების გამოყენებას, სწავლების მეთოდების გაუმჯობესებასა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. მოსწავლეთა მხარდაჭერა ხორციელდება, მათ შორის, რემედიაციული მექანიზმების საშუალებით. ეს

გულისხმობს დამატებითი დახმარების საჭიროების მქონე მოსწავლეების გამოვლენას, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის დაგეგმვას, სასწავლო მასალის ადაპტაციასა და მათი პროგრესის მონიტორინგს, რაც უზრუნველყოფს ეფექტიან და საჭიროებებზე მორგებულ მხარდაჭერას. პერსონალის პროფესიული განვითარება ეფუძნება საქმიანობის შეფასების შედეგებს და მოიცავს კვალიფიკაციის ამაღლებას, ტრენინგების დაგეგმვასა და სამუშაო პროცესის გაუმჯობესებას. მონიტორინგისა და შეფასების შედეგები, ასევე, გამოიყენება თანამშრომელთა მოტივაციისა და ეფექტიანობის გასაზრდელად. სასწავლო პროცესის მართვა ეფუძნება უწყვეტ ციკლს (PDCA), რაც უზრუნველყოფს მიღებული შედეგების საფუძველზე შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვასა და განხორციელებას, პროცესების გაუმჯობესებას და სასკოლო საზოგადოების წევრთა საჭიროებებზე მორგებულ მხარდაჭერას.

დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების პროცესები ფუნქციონირებს როგორც სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერის ეფექტიანი მექანიზმი, რაც ხელს უწყობს როგორც მოსწავლეთა სწავლის გაუმჯობესებას, ისე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და სასწავლო პროცესის ხარისხის უწყვეტ ზრდას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმების განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- რემედიაციის დებულება;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

წარმოდგენილი დოკუმენტების („შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“, ვერიფიკაციის ინსტრუმენტი, „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“) მიხედვით იკვეთება, რომ სკოლაში შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებსა და მტკიცებულებებს. აღნიშნულ მარეგულირებელ დოკუმენტებში განსაზღვრულია, რომ შეფასება ხორციელდება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი ფორმებით და მოიცავს სხვადასხვა ტიპის აქტივობებსა და ინსტრუმენტებს, მათ შორის: კომპლექსურ დავალებებს, ტესტებს, პროექტებს, პრეზენტაციებსა და სხვა სახის შემაჯამებელ სამუშაოებს. აღნიშნული უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების მრავალმხრივ

შეფასებას. ამასთან, სკოლაში გამოყენებულია სხვადასხვა შეფასების რუბრიკები, მათ შორის: თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას შეფასების პროცესში და წარმოადგენს დამატებით წყაროს მათი მიღწევების შესაფასებლად.
ვერიფიკაციის მექანიზმისა და შესაბამისი ინსტრუმენტის მიხედვით, შეფასების სანდოობა და ვალიდურობა ეფუძნება მრავალფეროვან მტკიცებულებებს, მათ შორის მოსწავლეთა ნამუშევრებს, შეფასების შედეგებსა და სასწავლო აქტივობებში გამოვლენილ მიღწევებს. შეფასების პროცესში გამოიყენება ასევე განმავითარებელი უკუკავშირი, რაც დამატებით წყაროს წარმოადგენს მოსწავლის პროგრესის შესაფასებლად. ამასთან, კურიკულუმის განვითარების მეთოლოგიით გათვალისწინებული შეფასების მიდგომები უზრუნველყოფს სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის აქტივობების გამოყენებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მიღწევების მრვალმხრივ და ობიექტურ შეფასებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

წარმოდგენილი დოკუმენტების (კურიკულუმუმები, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, ვერიფიკაციის ინსტრუმენტი, რემედიაციის დებულება) მიხედვით იკვეთება, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით და არ შემოიფარგლება ერთგვაროვანი მიდგომით. კურიკულუმით განსაზღვრულია მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობები და შეფასების ფორმები, რაც მოიცავს როგორც წერით, ისე ზეპირ და პრაქტიკულ დავალებებს (პროექტები, პრეზენტაციები, კომპლექსური დავალებები და სხვ.). აღნიშნული უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების შეფასებას სხვადასხვა სასწავლო კონტექსტში. შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმისა და ინსტრუმენტის მიხედვით, შეფასების პროცესში გათვალისწინებულია სხვადასხვა პირობები, მათ შორის შეფასების გარემო, დრო, გამოყენებული რესურსები და შეფასების კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს პროცესის სამართლიანობასა და ობიექტურობას. ამასთან, შეფასება ეფუძნება მრავალფეროვან მტკიცებულებებს, მათ შორის მოსწავლეთა ნამუშევრებსა და მიღწევებს, რაც კიდევ უფრო აფართოებს შეფასების კონტექსტს. რემედიაციის დებულების მიხედვით, შეფასება ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და შესაძლებლობებს. შეფასების შედეგების საფუძველზე ხდება დამატებითი მხარდაჭერის დაგეგმვა, სასწავლო მასალის ადაპტაცია და განსხვავებული მიდგომების გამოყენება, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლისთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნას. ამასთან, სსსმ მოსწავლეებისთვის გამოიყენება ადაპტირებული შეფასების ფორმები და ინდივიდუალური მიდგომები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

შესწავლილი დოკუმენტების (შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, ვერიფიკაციის ინსტრუმენტი, კურიკულუმი, რემედიაციის დებულება, ელექტრონული ჟურნალი) ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში შეფასების პროცესში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. დოკუმენტებში განსაზღვრულია, რომ შეფასება ხორციელდება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი ფორმებით, რაც გულისხმობს მონაცემთა შეგროვებას სხვადასხვა აქტივობის საშუალებით, მათ შორის: ტესტები,

კომპლექსური დავალებები, პროექტები, პრეზენტაციები, წერითი და ზეპირი დავალებები. აღნიშნული უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების შესახებ მრავალმხრივი ინფორმაციის მიღებას. ვერიფიკაციის მექანიზმისა და ინსტრუმენტის მიხედვით, მონაცემები გროვდება სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის მოსწავლეთა ნამუშევრების, შეფასების შედეგებისა და სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის ანალიზის გზით. ამასთან, შეფასების პროცესში გამოიყენება დაკვირვება და განმავითარებელი უკუკავშირი, რაც დამატებით მეთოდს წარმოადგენს მოსწავლის პროგრესის შესაფასებლად. რემედიაციის დებულების მიხედვით, მონაცემთა შეგროვება ხორციელდება დიაგნოსტიკური შეფასებისა და პროგრესის მონიტორინგის საშუალებით, რაც საშუალებას იძლევა, შეფასდეს მოსწავლის წინსვლა და დაიგეგმოს შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებები. ამასთან, ელექტრონული ჟურნალი უზრუნველყოფს როგორც რაოდენობრივი (ქულები), ისე თვისებრივი (კომენტარები, განმავითარებელი შეფასება) მონაცემების სისტემატურ აღრიცხვასა და ანალიზს.

გამომდინარე ზემოთთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 'სკოლაში შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების შესახებ სანდო, მრავალმხრივი და ობიექტური ინფორმაციის მიღებას და ქმნის საფუძველს ეფექტიანი სასწავლო გადაწყვეტილებების მისაღებად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

წარმოდგენილი დოკუმენტების (კურიკულუმები, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, ვერიფიკაციის ინსტრუმენტი, რემედიაციის დებულება, დამრიგებლობის დებულება, დამრიგებლების პორტფოლიოები) ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების მიდგომები ითვალისწინებს მოსწავლეთა ცოდნასა და უნარებს, ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და სასწავლო პროცესში ჩართულობას. შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი აქტივობების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების მრავალმხრივ შეფასებას. ვერიფიკაციის მექანიზმისა და ინსტრუმენტის მიხედვით, შეფასების პროცესში გათვალისწინებულია სხვადასხვა გარემო და პირობები. მათ შორის: შეფასების დრო, გარემო, გამოყენებული რესურსები და შეფასების კრიტერიუმები. ამასთან, შეფასება ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებსა და რუბრიკებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების გამჭვირვალობას. რემედიაციის დებულების მიხედვით, შეფასება ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და პროგრესს. შეფასების შედეგების საფუძველზე ხდება სასწავლო პროცესის ადაპტაცია და შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვა, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლისთვის მიზნობრივ და საჭიროებებზე მორგებულ მიდგომას.

დამრიგებლის მუშაობის დებულების ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით და არ შემოიფარგლება მხოლოდ აკადემიური შედეგებით. დოკუმენტის მიხედვით, დამრიგებელი აფასებს მოსწავლის განვითარებას ჰოლისტურად - აკადემიური მოსწრების, დასწრებისა და ქცევის ანალიზის საფუძველზე. შეფასების პროცესში გათვალისწინებულია ასევე მოსწავლის სოციალური უნარები, აქტივობებში მონაწილეობა და ინდივიდუალური თავისებურებები. ამასთან,

შეფასება ეფუძნება მოსწავლეთა ჩართულობას, ინტერესებსა და შესაძლებლობებს, რაც გამოიხატება როგორც სასწავლო, ისე კლასგარეშე აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში. დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს უკუკავშირის მიღებას მოსწავლეებისგან და მშობლების ინფორმირებას, რაც დამატებით ასპექტებს წარმოადგენს შეფასების პროცესში. დამრიგებლის პორტფოლიოში გამოყენებულია შეფასების ფურცლები და დაკვირვების რუბრიკები, სადაც გათვალისწინებულია სხვადასხვა ტიპის მონაცემები (მოსწავლეთა ინტერესები, უნარები, სასწავლო პროცესა და კლასგარეშე აქტივობებში მონაწილეობა), რაც მიუთითებს, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალ ფაქტორს და სხვადასხვა წყაროს. ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა საგანმანათლებლო, ინდივიდუალური და გარემო ფაქტორის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ობიექტურობას, სამართლიანობასა და მოსწავლეზე ორიენტირებულობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ვერიფიკაციის ინსტრუმენტი;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზრვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ურთერთ და თვით შეფასების რუბრიკები;
- ელექტრონული ჟურნალი;
- დამრიგებლობის დებულება;
- დამრიგებლის პორტფოლიოები (2025-2026);

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ამ ეტაპზე კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის პროცესი ჯერ დასრულებული არ არის. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით იკვეთება, რომ სკოლას დაგეგმილი აქვს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება. დაგეგმილი სარეკომენდაციო პაკეტი მოიცავს კურიკულუმში შესატანი ცვლილებების შინაარსს, ცვლილების ინიცირებაზე, განხილვასა და დამტკიცებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებსა და პირებს, ასევე ცვლილებების ინიცირების პერიოდებსა და ვადებს. აღნიშნული უზრუნველყოფს კურიკულუმის განვითარების პროცესის სისტემურობასა და ორგანიზებულ მართვას.

შესაბამისი პროცედურები განსაზღვრულია დოკუმენტებში - „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ და „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“, რაც ქმნის საფუძველს სარეკომენდაციო პაკეტის ეტაპობრივად შემუშავებისა და დანერგვისთვის. ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ პედაგოგები აგროვებენ მონაცემებს, რომლებსაც მეთოდოლოგიის შესაბამისად გამოიყენებენ შეფასებისა და კურიკულუმის განვითარების პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ამ ეტაპზე კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის პროცესი დასრულებული არ არის. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით იკვეთება, რომ სკოლა გეგმავს წლიური მუშაობის შედეგებზე დაყრდნობით

ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას. დაგეგმილი მიდგომის მიხედვით, გადამუშავებული კურიკულუმი დაეფუძნება წინა წლის გამოცდილებას, ასევე მონიტორინგისა და შეფასების პროცესში მიღებულ შედეგებს. აღნიშნული უზრუნველყოფს კურიკულუმის განვითარებას მონაცემებზე დაფუძნებული და პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით. შესაბამისი პროცედურები გაწერილია დოკუმენტებში: „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ და „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“, რაც განსაზღვრავს შედეგების ანალიზის, უკუკავშირის გამოყენებისა და ცვლილებების დაგეგმვის სისტემურ მიდგომას. ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ პედაგოგები აგროვებენ მონაცემებს, რომლებსაც მეთოდოლოგიის შესაბამისად გამოიყენებენ შეფასებისა და კურიკულუმის განვითარების პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითრების მეთოდოლოგია
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი 14.05.2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: